ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №55

2024 წლის 25 ნოემბერი

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები, დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

ეს დადგენილების ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 4

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016602).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

დანართი 1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 მარტის დადგენილება №18 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 01.08.2025წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №48 - ვებგვერდი, 02.12.2025წ.

თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	333 364,7	438 882,9	458 656,7		458 656,7

გადასახადები	102 991,5	114 232,4	121 066,8		121 066,8
გრანტები	134 000,4	185 980,6	232 986,9		232 986,9
სხვა შემოსავლები	96 372,8	138 670,0	104 603,0		104 603,0
ხარჯები	**192 282,7**	**231 633,7**	**283 877,3**		**283 877,3**
შრომის ანაზღაურება	37 636,0	43 183,6	56 277,3		56 277,3
საქონელი და მომსახურება	68 368,1	71 743,3	93 728,6		93 728,6
პროცენტი	4 488,7	4 768,3	6 122,5		6 122,5
სუბსიდიები	19 422,8	22 090,3	31 898,2		31 898,2
გრანტები	2,5	2,6	15,0		15,0
სოციალური უზრუნველყოფა	16 926,2	20 033,3	21 451,3		21 451,3
სხვა ხარჯები	45 438,5	69 812,2	74 384,4		74 384,4
საოპერაციო სალდო	**141 081,9**	**207 249,3**	**174 779,4**		**174 779,4**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**109 649,7**	**136 530,5**	**222 755,1**		**222 755,1**
ზრდა	119 741,9	144 589,1	235 755,1		235 755,1
კლება	10 092,1	8 058,7	13 000,0		13 000,0
მთლიანი სალდო	**31 432,2**	**70 718,8**	**-47 975,7**		**-47 975,7**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**5 815,6**	**34 343,6**	**-92 906,3**		**-92 906,3**
ზრდა	5 815,6	34 343,6			
ვალუტა და დეპოზიტები	5 815,6	34 343,6			
კლება			92 906,3		92 906,3
ვალუტა და დეპოზიტები			92 906,3		92 906,3
ვალდებულებების ცვლილება	**-25 616,6**	**-36 375,2**	**-44 930,6**		**-44 930,6**
კლება	25 616,6	36 375,2	44 930,6		44 930,6
საშინაო	25 616,6	36 375,2	44 930,6		44 930,6
ბალანსი	**0**	**0**	**0**	**0**	**0**

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**343 456,8**	**446 941,6**	**471 656,7**		**471 656,7**
შემოსავლები	333 364,7	438 882,9	458 656,7		458 656,7
არაფინანსური აქტივების კლება	10 092,1	8 058,7	13 000,0		13 000,0
გადასახდელები	**337 641,2**	**412 598,0**	**564 563,0**		**564 563,0**
ხარჯები	192 282,7	231 633,7	283 877,3		283 877,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	119 741,9	144 589,1	235 755,1		235 755,1
ვალდებულებების კლება	25 616,6	36 375,2	44 930,6		44 930,6
ნაშთის ცვლილება	**5 815,6**	**34 343,6**	**-92 906,3**		**-92 906,3**

მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 458,656.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
შემოსავლები	**333 364,7**	**438 882,9**	**458 656,7**
გადასახადები	102 991,5	114 232,4	121 066,8
გრანტები	134 000,4	185 980,6	232 986,9
სხვა შემოსავლები	96 372,8	138 670,0	104 603,0

მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 121,066.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
11	**გადასახადები**	**102 991,5**	**114 232,4**	**121 066,8**
113	**გადასახადები ქონებაზე**	**45 782,1**	**50 579,8**	**48 000,0**
1131	**გადასახდები უძრავ ქონებაზე**	**45 782,1**	**50 579,8**	**48 000,0**

11311	**ქონების გადასახადი**	**45 782,1**	**50 579,8**	**48 000,0**
113111-113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	39 362,0	42 709,2	43 000,0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 074,9	5 685,9	2 700,0
113114-113115	მიწაზე ქონების გადასახადი	2 345,3	2 184,7	2 300,0
11411	**დამატებული ღირებულების გადასახადები**	**57 209,4**	**63 652,5**	**73 066,8**

მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 232,986.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
13	**გრანტები**	**134 000,4**	**185 980,6**	**232 986,9**
131	**საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები**	**175,6**	**334,1**	**202,1**
1311	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	175,59	334,1	202,1
133	**სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები**	**133 824,8**	**185 646,5**	**232 784,8**
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	***68 550,8***	***102 194,4***	***100 149,0***
133111	**გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან**			**490,0**
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი			490,0
133121	**გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან**	**68 550,8**	**102 194,4**	**99 659,0**
1331211	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	68 550,8	102 194,4	99 659,0
	კაპიტალური დანიშნულების გრანტები	***65 274,0***	***83 452,2***	***132 635,8***
133211	**გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან**		**128,6**	**294,8**
1332119	სხვა ტრანსფერი		128,6	294,8
133221	**გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან**	**65 274,0**	**83 323,6**	**132 341,0**
1332212	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	65 274,0	83 323,6	132 341,0

მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 104,603.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

		2023 წლის	2024 წლის	2025 წლის

კოდი	დასახელება	ფაქტი	ფაქტი	გეგმა
14	**სხვა შემოსავლები**	**96 372,8**	**138 670,0**	**104 603,0**
141	**შემოსავლები საკუთრებიდან**	**13 865,9**	**13 628,3**	**14 053,0**
1411	**პროცენტები**	**10 775,9**	**11 193,6**	**11 617,0**
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	10 775,9	11 193,6	11 617,0
1415	**რენტა**	**3 090,0**	**2 434,7**	**2 436,0**
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	264,0	101,9	180,0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2 826,0	2 332,8	2 256,0
142	**საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია**	**67 967,1**	**79 698,9**	**76 050,0**
1422	**ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები**	**67 567,1**	**78 953,4**	**76 050,0**
14223	**სანებართვო მოსაკრებლები**	**1 212,7**	**2 971,4**	**1 500,0**
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	1 212,7	2 971,4	1 500,0
14229	**საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი**	**1,6**	**1,3**	
142212	**სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი**	**12,0**		
142213	**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი**	**62 070,2**	**70 141,5**	**68 000,0**
142214	**მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის**	**4 038,2**	**4 806,6**	**6 000,0**
142216	**მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის**	**232,4**	**189,9**	
142299	**სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი**		**842,7**	**550,0**
1423	**არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება**	**399,9**	**745,5**	
14232	**შემოსავლები მომსახურების გაწევიდან**	**399,9**	**745,5**	
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	399,9	745,5	
143	**სანქციები (ჯარიმები და საურავები)**	**12 687,4**	**13 709,6**	**10 000,0**
144	**ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული**	**1 852,4**	**31 633,2**	**4 500,0**

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 283,877.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
2	**ხარჯები**	**192 282,7**	**231 633,7**	**283 877,3**
21	შრომის ანაზღაურება	37 636,0	43 183,6	56 277,3
22	საქონელი და მომსახურება	68 368,1	71 743,3	93 728,6
24	პროცენტი	4 488,7	4 768,3	6 122,5
25	სუბსიდიები	19 422,8	22 090,3	31 898,2
26	გრანტები	2,5	2,6	15,0
27	სოციალური უზრუნველყოფა	16 926,2	20 033,3	21 451,3
28	სხვა ხარჯები	45 438,5	69 812,2	74 384,4

მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 222,755.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 235,755.1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	363,0	159,0	235,2
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	85 208,8	108 507,9	189 234,8
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	15 043,1	18 317,8	20 317,3
04 00	განათლება	15 094,2	10 358,1	15 410,7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3 343,6	5 405,1	7 863,1
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14,4	154,4	58,5
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	385,2	249,0	1 070,8
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	289,5	1 437,9	1 564,7
სულ		**119 741,9**	**144 589,1**	**235 755,1**

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 13,000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
31	**არაფინანსური აქტივები**	**10 092,1**	**8 058,7**	**13 000,0**
311	ძირითადი აქტივები	8,6	387,6	
312	მატერიალური მარაგები	551,1	22,9	
314	არამწარმოებლური აქტივები	9 532,4	7 648,2	13 000,0

მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 519,632.4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
7	**სულ**	**312 024,6**	**376 222,8**	**519 632,4**
701	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**24 203,6**	**26 174,5**	**40 550,9**
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	9 863,7	10 352,9	17 902,6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	9 863,7	10 352,9	13 792,6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა			4 110,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	9 091,7	11 053,3	16 115,8
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	9 091,7	11 053,3	16 115,8
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5 248,3	4 768,3	6 122,5
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმინობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			410,0
702	**თავდაცვა**	**12,9**		
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	12,9		
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	**86 910,7**	**111 379,4**	**178 226,7**
7045	ტრანსპორტი	85 950,0	109 986,8	176 906,7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	85 950,0	109 986,8	176 906,7
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	960,7	1 392,6	1 320,0
705	**გარემოს დაცვა**	**29 223,5**	**39 615,2**	**45 799,1**

7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	16 099,7	18 310,4	23 430,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	13 123,8	21 304,8	22 369,1
706	**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**	**66 318,7**	**83 583,4**	**111 792,6**
7061	ბინათმშენებლობა	27 647,7	33 053,6	28 500,1
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	19 909,4	29 438,1	31 238,9
7063	წყალმომარაგება	780,3	7 206,8	33 635,1
7064	გარე განათება	7 842,7	6 944,8	7 327,8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	10 138,7	6 940,1	11 090,7
707	**ჯანმრთელობის დაცვა**	**6 942,4**	**8 583,2**	**10 482,2**
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	1 253,8	1 729,2	2 053,0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	1 253,8	1 729,2	2 053,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	212,2	266,2	279,5
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	212,2	266,2	279,5
7073	საავადმყოფოების მომსახურება	888,9	1 140,9	1 343,6
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	98,5	69,0	113,6
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	790,4	1 071,9	1 230,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	4 587,5	5 446,9	6 806,1
708	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**39 940,5**	**47 256,4**	**59 918,7**
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	29 371,0	37 786,0	43 962,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	10 365,9	9 203,0	15 707,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	203,5	267,5	249,2
709	**განათლება**	**39 736,9**	**40 069,9**	**54 520,3**
7091	სკოლამდელი აღზრდა	39 590,4	39 894,9	54 076,3
7094	უმაღლესი განათლება	127,0	130,0	170,0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	127,0	130,0	170,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	19,5	45,0	274,0
710	**სოციალური დაცვა**	**18 735,4**	**19 560,7**	**18 341,9**
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	3 350,4	4 091,1	5 057,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	12 022,6	11 457,6	13 284,9

7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3 362,4	4 012,0	

მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი საოპერაციო 174,779.4 ათასი ლარის ოდენობით:

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -47,975.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 92,906.3 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 92,906.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
32	**ფინანსური აქტივების ცვლილება**	**5 815,6**	**34 343,6**	**-92 906,3**
	ზრდა	**5 815,6**	**34 343,6**	
321	საშინაო	5 815,6	34 343,6	
3212	ვალუტა და დეპოზიტები	5 815,6	34 343,6	
	კლება			**92 906,3**
322	საშინაო			92 906,3
3222	ვალუტა და დეპოზიტები			92 906,3

მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 44,930.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 44,930.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
33	**ვალდებულებების ცვლილება**	**-25 616,6**	**-36 375,2**	**-44 930,6**
	კლება	**25 616,6**	**36 375,2**	**44 930,6**
331	საშინაო	25 616,6	36 375,2	44 930,6

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2025 წლის ბოლოსთვის:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	ვალის ნაშთი 2025 წლის ბოლოსათვის
	ვალის საპროგნოზო მოცულობა	**328 458,5**
1	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - I ფაზა (KfW) *	34 868,6
2	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - II ფაზა (KfW) *	12 701,8
3	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა - (KfW) *	7 604,5
4	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა - სანიაღვრე (KfW) *	17 323,5
5	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - IV ფაზა (KfW) *	54 120,9
6	ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - V ფაზა (KfW) *	154 431,4
7	მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში	43 707,0
8	ბათუმის ავტობუსის პროექტი (EBRD) *	3 700,8

შენიშვნა * - საპროგნოზოდ გამოყენებული (ევრო/ლარის) კურსი 1/2.9138; 12.11.2024წ.

თავი II
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1 პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნას, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა; საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური
1.1 მშენებლობა; გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;

- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;

- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 01 01; 02 01 04)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

1.1.1 ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდები 02 01 02; 02 01 05)

ქვეპროგრამა მოიცავს ქალაქის მთელ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის ერთიანი თანამედროვე სტანდარტის დანერგვას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის და ზღვისპირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, რეჯებ ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ენვერ ხაბაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, გენერალ გიორგი კვინიტაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ნევრესტან შაშიკაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის (ჟიული შარტავას გამზირის კვეთიდან მამია ვარშანიძის ქუჩის კვეთამდე, მათ შორის გენერალ ასლან აბაშიძის I ჩიხი) კეთილმოწყობა;

ხახულის II შესახვევის რეაბილიტაცია (ხახულის ქუჩიდან მამია ვარშანიძის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის N1-დან აეროპორტის გზატკეცილის N93-მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, გაგარინის ქუჩის კეთილმოწყობა ასლან აბაშიძის ქუჩამდე;

ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რებილიტაცია;

ქ. ბათუმში, შავშეთის ქუჩის რეაბილიტაცია პეტრე ბაგრატიონის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე;

ი. ნონეშვილის ქ. N1-დან N6-მდე საავტომობილო გზაზე ტროტუარების მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალ. სულაბერიძისა და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები;

ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, მახვილაურის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, მაჭახელას ქუჩის კეთილმოწყობა;

ქალაქ ბათუმში, ოპიზრების, ტაოს და აკაკი შანიძის ქუჩების რეაბილიტაცია (ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ჭოროხის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კეთილმოწყობა ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის №48-მდე;

ქიქავას ქუჩის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ნ. გოგოლის ქუჩის (სერგი მესხის ქუჩის კვეთიდან ნ. გოგოლის და წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებლის ქუჩის კვეთამდე) კეთილმოწყობა;

1.1.2 ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვისა და ი. ჯავახიშვილის ქუჩების დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N10-ის მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე ტროტუარის კეთილმოწყობა ნიკოლოზ ბარათაშვილის კვეთიდან კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის კვეთამდე და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე ტროტუარის კეთილმოწყობა ეგნატე ნინოშვილის ქუჩის კვეთამდე;

ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის და შოთა რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, მამია გოგოლიშვილის ქუჩა N57-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ნადიმ ნიჟარაძის ქ. N10-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სათნოების ქუჩა N1-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მახვილაურის ქ. N55-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (99 მისამართი) (2024-2025 წწ.);

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (42 მისამართი) (2024-2025 წწ.);

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (59 მისამართი) (2025 წწ.);

ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის და ფიროსმანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, შალვა ინასარიძის ქუჩის და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩის და გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობა (მეორე ეტაპი);

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის საჭირო გადაუდებელი სამუშაოები;

ქ. ბათუმში, შალვა ნუცუბიძის ჩიხების კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №109-დან აფსაროსის გზატკეცილი II შესახვევი №27-მდე დამაკავშირებელი ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სვიმონ კანანელის ქუჩა №39-41ბ-ს მიმდებარედ ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ქუჩის, ქეთევან წამებულის I, II ჩიხების და გალაქტიონ ტაბიძის I ჩიხის კეთილმოწყობა;

მამია გოგოლიშვილის ქ.№30-ის მიმდებარედ ბეტონის გზის მოწყობა;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა- მონტაჟი;

პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება (2025-2026წწ.);

ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 03; 02 01 06)

ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების სისტემის გაფართოებას და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

1.1.3 გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაცია;

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი;

ქ. ბათუმში, ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 01 07)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

1.1.4 არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი - სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ადამიანთა გადაადგილების სხვადასხვა საშუალებებს შორის, ყველაზე ეფექტიან ტრანსპორტადაა მიჩნეული. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მაღალი სიმჭიდროვის პირობებში, როცა კერძო ტრანსპორტი იწვევს დატვირთულობას და ქმნის საცობებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემას ცალკე გამოჰყოფენ მისი შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

1.2 მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც საზოგადოების ფართო მასაა მისი მომხმარებელი. ყოველივე აღიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება, რაც გულისხმობს თანამედროვე, ადაპტირებულ და საჭიროების მქონე ყველა პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ სატრანსპორტო სერვისს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, პარკირების სერვისისა და მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის მართვა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კერძოდ:

1.2.1 შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);

"შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის" მუნიციპალური მიკროავტობისის და ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება.

სატრანსპორტო სისტემის განვითრების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 02 01)

1.2.2 ქალაქის სატრანსპორტო მართვის სისტემების, ველო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კერძოდ: საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების (ITS) განვითარება, ასევე, ველოგადაადგილების გენერალური გეგმით დასახული ველო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ავტობუსების სპეციალური სავალი ხაზების გაუმჯობესება-გაფართოების ღონისძიებების განხორციელება.

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის მიზანი - ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა.

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი გულისხმობს ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას.

1.3 ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია;

- კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;

- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება.

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 03 01)

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოების და გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია,

ლეხ და მარია კაჩინსკების ქ. N35-დან ადლიის ქუჩის პარალელურად ადლიის ქ. N76-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქუჩა №14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, იოანე ლაზის ქუჩა №5ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ხახულის ქუჩის №66-დან №68-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის IV ჩიხის სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თამარ მეფის ქ. N47-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა (II ეტაპი);

ქ. ბათუმში, გაზაფხულის ქუჩის N15-დან თბილისის ქუჩის N62-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, იბერიის ქუჩის N24-ის მიმდებარედ სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში შპს ,,შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი"-ს ბულვარში მდებარე ზღვის წყლის საქაჩი ძველი სატუმბო სადგურის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა;

ქ. ბათუმში,ილია ჭავჭავაძის და პეტრე მელიქიშვილის ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხის მოწყობა;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (სანიაღვრე სისტემები) სალიკვიდაციო სამუშაოები (17 მისამართი);

ქ. ბათუმში,კახი კავსაძის ქუჩა №23-25-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

1.3.1 ქ. ბათუმში, მახვილაურის დასახლება №34-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, ურეხის დასახლება №35-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, კახაბრის ქუჩა №34ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია გოგოლიშვილის I შესახვევი №3-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი III შესახვევი №11-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №61ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №113დ-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის და ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სვიმონ კანანელის ქუჩა №44-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ბათუმგორის ჩიხი №16-ის და ბათუმგორის ქუჩა №33ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

მუსხელიშვილის ქ. №73-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

რუსთაველის ქ. №53-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

იოსებ გრიშაშვილის ქ. №17-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

მამია გოგოლიშვილის ქ.№81-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქსენია ბახტაძის ქ.№11-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

სერგი მესხის ქ. №53-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

აკაკი შანიძის მე-3 ჩიხი №3-5-7-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაობის ტექნიკური ზედამხედველობა.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სასმელის წყლის სისტემის და 300 კბ.მ. სამარაგო-საწნეო რეზერვუარის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა;

1.3.2 ქ. ბათუმში მდინარე ყოროლისწყლის დამბისა და წყალმიმღები კონსტრუქციის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კბ.მ. წყლის რეზერუარის მშენებლობა და ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა;

წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთების საფასურის დაფარვა (საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით -20 მმ დიამეტრის მილი).

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

1.3.3 სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობა.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გახორციელდება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და

1.3.4 მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, კერძოდ ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გაიუმჯობესოს ან/და შეიქმნას უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობები.

1.4 პროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებასა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა; მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის მიზანია საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა. რომლის ფარგლებში განხორციელდება:

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;

1.4.1

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია;

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა.

ბათუმის მოსახლეობისთვის თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს შექმნისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქვეპროგრამით

1.4.2 გათვალისწინებულია ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაციის ღონისძიება;

ქ. ბათუმში ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა.

ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენებლობა.

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის მიზანი - მუნიციპალური სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მოვლა-პატრონობაში აქვს 44.3 ჰა მუნიციპალური სასაფლაოებისათვის განკუთვნილი ტერიტორია, სადაც ხორციელდება, როგორც

1.5 მოვლა-პატრონობის, აგრეთვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები, სასაფლაოების პასპორტიზაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზრუნველყოფილია მუნიციპალური სასაფლაოების გამართული ფუნქციონირება.

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1.5.1

ადმინისტრირება და მართვა;

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02

06)

პროგრამის მიზანი - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დაგეგმვა, მოწყობა, მოვლა-პატრონობა, მშენებლობა-რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქ ბათუმის სტრატეგიული განვითარებისათვის.

1.6

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა-პატრონობისა და განვითარების ღონისძიებები ხორციელდება შეუფერხებლად.

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

ქვეპროგრამის მიზანია - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია;

სხვადასხვა ტურისტული ობიექტების მართვა;

1.6.1

საქალაქო ინფრასტრუქტურის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით);

1.6.2 მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

1.6.3 ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ფარგლებში შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან მათი რეაბილიტაციის შემთხვევაში, ასევე ავარიული, სარემონტო ან/და დაზიანებული შენობა ნაგებობების დროს დაზარალებული მოქალაქეთა ბინის ქირითა და საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის მიზანია - ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა.

1.7 ქალაქ ბათუმში სათანადო ყურადღება ეთმობა ქალაქის სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას ბათუმელებისა და ქალაქის სტუმრებისათვის სადღესასწაულო განწყობა. უკანასკნელ წლებში, ქალაქში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების წყალობით გაჩნდა გაფორმების ახალი, უფრო სრულყოფილი საშუალებები. მათი მაქსიმალური დატვირთვით შესაძლებელი გახდება ქალაქის სივრცის ოპტიმალური და ეფექტური გამოყენება სადღესასწაულო და საინფორმაციო თვალსაზრისით.

ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა, რომლის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

- ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 07 02)

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

1.7.1 'საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმებისათვის საახალწლო მანათობელი კონსტრუქციების და სხვადასხვა მოწყობილობების შესყიდვა;

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდები 02 07 04)

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

1.7.2 ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარებისა და
2 **სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)**

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ

მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსში. ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც
2.1 მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;

ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;

2.1.1 ნარჩენების გატანა;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

2.1

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება.

ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსში. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა; ქალაქის გამწვანების ღონისძიებები; ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;

- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

- ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდები 03 02 01)

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქ, ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვნარში სკვერის მოწყობა

ქ, ბათუმში, ძმები ნობელების ქუჩა N41-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

დაბა ჩაქვი, თამარ მეფის გამზირზე ს/კ20.48.02.068 სკვერის მოწყობა

ქ, ბათუმში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N88 მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ფრიდონ ხალვაშის გამზირის მიმდებარედ, შანიძის ქუჩის კვეთიდან, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კვეთამდე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, გორგილაძის ქუჩა N54-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N47-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, გოდერძი ჩოხელის ქუჩა N45-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ზ. ნაჭყებიას ქუჩა N2-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშჩევსკის ქუჩა N36-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი N5ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, კახაბრის ქუჩა N32-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა N37-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ტბეთის შესახვევი N11-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, პარმენ რურუას ქუჩა N4-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, პარმენ რურუას ქუჩა N13-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, სერგი მესხის ქუჩა N40-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N209-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

2.1.1 ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N165ბ-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, რეზო თაბუკაშვილის ქუჩა N19-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ჩიხი N4ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, თამარის დასახლება N6-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, კახაბერის ქ. N28-ში არსებული სპორტული მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი III შესახვევი N1, N2, N4, N8-10, N14, N20-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ხახულის ქუჩა N32, N34 და N36-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ნურეთინ ჩარმიქლის ქუჩა N5-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის I ჩიხი N14-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, წმ. თევდორე აჭარელის ქუჩა N59-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, პ. ბაგრატიონის ქუჩა N28-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ი. მესხის ქუჩა N2ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, სვიმონ კანანელის ქუჩა, N1ა-ში სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი II ჩიხი N5-ის მიდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ზაზა ფანასკერტელ ციციშვილის ქუჩაზე N3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, გ. ტაბიძის ქუჩა N31, N33, N35, N37, N39-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, გ. ტაბიძის ქუჩა N25-ის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა

ქ. ბათუმში,გ. ლეონიძის ქუჩა N6ბ, N6ვ-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, გენერალ ა. აბაშიძის N48-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლების ტერიტორიაზე, მიუსაფარ ძაღლთა თავშესაფრის კომპლექსის მოწყობა

ქ. ბათუმში, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N32-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ცენტრალური პარკის დაცვა.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;

სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;

2.1.2

ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 02 04)

მართვა ადმინისტრირება;

2.1.3

მცენარეთა კოლექციის, ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები;

ეკო საგანმანათლებლო ღონისძიებები.

პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

3

სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.

3.1

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;

- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო.

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა:

საბავშვო ბაღების მართვა-ადმინისტრირება;

3.1.1

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ტრენინგები.

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02-04 01 03)

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KfW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

3.1.1

საბავშვო ბაღების შენობების კეთილმოწყობა (დემონტაჟი-მშენებლობა-გამაგრება-რეაბილიტაცია)

ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქ. N33 „დ“-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, ივანე მესხის I ჩიხი N7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N188-ში (დასახლება მეჯინისწყალი) მდებარე, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის მიზანი - ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშწყობა და ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება.

ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა და უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარება.

3.2

უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და დეფიციტურ და მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა, ბათუმელი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების სტიმულირების გზით მათი აკადემიური მოსწრების ამაღლება.

პროგრამა 2025-2028 წლებში მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

2. სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი - ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და წახალისებულია ბათუმელი სტუდენტება

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა	ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მუნიციპალური ქვეპროგრამის ფარგლებში 2025 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება ბაღში მცენარეთა კოლექციის მოვლა-პატრონობის, შევსების, განახლებისა და კონსერვაციის ღონისძიებები. განხორციელდება ბოტანიკური ბაღის ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა. ჩატარდება ბაღის სამეურნეო, აგრო-ტექნიკური და სარეაბილიტაციო სამუშაოები. უზრუნველყოფილი იქნება წარმომადგენლობითი და ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიების წარმატებით განხორციელება. გაგრძელდება ზოოკუთხის მობინადრეთა და ტერიტორიის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მოხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. ბაღის მოვლა-პატრონობის სამუშაოების ფარგლებში, წლის განმავლობაში გაგრძელდება ბაღის ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებსა და პარკებში ეგზოტურ მცენარეთა მონიტორინგი და ფენოლოგიური დაკვირვება, მცენარეთა ინტროდუქციასთან დაკავშირებული ღონისძიებები, კოლექციის კონსერვაციის ღონისძიებები, ბაღის კოლექციის დაუზუსტებელი სახეობების რკვევასთან, ანალიზთან და დაზუსტებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, თესლის ბანკის შევსებასთან და გაცვლითი ფონდებით სარგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, გატარდება ასაკოვანი ეგზოტების სარეზერვო ფონდების შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები, ხელი შეეწყობა ბაღის ჰერბარიუმის ფონდის შევსება-აღდგენასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას, ამ მიზნით, ასევე თესლთა გაცვლის საერთაშორისო სისტემაში ჩართულობისათვის მოეწყობა ექსპედიციები სხვადასხვა ფლორისტულ ოლქებში. ჩატარდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე სახეობათა გამოყვანასთან დაკავშირებული ღონისძიებებიც. მუნიციპალური ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდება ყვავილოვან და დეკორატიულ მცენარეთა კოლექციის განახლებასთან და ინტროდუქციასთან დაკავშირებული ღონისძიებები, განხორციელდება ბაღის ტერიტორიის ლანდშაფტურ-არქიტექტურულ ზედამხედველობა. გაგრძელდება ვარდების, კამელიების და სხვა დეკორატიულ-ყვავილოვან მცენარეთა კოლექციის დაზუსტებასა და კოლექციის შევსება-აღდგენასთან დაკავშირებული სამუშაოები. გატარდება ღონისძიებები ფიტოპათოლოგიური, ენტომოლოგიური და ენტემოპათოგენური დაავადებების შესწავლასთან დაკავშირებით. ინტენსიურად იწარმოებს ბაღის ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული ზედამხედველობა, რის ფარგლებში ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებში და საკოლექციო ნაკვეთებში მოხდება კოლექციაში არსებული ხნოვანი, დაავადებული ეგზოტების აღრიცხვა და მათი ჩანაცვლების მიზნით სანერგეებში და სათბურებში სარგავი მასალის გამოყვანა. ასევე, დაითესება ადგილობრივი და ველური ფლორის ახალი სახეობების თესლები. შეძენილი იქნება აგროქიმიკატები და მცენარეთა დაცვის საშუალებები. კვლავსათბურები გაიწმინდება, გადაიბარება, გაფხვიერდება და შეტანილი იქნება მინერალური სასუქები, ჩატარდება ნიადაგდაცვითი სამუშაოები. ჩატარდება ბაღის ციტრუსოვანთა და ხეხილ-კენკროვანთა კოლექციის შევსება-განახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები და შესაბამის საკოლექციო ნაკვეთებზე აგრო-ტექნიკური სამუშაოები. ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ბაღის ტერიტორიაზე სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, ყოველდღიურად განხორციელდება გზების, ბილიკების, სანიაღვრე არხების, ღობეების მონიტორინგი. ბაღი მონაწილეობას მიიღებს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში. წარმატებით განხორციელდება ეკო-საგანმანათლებლო პროექტი ,,უფრო ახლოს ბუნებასთან", მოეწყობა სხვადასხვა მცენარეთა პოპულარიზაციის მიზნით გამოფენები, ასევე, ბაღი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. უზრუნველყოფილი იქნება ვიზიტორთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ელექტრომავტობუსებით, ასევე უზრუნველყოფილი იქნება სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამართულად მუშაობა. ზოოკუთხის მოვლა-პატრონობის ღონისძიების ფარგლებში ზოოლოგიური განყოფილებაში მობინადრეები უზრუნველყოფილი იქნებიან საკვებითა და პირველადი სამედიცინო მედიკამენტებით, ასევე ზოოლოგიური განყოფილება აღიჭურვება სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. მუნიციპალური ქვეპროგრამის ფარგლებში ბაღი უზრუნველყოფილი იქნება მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით; საკანცელარიო, სანტექნიკური, ელექტრო და სამშენებლო მასალებით, სამეურნეო და ჰიგიენური საქონლით. ბაღში დასაქმებული პერსონალისთვის შეძენილი იქნება სხვადასხვა სახის სპეც.ტანსაცმელი და აქსესუარები. ბაღის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდება საინფორმაციო და სარეკლამო სახის ბეჭდვითი მომსახურებები. უზრუნველყოფილი იქნება სატელეფონო, ინტერნეტკავშირის, რადიო-ტელეფონების და სპეტრული არხების გამართულად მუშაობა. ბოტანიკურ ბაღში ინფრასტრუქტურული პროექტების შემდგომი განხორციელებისათვის მომზადდება სხვადასხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. გაგრძელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, რომელიც გაზრდის ბაღის პოტენციალს და ეფექტურს გახდის სამეურნეო საქმიანობას.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჟზრუნველყოფილია ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, შექმნილია დამატებითი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა, განხორციელებულია საგანმანათლებლო და ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაციის ღონისძიებები.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	განხორციელებული ეკო- საგანმანათლებლო პროექტების რაოდენობა, გამოფენები (ცალი)	6	6	30% - გარემო პირობების ფაქტორი
2	ჰერბარიუმის ფონის შევსება-გამდიდრებასთან დაკავშირებით შეგროვებული ჰერბარიუმის ფურცლების რაოდენობა (ცალი)	200	200	5% - გარემო პირობების ფაქტორი
3	მცენარეთა სახეობები, რომელთა დამატება-განახლება განხორციელდა (ცალი)	535	540	20% - გარემო პირობების ფაქტორი, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირბების შეუსრულებლობა
4	სანერგე მეურნეობაში გამოყვანილი ნერგებისა და ჩითილების რაოდენობა (ცალი)	100,000	100,000	5% - გარემო პირობების ფაქტორი
5	შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა (ცალი)	12	6	40% - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირბების შეუსრულებლობა
6	შეძენილი ელექტრო ტრანსპორტის ოდენობა	3	4	30% - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირბების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**ადმინისტრირება და მართვა**				**8,538,800**		**8,538,800**
	შრომის ანაზღაურება	პირი	82	29,245	2,398,100		2,398,100
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	168	19,755	3,318,900		3,318,900
	საქონელი და მომსახურება, სხვა მიმდინარე ხარჯები				2,821,800		2,821,800
2	**მცენარეთა კოლექციის, ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები**				**350,600**		**350,600**
3	**წარმომადგენლობითი და ეკო საგანმანათლებლო ღონისძიებები**				**67,000**		**67,000**
4	**ზოოკუთხის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები**				**237,200**		**237,200**
5	**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა**	ცალი	6	2,000	**12,000**		**12,000**
6	**გოდერძის ალპური ბაღის ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები**				**60,000**		**60,000**

6	გოდერძის ალპური ბაღის (ს.კ. 23.14.36.339) ტერიტორიაზე სხვადასხვა არეალებილიტაციო სამუშაოები				27,000		27,000
7	ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე 40 ერთეული კამერის მოწყობის სამუშაოები	ცალი	40	8,050	322,000		322,000
8	ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ჩრდილო-ამერიკულ ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებაში სივრცის პერიმეტრზე არსებული კედლის თავზე ანაკრები პანელური ღობის მოწყობის სამუშაოები				4,200		4,200
9	ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ჩაქვის რკინიგზის მხარეს სანერგე ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები				235,000		235,000
10	ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ადმინისტრაციიდან გორდეზიანის სკვერის მიმართულებით ბილიკის მოწყობის სამუშაოები				253,000		253,000
11	ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მექსიკური (კრასნოვის) ფიტოგეოგრაფიული განყოფილებიდან ზღვისპირა პარკში დამაკავშირებელი საფეხმავლო კიბის რეაბილიტაციის სამუშაოები				10,100		10,100
12	ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე შემოსასვლელი ჭიშკრების მოწყობის, პანდუსის მოწყობისა და ვიზიტორთა ცენტრის შენობის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები				93,200		93,200
13	ბაღის ტერიტორიაზე ხუთ ლოკაციაზე წყაროს მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები	ლოკაცია	5	7,700	38,500		38,500
14	ბაღის ტერიტორიაზე გადასახედებთან და სატრანსფორმატორო კვანძთან ბეჭდური ბეტონის შეკეთების (ბაზალტის მოწყობა) სამუშაოები				29,100		29,100
15	ბაღის ტერიტორიაზე სათბურების მცირე რეაბილიტაცია, მცენარეების თაროს მოწყობა და სამუშაო ოთახების დამატება				59,000		59,000
16	ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ბიბლიოთეკის შენობის სახურავის ახლით შეცვლა, შენობის ფასადის შეფუთვა, სამზარეულოს და საპირფარეშოს ოთახების რეაბილიტაციის სამუშაოები				107,400		107,400
17	ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული ვარდნარის შენობის შეფუთვა და რკინის კონსტრუქციების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები				47,000		47,000

18	**ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ლაბორატორიული კორპუსის ფასადის შეფუთვა, აივნების რეაბილიტაციით, ასევე არსებული საწყობისთვის დამატებით ფართის რეაბილიტაციის სამუშაოები**				**145,000**		**145,000**
19	**ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული მოაჯირების კედლების და სხვადასხვა სახის მცირე რემონტის, ღებვის და მოპირკეთების სამუშაოები**				**59,100**		**59,100**
20	**ზოოპარკის ტერიტორიაზე მე-4 და მე-5 ვოლერების სახურავის შეცვლის სამუშაოები**				**31,000**		**31,000**
21	**ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე შემავალი პირსის ხიდზე მოაჯირების შეცვლის სამუშაოები**				**61,100**		**61,100**
22	**ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე სასოფლო გასასვლელიდან ღობის მოწყობის სამუშაოები**				**14,400**		**14,400**
23	**მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება**				**623,800**		**623,800**
	სამგზავრო ელექტრო ავტობუსებისა და მცირე ზომის სატვირთო ელექტრო მობილის შეძენა	**ცალი**	**4**	**44,875**	**179,500**		179,500
	ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა	**ცალი**	**5**	**3,020**	**15,100**		15,100
	კომპიუტერულ-პერიფერიული ტექნიკის შეძენა (კომპიუტერი, ლეპტოპი თერმოპრინტერი, პრინტერი, იუპიესი, პროცესორი)	**ცალი**	**15**	**2,933**	**44,000**		44,000
	ხე-მცენარეების შეძენა				**229,000**		229,000
	სერვერის და სვიჩის შეძენა	**ცალი**	**2**	**9,300**	**18,600**		18,600
	სქროლის შეძენა (ელექტრო სკუტერი)	**ცალი**	**3**	**4,000**	**12,000**		12,000
	ავეჯის შეძენა				**2,000**		2,000
	კონდიციონერის შეძენა	**ცალი**	**10**	**2,150**	**21,500**		21,500
	საოჯახო ტექნიკის შეძენა (გაზქურა, მაცივარი)	**ცალი**	**4**	**1,050**	**4,200**		4,200
	ფოტო-ვიდეო აუდიო აპარატურის შეძენა'(ფოტოაპარატის ობიექტივი)	**ცალი**	**1**	**2,000**	**2,000**		2,000
	რადიო სადგური (რაცია) შეძენა	**ცალი**	**2**	**800**	**1,600**		1,600
	რადიოსადგურის გამანაწილებელი რეპიტერის შეძენა	**ცალი**	**1**	**8,300**	**8,300**		8,300
	პემზის შეძენა	**ცალი**			**5,000**		5,000
	სასოფლო სამეურნეო ინვენტარის (კიბე) შეძენა	**ცალი**	**1**	**1,500**	**1,500**		1,500
	ელ. მობილების აკუმულატორები (5 კომპლექტი)	**ცალი**	**60**	**1,167**	**70,000**		70,000
	მეცხოველეობის პროდუქტების (ფუტკრის ოჯახი) შეძენა	**ცალი**	**1**	**3,500**	**3,500**		3,500
	შლაგბაუმის შეძენა გოდერძის ალპური ბაღისთვის	**ცალი**	**1**	**6,000**	**6,000**		6,000
სულ ქვეპროგრამა					**11,425,500**	**0**	**11,425,500**

№	დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პრიორიტეტის დასახელება	პრიორიტეტის დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
04 00	განათლება		**54,520,300**	**61,680,000**	**66,543,000**	**67,396,000**

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	54,076,300	61,450,000	66,288,000	67,126,000
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	444,000	230,000	255,000	270,000

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			54,076,300	61,450,000	66,288,000	67,126,000

პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა	
	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისობა პროგრამასთან	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა
პროგრამის აღწერა	სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა ადა განათლების დაწესებულებები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განვითარებისათვის ასევე მნივნელოვანია ამ მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელება, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა - გაზიარება, ქართულ და უცხოურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ასევე, აღმზრდელთა დაფასება და სტიმულირება. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამები: 1. ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება; 2. საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია;	
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო	

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	

1	მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა	9,295	10,135	11,255	11,885	12,515	10% -' შესაძლო დასაშვები მომართვიანობის რაოდენობის ცვლილება
2	შესაბამისი სტანდარტის მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა	34	36	38	40	42	10% - მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულება
3	მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის მსურველ მოქალაქეთა დაუკმაყოფილებელი განაცხადების რაოდენობის კლების % მაჩვენებელი საბაზო მაჩვენებელთან შედარებით	7%	6%	5%	3%	3%	2% - საბავშვო ბაღების მშენებლობის შეჩერება
4	ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით რეაბილიტირებულია მუნიციპალური საბავშვო ბაღები (არაუმეტეს)	3	3	2	2	2	10% - მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულება

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
04 01 01	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	სკოლამდელი აღზრდა და განათლება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება		38,894,100	43,000,000	47,000,000	47,000,000

ქვეპროგრამის მიზანი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისთვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების სათამაშოებით, ავეჯითა და საკანცელარიო ნივთებით, სამედიცინო და ფარმაცევტული პროდუქტებით უზრუნველყოფა. ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საბავშვო ბაღების აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან მაქსიმალურად მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტებით და დაცულია კანონმდებლობით დადგენილი კვების რაციონი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ფარგლებში დაგეგმილია საბაშვო ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების (სახურავების შეკეთება, სარდაფების მოწესრიგება, შიდა კოსმეტიკური სამუშაოები და ა.შ.) ჩატარება, ასევე საბავშვო ბაღების ელექტროტექნიკით, თეთრეულით, ჭურჭლით, ავეჯით და პირადი ჰიგიენის საშუალებებით უზრუნველყოფა. 2025 წელს ექსპლუატაციაში შევა 2 ახალი 8 ჯგუფიანი საბავშვო ბაღი და ქალაქში იფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების 40 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, რაც შეადგენს 287 სააღზრდელო ჯგუფს და მოემსახურება 10 135 აღსაზრდელს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური დაწესებულებების მართვა განხორციელდება ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მეშვეობით, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საკადრო რესურსი, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და გამოცდილება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		ინდიკატორის მაჩვენებლები: საბაზისო 2024 წელი	ინდიკატორის მაჩვენებლები: მიზნობრივი 2025 წელი	ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
1	მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა	ბიჭი	4,722	4,845	10% - მომართვიანობის ცვლილება
		გოგო	4,923	5,290	10% - მომართვიანობის ცვლილება
2	შშმ სტატუსის მქონე აღსაზრდელთა რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი სააღმზრდელო პირობებით		293	342	10% - მომართვიანობის ცვლილება
3	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და რეგულაციებს		34	36	10% - მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**მართვა-ადმინისტრირება**				**29,336,804**	**29,336,804**	
	შრომის ანაზღაურება	პირი	1,686	14,729	24,833,700	24,833,700	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	21	10,890	228,700	228,700	
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (სხვა ხარჯები)	შენობა-ნაგებობა	41	104,254	4,274,404	4,274,404	
2	**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა**	**აღსაზრდელი**	**10,135**	**671**	**6,800,000**	**6,800,000**	
3	**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება**				**2,757,296**	**2,757,296**	**0**
	სათამაშოები	საბავშვო ბაღი	40		650,000	650,000	
	ავეჯი	საბავშვო ბაღი	12		928,796	928,796	
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენა	საბავშვო ბაღი	11		580,000	580,000	
	ბაღებისათვის სამზარეულოს ინვენტარის შეძენა (ჭურჭელი)	საბავშვო ბაღი	11		200,000	200,000	
	ელექტრო ტექნიკის შეძენა	საბავშვო ბაღი	4		70,000	70,000	
	კომპიუტერიული და პერიფერიული ტექნიკა	საბავშვო ბაღი	40		78,500	78,500	
	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	საბავშვო ბაღი	40		120,000	120,000	
	სახელმძღვანელო წიგნები	საბავშვო ბაღი	40		90,000	90,000	
	ელექტროქურა	საბავშვო ბაღი	4	7,500	30,000	30,000	
	სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის პროგრამა				10,000	10,000	
სულ ქვეპროგრამა					**38,894,100**	**38,894,100**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
04 01 02 04 01 03	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	სკოლამდელი აღზრდა და განათლება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური; ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			15,182,200	18,450,000	19,288,000	20,126,000

ქვეპროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა მუნიციპალურ შენობებში
ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქის განვითარებასთან ერთად მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა, კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას. ესთეტიკური და მიმზიდველი გარემოს შექმნა ქართულ საბავშვო-საგანმანათლებლო სივრცეს კიდევ უფრო დაახლოებს თანამედროვე ევროპულ-საგანმანათლებლო სივრცესთან. ქვეპროგრამის განხორციელება საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელს გახდის სახელმწიფოებრივ ზრუნვას მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად, ბავშვებს შეექმნებათ უსაფრთხო გარემო, შეიქმნება მომავალი თაობისათვის გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის სათანადო პირობები. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ბაღების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია და ახალი ბაღების მშენებლობა. საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობით მიმდინარეობს პროექტი „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს ბათუმის საჯარო საბავშვო ბაღების სრულ რეაბილიტაციას (ენერგოეფექტურობის, სტრუქტურული, კომფორტის და უსაფრთხოების ღონისძიებები). პროექტს 7 549 385,09 ევროს ოდენობით გრანტის სახით დახმარებას უწევს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW). ბათუმის მუნიციპალიტეტის დამატებითი საპარტნიორო თანამონაწილეობა შეადგენს საგრანტო თანხის 10%-ს საბავშვო ბაღების ეზოების რეაბილიტაციისთვის და ყოველგვარი გადასახადების (მათ შორის დღგ), სხვა სახელმწიფო მოსაკრებელსა და ბაჟის თანხებს. 2024 წლის ზაფხულში დაიწყო და 2025 წელს დასრულდება N6, N10, N16 საჯარო საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები,2025 წელს დაიწყება სამუშაოების პროცესი N9 და N15 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით და დასრულდება 2026 წელს. მითითებული პროექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს განახლებადი ენერგიის გამოყენების ტექნოლოგიების დანერგვას შენობების გათბობა-გაგრილების სისტემებში (მათ შორის წყლის გამათბობლები), შენობის ენერგოეფექტურად დათბუნების ღონისძიებებს: კარ-ფანჯრების სრულად ჩანაცვლებას შესაბამისი სტანდარტების დაცვით, შენობის კედლების/ჭერის შეფუთვა/იზოლაციას (მათ შორის სარდაფის ჭერის) შენობის სრულ რემონტს (ხდება ასევე ოთახების რედიზაინი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით), ელექტრო-ქსელების სრული და წყლის და საკანალიზაციო ქსელების (მათ შორის ნიჟარები, ონკანები და ამ გარდა იატაკში არსებული ქსელისა, რომელიც იცვლება საჭიროების შემთხვევაში) შეცვლას, უსაფრთხოების ღონისძიებებს (სახანძრო კიბეების და სხვა შესაბამისი სამუშაოები).
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	კაპიტალურად რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობების რაოდენობა	2		არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა,
2	ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება	3	5	არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
3	განხორციელებულია სამუშაოები საბავშვო ბაღების ენერგოეფექტურად გარდაქმნის თვალსაზრისით	3	3	არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ქ. ბათუმში, ივანე მესხის I ჩიხი N7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	ერთეული	1	4,772,773	**4,772,773**	4,772,773	
2	ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქ. N33 „დ“-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	ერთეული	1	4,990,828	**4,990,828**	4,990,828	
3	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	ერთეული	1	1,694,675	**1,694,675**	1,694,675.00	
4	ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N83-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა	ერთეული	1	123,756	**123,756**	123,756.00	
5	ქ. ბათუმი, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	ერთეული	1	72,799	**72,799**	72,799.00	
6	ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N188-ში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა	ერთეული	1	1,573,000	**1,573,000**	1,573,000.00	
7	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	პროექტი	6	42,528	**255,169**	255,169	
8	ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KFW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება				**1,699,200**	1,699,200	
სულ ქვეპროგრამა					**15,182,200**	**15,182,200**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქ. ბათუმში, ივანე მესხის I ჩიხი N7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2024-2025 წ წ.) შეადგენს 5 272 755,4 ლარს.
2	ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქ. N33 „დ“-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2024-2025 წ წ.) შეადგენს 5 490 766,17 ლარს.
3	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2023-2024 წ წ.) შეადგენს 4 555 085,17 ლარს.
4	ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N83-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2023-2024 წ წ.) შეადგენს 2 113 405,15 ლარს.
5	ქ. ბათუმი, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2023-2024 წ წ.) შეადგენს 4 410 201,56 ლარს.
6	ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N188-ში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2025-2026 წ წ.) შეადგენს 7 293 943,59 ლარს.
7	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა მრავალწლიანი პროექტია. სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2024-2025-2026 წწ.) შეადგენს 505 300,00 ლარს.
8	ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KFW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2021-2026 წ.წ.) შეადგენს 29 847 296.00 ლარს (საგრანტო თანხა, დღგ (18%), თანამონაწილეობა (10%)), მოცემული თანხა ლარში მიღებულია - 9 628 160.00 ევროს გამრავლებით ევროს გაცვლით კურსზე

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			444,000	230,000	255,000	270,000

პროგრამის მიზანი	ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშწყობა და ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება	
	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისობა პროგრამასთან	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
პროგრამის აღწერა	ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა და უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარება. უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და დეფიციტურ და მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა, ბათუმელი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების სტიმულირების გზით მათი აკადემიური მოსწრების ამაღლება. პროგრამა 2025-2028 წლებში მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: 1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; 2. სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.	
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები.	

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
1	სერტიფიცირებული ახალგაზრდების რაოდენობა	15	15	20	25	30	20% - მომართვიანობის ცვლილება (+/-)
2	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც დანერგილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	-	1	-	-	-	ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
3	სტიპენდიანტთა რაოდენობა	110	160	160	170	170	10% - მაღალი აკადემიურ მოსწრების მქონე ბათუმელ სტუდენტთა ნაკლებობა

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
04 02 01	პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			274,000	60,000	75,000	90,000

ქვეპროგრამის მიზანი	ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	ბათუმში, დინამიურად მზარდ ქალაქში, ყოველწლიურად იზრდება ბაზრის მოთხოვნა ცალკეული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი სწორედ ადამიანური რესურსების ხარისხია. დღესდღეობით სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიისწრაფის პროფესიული განვითარებისკენ. დამსაქმებლების ერთ–ერთ მთავარ მოთხოვნას პოტენციური თანამშრომლის მიმართ მისი გამოცდილება წარმოადგენს. NACE-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დამსაქმებელთა დაახლოებით 50% სტუდენტის რეზიუმეში სტაჟირებებს ანიჭებს უპირატებობას. ამავე ორგანიზაციის ცნობით, დაქირავებული თანამშრომლების 36% სწორედ სტაჟირების გავლის შედეგადაა მიღებული. მუნიციპალიტეტისათვის არსებითადაა მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების გაძლიერება, ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ მიმართულებით ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, ახალგაზრდა კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის; ახალგაზრდებისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ მომზადებას დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების მხარდაჭერას - გამოცდილების, უნარ-ჩვევების, კომპეტენციების და კარიერული განვითარების თვალსაზრისით. ქვეპროგრამის ფარგლებში განორციელდება შემდეგი ღონისძიებები: 1. ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა. ღონისძიება ითვალისწინებს ა) იმ ახალგაზრდების მხარდაჭერას (თანადაფინანსების ფორმატში), რომლებიც პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას გაივლიან უცხოეთში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ წინსვლა - განვითარებას. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 18-29 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და წარმოადგენს მოწვევის დამადასტურებელ დოკუმენტს. ბ) იმ ახალგაზრდების მხარდაჭერას (თანადაფინანსების ფორმატში), რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთში, საგანმანათლებლო - კულტურულ, სპორტულ - ახალგაზრდულ, მოხალისეობის და სხვა ნებისმიერი სფეროს/დარგის მიმართულებით პროექტებში/ღონისძიებებში (სწავლება /ტრენინგი ან სხვა), გამოცდილების, უნარ-ჩვევების, კომპეტენციების და კარიერული განვითარების თვალსაზრისით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 18-29 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და წარმოადგენს მოწვევის დამადასტურებელ დოკუმენტს. ღონისძიებების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსში გამარჯვებული თითოეული პირი, დახმარებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით დაფინანსდება არაუმეტეს 3 000 ლარისა, რაც მოიცავს მგზავრობის, ვიზის, დაზღვევის, მონაწილეობის/სარეგისტრაციო ან სხვა საფასურს. ქვეპროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება იწარმოებს 2025 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე. კონკურსანტთა შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს. კონკურსის ჩატარების პირობები - განცხადების მიღების ვადები, შეფასების კრიტერიუმები, გამარჯვებულის გამოვლენა, დახმარების გაცემის ვადები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

	2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით 2024 წელს , საქართველოს მასშტაბით 20 საჯარო სკოლაში დაინერგა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რაც წარმოადგენს შესაძლებლობას, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის შემდგომ მოსწავლეები სასკოლო გარემოშივე დაეუფლონ პროფესიულ განათლებას, რაც მათ შემდგომ რეალიზებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, ქალაქ ბათუმში შერჩეული იქნა სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა. "ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის N1098 განკარგულების შესაბამისად 2025 წლის 11 ივლისს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ. უფლებამოსილების დეკლეგირების ფარგლებში სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიზნით ,განხორციელდება შესაბამისი მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის).
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული ზრდა

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	სერტიფიცირებულ ახალგაზრდების რაოდენობა	15	17	20% -'განაცხადების რაოდენობა დამოკიდებულია მომართვიანობაზე
2	ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა	30	30	20% -'განაცხადების რაოდენობა დამოკიდებულია მომართვიანობაზე
3	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც დანერგილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	-	1	
4	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 80%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 80%-ზე მეტი	10% - ღონისძიების არასათანადო კავშირი ღონისძიების ინტერესებსა და საჭიროებებთან.

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა	პირი	17	3,000	51,000	51,000	
2	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხოციელება	ერთეული	1	223,000	223,000	223,000	
სულ ქვეპროგრამა					**274,000**	**274,000**	

№	დამატებითი ინფორმაცია

1	ღონისძიებებში მონაწილეობის მსურველებმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები: ა) შევსებული განაცხადის ფორმა: ბ საერთაშორისო პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლები: გ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმეტი: დ) სარეკომენდაციო წერილი; ე) მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი; ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4); ზ) თანადაფინანსების დამადასტურებელი საბუთი. თ) განათლების დამადასტურებელი საბუთი ან ცნობა სამსახურიდან, ხოლო თუ სტაჟირების მსურველი სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ცნობა ამ დაწესებულებიდან. დოკუმეტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დადასტურებული. ღონისძიებების დასრულების შემდეგ ბენეფიციარებმა უნდა წარმოადგინონ ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წერილობითი ანგარიში.
2	ქვეპროგრამით დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 17 პირის დაფინანსების შემდეგ, ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 17 პირზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
04 02 02	სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			170,000	170,000	180,000	180,000

ქვეპროგრამის მიზანი	ბათუმელ სტუდენტთა წახალისება
ქვეპროგრამის აღწერა	განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მისი მოტივირება. სწავლის მოტივაცია კი წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს სტუდენტის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, პირველ ყოვლისა წაახალისებს ქალაქისთვის პრიორიტეტულ და მნიშვნელოვანი მიმართულებების სტუდენტებს, რათა მათ გაზრდილი მოტივაციით მეტად აიმაღლონ სწავლის ხარისხი და საბოლოოდ ქალაქმა მიიღოს სპეციალისტი, რომელიც თავისი მიმართულებით მაღალკვალიფიციური იქნება. სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა ქვეპროგრამა „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: **1. ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის -** ღონისძიების ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს - საქართველოს მოქალაქეს, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და 2024 - 2025 სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების შესახებ დოკუმენტის თანახმად, საკონკურსო - საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით, მიღებული აქვს დადებითი შეფასება - 91 ქულა და მეტი. ქვეპროგრამით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია, ერთჯერადი გასაცემლის სახით, გაიცემა სემესტრში 70 წარმატებულ სტუდენტზე. მათ შორის: • პრიორიტეტული მიმართულებით - 50 სტიპენდიანტი; • სხვა მიმართულებით - 20 სტიპენდიანტი. თუ სემესტრში ვერ გამოვლინდა საუკეთესო შედეგების მქონე 50 სტიპენდიანტი პრიორიტეტულ მიმართულებების მიხედვით, მაშინ დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მოხდება, სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე/მიმართულებებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა შერჩევა. ერთ სტუდენტზე გაცემული სტიპენდიის ოდენობა ერთ სემესტრში შეადგენს 1 000 ლარს. კონკურსის ჩატარების პირობები - განცხადების მიღების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, პრიორიტეტული მიმართულებები, შეფასების კრიტერიუმები, გამარჯვებულის გამოვლენა, სტიპენდიების გაცემის ვადები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. **2. ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის -** სტიპენდიანტთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს, საზღვარგარეთ - ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის, ავსტრალიისა და იაპონიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის, ასევე, განაცხადის შემოტანის მომენტისათვის, რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და 2024 - 2025 სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების შესახებ დოკუმენტის თანახმად, საკონკურსო - საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით მიღებული აქვს დადებითი შეფასება: GPA (კარგი//მაღალი//ფრიადი//უმაღლესი).“ . სტიპენდია, ერთჯერადი გასაცემლის სახით, სემესტრში გაიცემა 10 სტიპენდიატზე. სტიპენდიის ოდენობა (თითოეულ სტიპენდიანტზე) შეადგენს 1500 ლარს (სემესტრში). კონკურსის ჩატარების პირობები - განცხადების მიღების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, შეფასების კრიტერიუმები, გამარჯვებულის გამოვლენა, სტიპენდიების გაცემის ვადები და სხვა დეტალები, განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	სტიპენდიანტთა რაოდენობა	120	160	10% - მაღალი აკადემიურ მოსწრების მქონე ბათუმელ სტუდენტთა ნაკლებობა
2	კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობა	220	320	20% -'განაცხადების რაოდენობა დამოკიდებულია სტუდენტთა მომართვიანობაზე
3	კონკურში მონაწილე სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 70%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 75%-ზე მეტი	10% - გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი

№	ღონისძიების დასახელება		პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
			განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა	პირი	70	1,000	70,000	70,000	
		2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა	პირი	70	1,000	70,000	70,000	
2	ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა	პირი	10	1,500	15,000	15,000	
		2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა	პირი	10	1,500	15,000	15,000	
სულ ქვეპროგრამა						**170,000**	**170,000**	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პრიორიტეტის დასახელება	პრიორიტეტის დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი		**34,147,701**	**53,846,900**	**54,692,524**	**60,861,505**

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	9,345,201	10,801,605	9,639,160	12,230,268
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	8,541,600	26,355,525	27,015,506	28,546,602
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	4,645,400	4,703,300	5,183,950	5,529,635
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	5,130,300	5,488,170	6,055,207	6,623,500
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	6,236,000	6,221,900	6,500,000	7,600,000
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	249,200	276,400	298,700	331,500

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			9,345,201	10,801,605	9,639,160	12,230,268

პროგრამის მიზანი	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
პროგრამის აღწერა	ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს და ანვითარებს ტვინის უჯრედებს. სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით: • ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სქოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები); აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას. პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად 2025-2028 წლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; - ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა; - სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა; - ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი ,,ნონა''; - ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
1	მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ პირთა რაოდენობა	1,700	6,082	5,000	5,500	6,500	10% - ნაკლები მომართვიანობა;
2	მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში მოღვაწე ადგილობრივი პროფესიონალი სპოტსმენების %-ლი წილი	60%	60%	70%	70%	80%	10% - ადგილობრივი სპორტსმენების დაბალი კონკურენციის უნარი.

3	მუნიციპალური კლუბების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა	8	8	8	8	8	40% - სპორტსმენთა არადამაკმაყოფილებელი ასპარეზობა/დაზიანება.
4	მუნიციპალური სპორტული სერვისებით მოსარგებლე ბავშვთა და მოზარდთა საერთო რაოდენობა	1,450	6,490	7,300	8,000	8,800	20% - ნაკლები მომართვიანობა;

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 01	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			1,352,200	1,524,200	1,829,000	2,194,800

ქვეპროგრამის მიზანი	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	მასობრივი სპორტი აერთიანებს ყველა პირს, რომელიც დაკავებულია ნებისმიერი სპორტული/ფიზიკური აქტივობის ორგანიზებული ან არაორგანიზებული ფორმით, განურჩევლად რასისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური მდგომარეობისა, რელიგიური მრწამსისა და ფიზიკური შესაძლებლობისა. მასობრივი სპორტის განვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის ფიზიკურ გაჯანსაღებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაციას. მასობრივი სპორტი პირდაპირ კავშირშია და წარმოადგენს საფუძველს მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისა. გარდა ამისა, მასობრივი სპორტის განვითარება შედეგს მრავალი მიმართულებით იძლევა, მათ შორის: - ბავშვებისა და ახალგაზრდების ენერგიის და აგრესიულობის მოქცევა ჯანსაღი სპორტული შეჯიბრების კალაპოტში; - თავისუფალი დროის ორგანიზებული ხარჯვა; - დაავადებათა პრევენცია, ფიზიკური აქტიურობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით, მასობრივ სპორტში აქტიური ჩართულობით დაავადებათა პრევენციისა და მოსახლეობის გაჯანსაღების საფუძვლების შექმნა. მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება ჩვენს ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით იძლევა პროგრესს და ზრდის სპორტით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობას; ქვეპროგრამის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც არ არიან ჩართული მაღალი მიღწევების სპორტულ კლუბებში, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. აღსანიშნავია ასევე, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდება რეგულარულად. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: **1. ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი** - პროექტი ითვალიწინებს ფეხბურთის სამი სახეობის გაერთიანებას. ეზოს ფეხბურთში მონაწილეობას მიიღებს ბათუმის 14 ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი. ეზოს ფეხბურთის მონაწილეებიდან მოხდება წარმატებული ბავშვების შერჩევა და გადაყვანა ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის სექციებში, ასევე მოხდება წარმატებული ბავშვების გადაყვანა მაღალი მიღწევების კლუბებში. პროექტის ფარგლებში ჩატარდება სხვადასხვა ფესტივალი, გამოვლინდება გამარჯვებული გუნდები და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ფეხბურთელები. ასევე, გამარჯვებული გუნდები გაემგზავრებიან ექსკურსიაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ზაფხულის პერიოდში ჩატარდება საპლაჟო ფეხბურთის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული და ადგილობრივი გუნდები. **2. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია** - პროექტში ჩაერთვება 50-მდე სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვი. სექციური მუშაობის ფარგლებში ჩატარდება აქტივობები კვირაში ორჯერ. მოზარდებთან იმუშავებს 2 მწვრთნელი, თერაპევტი და ფსიქოლოგი. წელიწადში ორჯერ ჩატარდება საჩვენებელი ფესტივალი. ფესტივალის მონაწილე მოზარდებს გადაეცემათ წამახალისებელი საჩუქრები. ღონისძიების მიზანია ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა. **3. სასკოლო ოლიმპიადა** - ღონისძიება ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში. კერძოდ, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, მხიარული თამაშები ბადმინტონი და ხელბურთი. მონაწილეობას მიიღებს ქ. ბათუმის ყველა საჯარო და კერძო სკოლა. ჯამში ჩართული იქნება 2000-მდე მოზარდი. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის ჩემპიონატში. ღონისძიების მიზანია ბავშვების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი. **4. ქვიშის სახეობების ფესტივალი** - ფესტივალი ჩატარდება სპორტის 5 სახეობაში, კერძოდ, ქვიშის ჰიდაობა, ტექბოლი, ქვიშის ფრენბურთი, ქვიშის რაგბი და ფუტვოლეი მოყვარულ სპორტსმენთა შორის, რომელშიც მონაწილე გუნდების რაოდენობა შეზღუდული არ იქნება. ჩემპიონატში მონაწილეობას 500-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს და მონაწილეობა აეკრძალებათ მოქმედ პროფესიონალ სპორტსმენებს. საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცემათ პრიზები და ფასიანი ვაუჩერები, რაც გაზრდის მოტივაციას და ხელს შეუწყობს გუნდებისა და სპორტსმენის ჩართვას სპორტის ამ სახეობებში.

	5. სპორტული ბანაკი - ბანაკის მონაწილეები შედგებიან 5 ცალკეული გუნდისგან, რომელთაც ეყოლებათ საკუთარი ფიტნეს-ინსტრუქტორი (მენტორი). გუნდები საკუთარი მენტორის ხელმძღვანელობით გეგმავენ და ატარებენ ფიზიკურ სახალისო ვარჯიშებს. ვარჯიშების მიზანია მოამზადოს გუნდები ფინალური შეჯიბრისთვის. ფინალური შეჯიბრი წარმოადგენს ე.წ. “დაბრკოლებების გზას”, რომლის გადალახვაც განსაზღვრულ დროში მოუწევს ყველა გუნდის თითოეულ მონაწილეს. ჯანსაღი ცხოვრების ბანაკი ემსახურება ახალგაზრდებში სპორტული ცხოვრების, სწორი კვების და ჯანმრთელობის უსაფრთხოების პოპულარიზაციას. ბანაკის ხანგრძლივობა 7 დღე, 50 ახალგაზრდა ნაკადში.
	6. ველო-მარათონი - ღონისძიებაში მონაწილეობა შეეძლება ნებიემიერ მსურველს. ველო-მარათონი ჩატარდება ზღვისპირა ზოლის პლომინატზე. გამოვლინდებიან გამარჯვებულებები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი ვაუჩერებით. ღონისძიების მიზანია მოხალისეების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.
	7. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება - ღონისძიება ითვალისწინებს ძველი ქართული სპორტის სახეობების გაცოცხლებას, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ყველა დაინტერესებული პირი. გამოვლინდება გამარჯვებულებები, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. ღონისძიების მიზანია მოხალისეების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი.
	8. ქვიშის ჰიდაობა - ფიზიკური აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვიშის ჰიდაობას, რომელიც გამოირჩევა ვარჯიშების სპეციალური კომპლექსით. აღნიშნული სექციის ფარგლებში ბათუმის სპორტული ცენტრის საპლაჟო კომპლესის ტერიტორიაზე მოეწყობა ქვიშის ჰიდაობის მოედანი. აღნიშნულ სექციაში ვარჯიშები ჩატარდება კვირაში 5 დღე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან. სექციის ფუნქციონირებაში თავდაპირველად ჩაერთვება ორი მწვრთნელი და ერთი კოორდინატორი. წლის განმავლობაში ჩატარდება ფესტივალი ქვიშის ჰიდაობაში, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა საჩვენებელი მასტერკლასები.
	9. მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარების ხელშეწყობა - მინდვრის ჰოკეი არის ერთ-ერთი პოპალარული ოლიმპიური სპორტის სახეობა. ფიზიკური აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მინდვრის ჰოკეის, სადაც ჩართული იქნება 50-მდე აღსაზრდელი. აღნიშნულ სექციაში ვარჯიშები ჩატარდება კვირაში 5 დღე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან. ღონისძიების მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა.
	10. ბათუმის სასკოლო ლიგა 2025 - ღონისძიების მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და თავისუფალი დროის ფიზიკური აქტივობით შევსება; მოტივაციის ამაღლება სკოლის მოსწავლეებში, მათი სპორტული ღონისძიებებით დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა; სასკოლო სპორტული შეჯიბრებების სისტემის შემუშავება ინოვაციური მეთოდების და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით; მასობრივი სპორტული ღონისძიებებით კერძო სექტორის დაინტერესება. ღონისძიებაში ჩართული იქნება ქალაქის მაშტაბით 12-დან 18 წლამდე 500-მდე კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლე.
	11. კიბერ ფეხბურთის ფესტივალი - ღონისძიება მოიცავს ტურნირის ორგანიზებას, სადაც მონაწილეები გაივლიან რეგისტრაციას, დაიყოფებიან ჯგუფებად და ფინალურ ეტაპზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები. მოეწყობა სათამაშო სივრცეები, რომლებიც აღჭურვილი იქნება PlayStation კონსოლებით, მონიტორებით, ტელევიზორებით, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით, განათებითა და აუდიო სისტემებით, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ და ხარისხიან თამაშის პროცესს. ღონისძიების პოპულარიზაციისთვის მომზადდება ბანერები, ფლაერები და სხვა საინფორმაციო მასალა, ამასთან დაიგეგმება ფოტოგადაღება, ვიდეომასალის შექმნა და ტურნირის სტრიმინგი ონლაინ პლატფორმებზე. ღონისძიების ბოლოს გაიმართება დაჯილდოების ცერემონია, სადაც გამარჯვებულებს გადაეცემათ თასები, მედლები და სპეციალური პრიზები. ფესტივალის წარმატებული ორგანიზებისთვის ჩართული იქნება ტექნიკური და საორგანიზაციო პერსონალი, კოორდინატორები და მოხალისეები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას.
	12.საქართველოს ღია ჩემპიონატი მოძრავ სამიზნე სროლაში- სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართება ღია ფესტივალი სროლაში, ღონისძიება ჩატარდება 4 სხვადასხვა კატეგორიაში. სულ ჩართული იქნება 60-მდე ადგილობრივი და რეგიონებიდან მოწვეული სპორტსმენები. გამოვლინდება გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცემათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი.
	13.ელექტრო სკუტერების ღია ფესტივალი - ღონისძიების ფარგლებში გაიმართება გარბენი ელექტრო სკუტერებით, მონაწილეობას მიიღებს 300 მდე მონაწილე. გამარჯვებული გამოვლინდება ოლიმპიური სისტემით(ანუ იქნება 1 გამარჯვებული) ასევე გამოვლინდებიან 1,2,3 ,ადგილოსნები, გამარჯვებულებს გადაეცემათ პრიზები .
	14.ბათუმის სპორტის ქალაქი -კონკურსი ითვალისწინებს გამორჩეული (სანახაობითი/მიმზიდველი/აქტუალური პროექტების შერჩევა - განხორციელებას, რომელთა ჩატარება ხელს შეუწყობს სამიზნე აუდიტორია/ჯგუფების გააქტიურებას, ჩართულობას, ბათუმელი სპორტსმენების (არაპროფესიონალი) სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას და ქალაქის სპორტული ღონისძიებების გამრავალფეროვნებას, ბათუმის, როგორც სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, პოპულარიზაციას, რეკლამირებას.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობა.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ჩატარებული სპორტული აქტივობების რაოდენობა	900	1,012	5% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა
2	სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა (ბიჭი/კაცი)	3,500	4,862	10% - მომართვიანობის ცვლილება
3	სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა (გოგო/ქალი)	900	1,100	
4	ეზოს, საპლაჟო და ფუტსალის ფეხბურთის გუნდების რაოდენობა	66	66	10% - მომართვიანობის ცვლილება
5	სპორტულ აქტივობებში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა	100	120	20% - მომართვიანობის ცვლილება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი**				**682,930**	**682,930**	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	30	10,931	327,930	327,930	
	სპორტული დარბაზის იჯარა (საპლაჟო და ფუტსალი)	თვე	5	2,000	10,000	10,000	
	ეზოს ფეხბურთის ღონისძიება	ტურნირი	1	20,000	20,000	20,000	
	ქვიშის ფეხბურთის ღია ფესტივალი (საერთაშორისო)	ფესტივალი	1	30,000	30,000	30,000	
	ფუტსალის გუნდის შიდა სატურნირო მივლინება	გასვლა	16	3,750	60,000	60,000	
	ქვიშის საერთაშორისო ფესტივალი EURO BEACH SOCCER LEAGUE GEORGIA 2025	ღონისძიება	1	150,000	150,000	150,000	
	ქვიშის ფეხბურთის გუნდის გასვლითი სატურნირო მივლინება (ქვეყნის გარეთ)	გასვლა	1	75,000	75,000	75,000	
	ქვიშის ფეხბურთის გუნდისათვის სათამაშო ფორმის და ინვენტარის შეძენა	ცალი	40	125	5,000	10,000	
2	**სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია**				**150,710**	**150,710**	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	9	10,452	94,070	94,070	
	დარბაზის იჯარა	თვე	12	970	11,640	11,640	
	სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული ფესტივალი	ფესტივალი	2	15,000	30,000	30,000	
	სპორტული ინვენტარი და ეკიპირება				15,000	15,000	
3	**სასკოლო ოლიმპიადა**	**ტურნირი**	**8**	7,500	**60,000**	**60,000**	
4	**ქვიშის სახეობების ფესტივალი**	**ფესტივალი**	**1**	25,000	**25,000**	**25,000**	
5	**სპორტული ბანაკი**	**ღონისძიება**	**1**	80,000	**80,000**	**80,000**	

6	**ველო მარათონი**	**ღონისძიება**	**1**	15,000	**15,000**	**15,000**	
7	**საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება**	**ღონისძიება**	**1**	10,000	**10,000**	**10,000**	
8	**ქვიშის ჭიდაობის სექცია**				**56,200**	**56,200**	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	3	12,067	36,200	36,200	
	ქვიშის ჭიდაობის ფესტივალი	ღონისძიება	1	15,000	15,000	15,000	
	ქვიშის ჭიდაობის გუნდისათვის ფორმების შეძენა			5,000	5,000	5,000	
9	**მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარება**				**22,600**	**22,600**	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	1	12,600	12,600	12,600	
	შიდა სატურნირო მივლინება	გასვლა	4	2,500	10,000	10,000	
10	**ბათუმის სასკოლო ლიგა 2025**	**ღონისძიება**	**1**	40,000	**40,000**	**40,000**	
11	**კიბერ ფეხბურთის ფესტივალი**	**ღონისძიება**	**1**	100,000	**100,000**	**100,000**	
12	**საქართველოს ღია ჩემპიონატი მოძრავ სამიზნე სროლაში**	**ღონისძიება**	**1**	20,000	**20,000**	**20,000**	
13	**ელექტრო სკუტერების ღია ფესტივალი**	**ღონისძიება**	**1**	10,000	**10,000**	**10,000**	
14	**ბათუმის სპორტის ქალაქი**	**კონკურსი**	**5**	10,000	**50,000**	**50,000**	
15	**კიბერფეხბურთის ღია ჩემპიონატი 2025**	**ღონისძიება**	**1**	29,760	**29,760**	**29,760**	
სულ ქვეპროგრამა					**1,352,200**	**1,352,200**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 02	ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			105,000	60,000	80,000	100,000

ქვეპროგრამის მიზანი	ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ხელშეწყობა და წარმატებული სპორტსმენების, სპორტული გუნდებისა და მათი მწვრთნელების წახალისება.
ქვეპროგრამის აღწერა	ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნივნელოვანია მათი სხვადასხვა, საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება. ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პროფესიულ ზრდას, გამოცდილების გაღრმავებას, ქართული სპორტის სხვადასხვა სახეობების საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩენას, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის საზღვრებს გარეთ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შორის კონტაქტების დამყარებას, სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაფასებასა და სტიმულირებას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები; **1. ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა -** ღონისძიება ითვალისწინებს ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების მხარდაჭერა/ხელშეწყობას, წახალისების, სტიმულირების, სპორტულ ტურნირებში/შეჯიბრებებში მონაწილეობის, გამოცდილების შეძენისა და ოსტატობის ამაღლების მიზნით, კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული პირი მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით, არაუმეტეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარისა, რომელიც ითვალისწინებს: მგზავრობის, ვიზის, დაზღვევის, სასტუმროს, ტურნირში მონაწილეობისა და სპორტული ეკიპირების ხარჯებს. **2. წლის სპორტსმენი -** ღონისძიება ითვალისწინებს: წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების, კლუბების გამოვლენას, რომლებმაც გასულ წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ. ასევე, იმ პირთა გამოვლენას, ვინც ღვაწლი გაწია, დამსახურება გააჩნია, თუ პირადი წვლილი შეიტანა სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაში. გამარჯვებულთა გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით ხორციელდება კონკურსის წესით. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი. ღონისძიების განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის ნომინაციები, პრიზების და ფულადი ჯილდოს ოდენობები, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების წესი, ვადები და სხვა) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარება, სტიმულირებულია წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენები/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდები და მათი მწვრთნელები.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით დაფინანსებულ სპორსტმენთა/მწვრთნელთა რაოდენობა	5	12	40% - მომართვიანობის ცვლილება (+/-),
2	წლის ბოლოსათვის დაჯილდოებული წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენების/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდებისა და მათი მწვრთნელების რაოდენობა	60	70	20% - მომართვიანობის ცვლილება (+/-),
3	წარმოდგენილ განაცხადთა რაოდენობა	30	40	10% - მომართვიანობის ცვლილება (+/-),

4	ქვეპროგრამაში მონაწილე სპორტსმენების კმაყოფილების მაჩვენებელი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 70%-ზე მეტი	5% -ღონისძიების დაბალი ხარისხი

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა	პირი	12	3,333	40,000	40,000	
2	წლის სპორტსმენი	ღონისძიება	1		65,000	65,000	
სულ ქვეპროგრამა					105,000	105,000	0

№	დამატებითი ინფორმაცია
1	კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) განაცხადი; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; დ) რეკომენდაცია საქართველოს ეროვნული ფედერაციიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფედერაციიდან; ე) ოფიციალური მიწვევის ან/და საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ვ) ინფორმაცია საერთაშორისო ტურნირის შესახებ; ზ) CV. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაფინანსება შეიძლება გაეწიოს განმცხადებლის პირად მწვრთნელს, რომელიც ასევე მონაწილეობას ღებულობს აღნიშნულ ტურნირში. მწვრთნელმა დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე, უნდა წარმოადგინოს ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია. ღონისძიების განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის, კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარების და გამარჯვებულის დაფინანსების წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით.
2	ღონისძიებებით გათვალისწინებულ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ შესაბამისი ღონისძიებების ბიუჯეტები არ ამოიწურება, შესაძლებელია ღონისძიებებით დადგენილი პირობების დაცვით, დაგეგმილზე მეტი პირის დაფინანსება.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 03	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		7,038,200	8,362,500	6,847,500	9,023,700

ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ახალგაზრდების სპორტულ აქტივობებში ჩართვა და შემდეგ პროფესიული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა ხელს უწყობს საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე სპორტული აქივობებით დაინტერესება სტატისტიკურად უფრო მეტად შეინიშნება მამაკაცებისაგან, ამ მხრივ მუნიციპალიტეტს ქალთა და გოგონათა სპორტულ საკლუბო გუნდებში ჩასართავად ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, კერძოდ, პროფესიული ფრენბურთის ქალთა გუნდი შექმნილია შპს ფრენბურთის კლუბი ბათუმის ბაზაზე, ასევე შპს ხელბურთის კლუბ ბათუმს გააჩნია გოგონათა სექციები ბავშვთა ხელბურთის განსავითარებლად, ეს ყოველივე განპირობებულია იმით, რომ ქალთა და გოგონათა მონაწილეობა სპორტში გამოწვევაა გენდერული სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციისთვის და შესაბამისად, შეიძლება იყოს მამოძრავებელი გენდერული თანასწორობისა და გოგონათა და ქალთა გაძლიერების გზაზე. ქალთა მონაწილეობამ სპორტში და ასევე მმართველ ორგანოებში მათმა წარმომადგენლობამ შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და თემის გაძლიერებაში. იმის გათვალისწინებით, რომ სპორტი მუდამ იყო კაცების დომინაციით გამორჩეული, ქალთა და გოგონათა მონაწილეობა გამოწვევაა გენდერული სტერეოტიპებისთვის არა მხოლოდ ქალების ფიზიკურ შესაძლებლობების შესახებ, არამედ – ადგილობრივ თემში თუ მთლიანად საზოგადოებაში ქალის როლის შესახებაც. ქალების სპორტულ აქტივობას შეუძლია წაშალოს მცდარი შეხედულებები ქალთა შესაძლებლობებზე. კომპლექსურ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა ამცირებს დისკრიმინაციას და აფართოებს ქალთა როლებს. მიუხედავად ამდენი დადებითი ფაქტორისა, გოგონები ხშირად იძულებულები არიან თავი დაანებონ სპორტულ წრეებზე სიარულს. ამას კი მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ამიტომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გოგონათა მონაწილეობის შენარჩუნება სპორტულ აქტივობებში. დადგენილია, რომ თოთხმეტი წლისთვის გოგონები ორჯერ უფრო ხშირად ანებებენ თავს სპორტულ წრეებზე სიარულს, ვიდრე – ბიჭები. ამის მთავარ მიზეზად სახელდება: • წრეებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა; • უსაფრთხოება და ტრანსპორტის პრობლემა; • სოციალური სტიგმა; • გოგონათა ტურნირების არარსებობა, ბიჭებზე ორიენტირება; • პოზიტიური როლური მოდელების არარსებობა. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-საშეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა, ბათუმელ სპორტსმენტთა განვითარების ხელშეწყობა, რაც მიმართულია სპორტმენთა მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე. ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია: **1. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა -** ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით ხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და სპორტული მივლინებების განხორციელება. მათთვის პირობების შექმნა სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარებისათვის. მუნიციპალური კლუბების საერთაშორისო ოფიციალურ ღონისძიებებზე, საწევროების გადახდას, შესაბამის დონეზე მსაჯებისა და მწვრთნელების მომზადებასა და მათი სხვადასხვა სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებსა და კურსებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ბათუმის ნაკრები გუნდების წევრთა ოსტატობის ამაღლებას და მათ მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. **2. ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა -** ღონისძიება ითვალისწინებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებას.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	მუნიციპალური საკლუბო გუნდების ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა (გოგო)	70	50	5% - ნაკლები მომართვიანობა;

2	მუნიციპალური საკლუბო გუნდების ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა (ბიჭი)	600	550	5% - ნაკლები მომართვიანობა;
3	კლუბების წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში (გუნდის შემთხვევაში)	4	10	მომზადების დონე
4	ქვეპროგრამაში მონაწილე ასაკობრივ ჯგუფებში ჩართულ ბავშვთა კმაყოფილების მაჩვენებელი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%-ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
I	**მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა**				**5,784,762**	**5,794,762**	**0**
1	**სარაგბო კლუბის „ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა**				**3,015,730**	**3,015,730**	**0**
	სარაგბო სტადიონის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	31	9,609	297,893	297,893	
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, ოფისისა და სტადიონის მოვლა პატრონობის ხარჯები	თვე	12	15,007	180,081	180,081	
	ადმინისტრაციის შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	პირი	9	24,056	216,507	216,507	
	ადმინისტრაციის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	პირი	2	19,860	39,719	39,719	
	ძირითადი გუნდის მწვრთნელები შტატით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება	პირი	7	47,011	329,080	329,080	
	ძირითადი გუნდის სპორტსმენების შტატით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება	პირი	33	50,983	1,682,450	1,682,450	
	შეკრება ქვეყნის შიგნით	გასვლა	4	10,000	40,000	40,000	
	ძირითადი გუნდის მივლინება	გასვლა	15	7,333	110,000	110,000	
	სპორტული ინვენტარი და ტანისამოსი	ერთეული	65	1,846	120,000	120,000	
2	**ფრენბურთის კლუბის ,,ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა**				**371,996**	**381,996**	**0**
	ადმინიტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	3	17,257	51,772	51,772	
	ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება	პირი	15	6,942	104,124	104,124	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	15	4,473	67,100	67,100	
	მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადები	რაოდენობა	4	3,375	13,500	13,500	
	შიგა სატურნირო მივლინებები (გოგონები/ბიჭები)	გასვლითი	28	3,214	90,000	90,000	

	სხვა საქონელი და მომსახურეობა (ოფისისა და სხვა დანარჩენი ხარჯი)				1,000	1,000	
	სპორტული ინვენტარი				10,000	10,000	
	მედიკამენტების შეძენის ხარჯი				1,500	1,500	
	სპორტული დარბაზის იჯარის საფასური	თვე	12	1,250	15,000	15,000	
	ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება				18,000	18,000	
	შპს ,,ფრენბურთის კლუბი ბათუმი'' - ის დამფუძნებლის ნიკა თავდგირიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	ღონისძიება	1	10,000	10,000	10,000	
3	**საკალათბურთო კლუბის ,,ბათუმი 2010" განვითარების ხელშეწყობა**				**1,806,014**	**1,806,014**	**0**
	ადმინიტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	7	20,915	146,403	146,403	
	ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება	პირი	17	71,358	1,213,090	1,213,090	
	მოწვეული მოთამაშეების მგზავრობის თანხა				36,100	36,100	
	სათამაშო და სატრენაჟორო დარბაზის იჯარა	თვე	10		93,000	93,000	
	მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადები;				92,410	92,410	
	შიგა სატურნირო მივლინებები (გასვლა)	გასვლა	25		120,988	120,988	
	თამაშებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა				6,990	6,990	
	სამედიცინო ხარჯი				9,990	9,990	
	ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება				10,000	10,000	
	სპორტული ინვენტარი				30,000	30,000	
	სხვა საქონელი და მომსხაურეობა (ოფისისა და სხვა დანარჩენი ხარჯი)				12,043	12,043	
	კალათბურთში ვალერი ალთაბაევის თასზე საერთაშორისო ტურნირის ორგანიზების ხარჯი				15,000	15,000	
	ძირითადი გუნდის საწვრთნო შეკრება				20,000	20,000	
4	**ხელბურთის კლუბის ,,ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა**				**591,022**	**591,022**	**0**
	ადმინიტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	3	17,152	51,457	51,457	
	ძირითადი გუნდის მწვრთნელის შრომის ანაზღაურება	პირი	1	16,565	16,565	16,565	
	სპორტსმენების, მწვრთნელისა და ექიმის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	21	14,907	313,040	313,040	
	სპორტსმენების (ქალთა გუნდის) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	14	3,000	42,000	42,000	

	მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიების, საწევრო და გადასახადები				5,000	5,000	
	შიდა სატურნირო მივლინებები	გასვლა	28	3,000	84,000	84,000	
	შიდა ტურნირის ორგანიზება ქვიშის ხელბურთში	ტურნირი	2	7,500	15,000	15,000	
	მწვრთნელებისა და ადმინსტრაციის მივლინებები				5,330	5,330	
	სპორტული ინვენტარი	ცალი	20	250	5,000	5,000	
	საწვრთნელი შეკრება	რაოდენობა	2	17,800	35,600	35,600	
	დარბაზის იჯარა	თვე	10	1,200	12,000	12,000	
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (ოფისის ხარჯები)				6,030	6,030	
II	**ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა**				**1,243,438**	**1,243,438**	**0**
1	**სარაგბო კლუბის ,,ბათუმი" ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა**				**923,570**	**923,570**	**0**
	ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	33	19,805	653,570	653,570	
	ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების შიდა სატურნირო სპორტული ღონისძიების (მივლინების) ხარჯი				180,000	180,000	
	სპორტული ინვენტარი და ტანისამოსი	პირი	65	1,385	90,000	90,000	
2	**ფრენბურთის კლუბის ,,ბათუმი" ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა**				**14,204**	**14,204**	**0**
	ასაკობრივი გუნდის მწვრთნელის შრომის ანაზღაურება	პირი	1	9,204.00	9,204	9,204.00	
	შიგა სატურნირო მივლინებები	გასვლა	25	200.00	5,000	5,000.00	
3	**საკალათბურთო კლუბის ,,ბათუმი 2010" ბავშვთა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა**				**96,386**	**96,386**	**0**
	ბავშთა ჯგუფის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	1	20,107	20,107	20,107	
	ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება	პირი	3	25,426	76,279	76,279	
4	**ხელბურთის კლუბის ,,ბათუმი" ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა**				**209,278**	**209,278**	**0**
	ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	5	12,656	63,278	63,278	
	ბავშვთა ჯგუფების შიდა სატურნირო ღონისძიებები (მივლინებები)	გასვლა	30	4,033	121,000	121,000	
	ბავშვთა ჯგუფების სპორტული ინვენტარი		50	100	5,000	5,000	
	შავი ზღვის თასის ტურნირი (კლასიკურ ხელბურთში)	ღონისძიება	1	10,000	10,000	10,000	
	სასკოლო ფესტივალი მინი ხელბურთში	ღონისძიება	2	5,000	10,000	10,000	
სულ ქვეპროგრამა					**7,028,200**	**7,038,200**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	კლუბების დაფინანსება განხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 04	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"		528,500	554,905	582,660	611,768

ქვეპროგრამის მიზანი	საჭადრაკო კლუბის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	საჭადრაკო კლუბი „ნონა" დაფუძნებიდან დღემდე აღმზრდელობით საქმიანობას ეწევა. გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საერთაშორისო საჭადრაკო სკოლებთან და კლუბებთან. უკვე მეცხრე წელია ორგანიზატორია საერთაშორისო ნორმიანი საჭადრაკო ფესტივალის „ბათუმის მერიის თასი", რომლის ფარგლებში 11 დამოუკიდებელი ტურნირი იმართება და ყოველ წელს ბათუმი მინიმუმ 20 ქვეყნის 1500-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობს. კლუბს გააჩნია ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც საერთაშორისო არენაზე პოპულარობით სარგებლობს. 10 წელია კლუბში ფუნქციონირებს 4 ჯგუფი, ჯამში სტაბილურად 300-ზე მეტი ბავშვი, რომელიც უსასყიდლოდ ეუფლება საჭადრაკო სიბრძნეს. პერიოდულად ტარდება შიდა ტურნირები, თემატური მასტერ კლასები და ერთდროული თამაშის სეანსები. ტრადიციულია რაპიდ ტურნირი ვეტერანი მოჭადრაკეთათვის „გურამ ჭანტურიას თასი" და საახალწლო ფესტივალი სხვადასხვა ასაკის და დონის ბავშვებისათვის. წარმატებული კლუბის წევრები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო ტურნირებში. დიდოსტატებს დანიშნული აქვთ ყოველთვიური სტიპენდიები და ინდივიდუალურ მომზადებას გადიან მათთვის სასურველ მწვრთნელებთან. კლუბი გააგრძელებს ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების განხორციელებას, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის განვითარებას და პოპულარიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ცნობადობის ამაღლებას და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას. ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია: მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, აგრეთვე, ტურნირების ორგანიზება და სხვადასხვა დონის ჩემპიონატებსა და შეხვედრებში მონაწილეობა.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონას" განვითარება და უზრუნველყოფილია კლუბის მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირებში; საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშოიროსო და ადგილობრივი ტურნირები, საჭადრაკო აქტივობები და გადამზადების პროგრამები, მზარდია კლუბის წევრების რაოდენობა და მისაწვდომობა (ფართო მასებში).

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	კლუბის ბაზაზე ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა	400	400	20% - მასწავლებლების კონტიგენტის შემცირება; მომართვიანობის ცვლილება
2	კლუბის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონიძიებების რაოდენობა	30	40	'20% - 'გაუთვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზები
3	კლუბის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ტურნირების რაოდენობა	10	10	'20% - 'გაუთვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზები
4	საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ კლუბის წევრები	10	10	'20% - 'გაუთვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზები

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**მართვა და ადმინისტრირება**				**373,500**	**368,500**	**5,000**
	ადმინიტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	6	19,117	114,700	114,700	

	ძირითადი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (კლუბის ძირითადი წევრები და თანამშრომლები)	პირი	10	7,230	72,300	72,300	
	მოწვეული სპეციალური მწვრთნელების ანაზღაურება	პირი	9	2,056	18,500	13,500	5,000
	ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების ანაზღაურება	პირი	10	11,350	113,500	113,500	
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				54,500	54,500	
2	**ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა**				**153,200**	**138,200**	**15,000**
	შიგა სატურნირო მივლინებები საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი	გასვლა	2	5,500	11,000	11,000	
	საერთაშორისო ტურნირებში მივლინებები და გაცვლითი პროგრამები	გასვლა	3	3,333	10,000		10,000
	ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება „გურამ ჭანტურიას თასი“	ტურნირი	4	2,375	9,500	9,500	
	ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება საახალწლო ფესტივალი	ტურნირი	6	1,833	11,000	11,000	
	სასკოლო საჭადრაკო ფესტივალი	ტურნირი	2	5,050	10,100	10,100	
	საერთაშორისო ნორმიანი ტურნირის ორგანიზება	ფესტივალი	1	101,600	101,600	96,600	5,000
3	**მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება**				**1,800**	**0**	**1,800**
	კომპიუტერულ-პერიფერიული ტექნიკის შეძენა	ცალი	1	1,800	1,800		1,800
სულ ქვეპროგრამა					**528,500**	**506,700**	**21,800**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	რაოდენობა და ერთეულის საშუალო ფასი საორიენტაციოა და დამოკიდებულია სატურნირო დებულებებში მოცემულ ფორმატზე, წინა სატურნირო ვითარებაზე, დასახული მიზნისთვის შესაფერის ტურნირის აღმოჩენაზე, აგრეთვე მიღებულ მოწვევებზე და სხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო კლუბებთან ერთობლივად დაგეგმილ გაცვლითი პროგრამების სიხშირესა და მნიშვნელობაზე. ქვეპროგრამა გულისხმობს აგრეთვე ონლაინ რესურსების გამოყენებას. მათ შორის ონლაინ ტურნირებს.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 05	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			321,300	300,000	300,000	300,000

ქვეპროგრამის მიზანი	საცხენოსნო კლუბის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	ცხენოსნობის ტრადიციები საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, მეცხენეობა და საცხენოსნო სპორტი, დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყანაში პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებს. სფეროს აღორძინებასა და განვითარებას შესაბამისი ფინანსური რესურსი სჭირდება.სპორტის ეს სახეობა საკმაოდ მოცულობით ფინანსურ ინვესტიციას საჭიროებს, თუმცა მისი განვითარების შემთხვევაში, საცხენოსნო სპორტის და ტურიზმის სფეროდან მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღებაა შესაძლებელი. 2025 წლისთვის ბათუმის საცხენოსნო კლუბი გეგმავს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: 1. მსოფლიო საკვალიფიკაციო ეტაპზე საპრიზო ადგილების მოპოვება; 2. საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა; 3. საქართველოს პირველობაზე დოღში მონაწილ;ეობის მიღება; 4. საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა 18 წლამდე და უფროსი ასაკის მხედრებს შორის; 5. მონაწილეობა კონკურში „თბილისის თასი“ 18 წლის და მაღალი ასაკის მხედრებს შორის. კლუბის მიზანია ზემოთ აღნიშნულ შეჯიბრებებში საპრიზო ადგილების დაკავება; მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მათთვის მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავება და ჩატარება; სპორტის პოპულარული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნება და მათი პოპულარიზაციისათვის საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა თუ ადგილობრივი ტურნირების ჩატარება; საცხენოსნო სპორტული სახეობების პოპულარიზაცია და ქალაქის გადაქცევა სპორტული ტურიზმის ქალაქად; ცხენოსნობის განვითარება ბათუმში, შეჯიბრებებში მზარდი შედეგების მიღება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია საცხენოსნო კლუბის განვითარება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	კლუბის ბაზაზე არსებული ცხენების რაოდენობა	12	11	ცხოველის სიკვდილიანობა
2	ადგილობრივი ტურნირების რაოდენობა, რომელშიც კლუბმა მიიღო მონაწილეობა	4	10	20% - ცხენის ან მხედრის დაზიანება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**ადმინისტრაციის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება**	რაოდენობა	5	21,480	**107,400**	107,400	
2	**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება**	რაოდენობა	6	15,550	**93,300**	93,300	
3	**სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა (მივლინება)**				**1,000**	1,000	

4	**კვების ხარჯი**	ცხენების რაოდენობა	11	4,527	**49,800**	47,000	2,800
5	**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, სხვა ხარჯები**				**45,100**	21,900	23,200
6	**მატერიალური ტექნიკური ბაზის განახლება**						0
	მისაბმელის შეძენა ცხენების გადაყვანის მიზნით	რაოდენობა	1	10,000	**10,000**	10,000	0
	საოფისე კონტეინერის შეძენა	რაოდენობა	1	14,700	**14,700**	14,700	0
სულ ქვეპროგრამა					**321,300**	**295,300**	**26,000**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			8,541,600	26,334,525	26,993,456	28,523,449

პროგრამის მიზანი	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა
პროგრამის აღწერა	სპორტულ ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა წარმოუდგენელია მოწესრიგებული და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობილი ინფრასტრუქტურისა და სპორტული ბაზების გარეშე. სპორტული ინფრასტრუქტურა არის სპორტის სისტემის განუყოფელი ნაწილი, რომლის გარეშე შეუძლებელია ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. სპორტული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში. სპორტულ ობიექტებზე ხელმისაწვდომი მომსახურება ხელს უწყობს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სპორტში ჩართულობას და ფიზიკური აქტივობის დონის ამაღლებას, რაც დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება არის რთული ამოცანა (პროცესი), რომლის შესრულება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და დაკავშირებულია მრავალ გამოწვევასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა და რეაბილიტაცია. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დაფინანსებით სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ ცენტრთან არსებული სექციების მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: - ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი; - სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამართული და განახლებულია მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურა და ხელშეწყობილია ცენტრთან ასრებული სპორტული სექციების მუშაობა

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
1	ფართობი, რომელზეც მოწყობილია სპორტული ინფრასტრუქტურა	3,050	3,407	3,748	4,122	4,535	5% - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
2	ცენტრის ბაზაზე სპორტული სექციების რაოდენობა	7	8	8	8	8	20% -მომართვიანობის რაოდენობის ცვლილება
3	სპორტულ სექციებში ჩართული ბავშვების რაოდენობა	530	620	650	650	650	5% - მომართვიანობის რაოდენობის ცვლილება

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 02 01	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			7,464,800	7,838,025	8,229,956	8,641,449

ქვეპროგრამის მიზანი	1) ცენტრის სპორტული ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; 2) ცენტრთან არსებული სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა;
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სპორტული ცენტრის განვითარება, როგორც ზამთრის სპორტის სახეობათა, ასევე სანიჭბოსნო, ქართული ჭიდაობის, წყალბურთის, ქალთა ფეხბურთის და ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის განვითარების ხელშეწყობა და დახურული სპორტული დარბაზის მატერიალური ბაზის მოვლა-პატრონობა; სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება; ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ხელშეწყობა და განვითარება; ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეის სპორტის სახეობების მასობრიობის და ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა; სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა; ცენტრის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ყინულისა და საპლაჟო და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნებისათვის. სპორტული ტრადიციების შენარჩუნება, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თასების, სიგელების, ჯილდოების, ბანერების, ვიდეო და ბეჭდვითი რეკლამების დამზადებისა და სხვა მარკეტინგული საქმიანობის წარმოება. სპორტული ცენტრის ბაზაზე ყინულის ჰოკეისა, სინქრონული დასის და ფიგურული ციგურაობის მიმართულების განვითარება - სპორტული ინვენტარის, ყინულზე სასრიალო დამხმარე ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა, მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონიძიებებში მონაწილეობის მიღება. ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეის პოპულარიზაცია და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. სპორტული ცენტრის ბაზაზე ნიჭბოსანთა განვითარების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზება, მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონიძიებებში მონაწილეობის მიღება. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტის ამ სახეობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. სპორტული ცენტრის ბაზაზე ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერა, რომლის მიზანია ამ ადამიანების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა. სპორტული ცენტრის ბაზაზე ქართული ჭიდაობის მხარდაჭერა, რომლის მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ასევე განხორციელდება სპორტული ცენტრის ბაზაზე წყალბურთის სექციის განვითარება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა;წყალბურთის სექციის განვითარებისათვის სხვადასხვა ღონიძიებებში მონაწილეობის მიღება. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტის ამ სახეობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე გასულ წელს შეიქმნა ქალთა საფეხბურთო გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია 29 წევრისგან. დაფინანსება მიმართული იქნება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ანაზღაურებაზე, შეკრებების ორგანიზებაზე, სამწვრთნელო პროცესზე, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებაზე, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასზე. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ქალთა სპორტის განვითარებას მუნიციპალიტეტში და გუნდის ასპარეზობას ეროვნულ ჩემპიონატში.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ცენტრის სპორტული ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, მხარდაჭერილია არსებული სპორტული სექციების განვითარება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ცენტრის ბაზაზე სპორტული სექციების ფუნქციონირება	8	8	20% - მომართვიანობის ცვლილება (+/-);

2	სპორტულ სექციებში ჩართული ბავშვების რაოდენობა (გოგო)	200	200	5% - მომართვიანობის ცვლილება (+/-);
	სპორტულ სექციებში ჩართული ბავშვების რაოდენობა (ბიჭი)	420	420	
4	ცენტრის ბაზაზე არსებული ზამთრის სპორტული სექციების ფუნქციონირება	3	3	40% - მომართვიანობის ცვლილება (+/-); მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმართაობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**მართვა და ადმინისტრირება**				**4,868,132**	**4,543,332**	**324,800**
	შრომის ანაზღაურება	პირი	59	23,800	**1,404,200**	1,404,200	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	58	18,389	**1,066,549**	971,749	94,800
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				**2,397,383**	2,167,383	230,000
2	**მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება**				**117,000**	**110,000**	**7,000**
	საოფისე ავეჯის შეძენა	კომპლექტი	60	1,117	**67,000**	60,000	7,000
	კომპიუტერულ-პერიფერიული ტექნიკის შეძენა	ერთეული	20	1,500	**30,000**	30,000	
	ტელევიზორი (სამეთვალყურეო სისტემებისთვის)	ერთეული	4	3,500	**7,000**	7,000	
	ვიდეო - სათვალთვალო კამერა	ერთეული	15	5,000	**10,000**	10,000	
	მაცივარი	ერთეული	1	500	**1,000**	1,000	
	მაღალი წნევის რეცხვის აპარატი	ერთეული	1	1,000	**2,000**	2,000	
3	**სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის სექციის განვითარება**				**233,750**	**233,750**	**0**
	შრომის ანაზღაურება	პირი	2	34,375	**68,750**	68,750	
	ყინულის ჰოკეის ღია ჩემპიონატი	ტურნირი	1	40,000	**40,000**	40,000	
	ყინულის ჰოკეის ახალგაზრდული ფესტივალი	ფესტივალი	1	25,000	**25,000**	25,000	
	ყინულის ჰოკეის ინვენტარი და ეკიპირება	ტურნირი	16	3,750	**60,000**	60,000	
	ჰოკეის საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება	ფესტივალი	1	40,000	**40,000**	40,000	
4	**სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის სექციის განვითარება**				**787,440**	**787,440**	**0**
	შრომის ანაზღაურება	პირი	8	29,763	**238,100**	238,100	
	ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ჩემპიონატში მონაწილეობა	ფესტივალი	2	25,000	**50,000**	50,000	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (ინსტრუქტორები/სპორტსმენები)	პირი	17	9,079	**154,340**	154,340	
	ფიგურული ციგურაობის საახალწლო ფესტივალი	ფესტივალი	1	50,000	**50,000**	50,000	0

	ფიგურული ციგურაობის სპორტსმენების მივლინება (ქვეყნის გარეთ)	გასვლა	1	35,000	**35,000**	35,000	
	ფიგურული ციგურაობის სპორტსმენების შეკრების დადგმა (ქვეყნის გარეთ)	შეკრება	1	40,000	**40,000**	40,000	
	ციგურების შეძენა	ერთეული	350	629	**220,000**	220,000	
5	**სანიჭბოსნო სპორტის სექციის განვითარების ხელშეწყობა**				**472,741**	**472,741**	**0**
	შრომის ანაზღაურება	პირი	1	21,875	**21,875**	21,875	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	6	12,061	**72,366**	72,366	
	ნიჩბოსნობის - ბათუმის ღია ფესტივალი (საერთაშორისო)	ტურნირი	1	160,000	**160,000**	160,000	
	ნიჩბბოსნობის ღონისძიება - „დრაგონის თასი 2025“	ფესტივალი	1	120,000	**120,000**	120,000	
	შიდა სატურნირო მივლინება	გასვლა	4	5,000	**20,000**	20,000	
	ნიჩბოსნობის სპეც არჭურვილობა (ეკიპირება)	კომპლექტი	20	375	**7,500**	7,500	
	ნავების შეძენა	ერთეული	4	17,500	**70,000**	70,000	
	სამედიცინო ხარჯი				**1,000**	1,000	
6	**ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა**				**167,888**	**167,888**	**0**
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	14	10,563	**147,888**	147,888	
	სპორტული ინვენტარი და ეკიპირება	კომპლექტი	15	667	**10,000**	10,000	
	ამპუტანტ ფეხბურთელთა ღია ფესტივალი	ფესტივალი	1	10,000	**10,000**	10,000	
7	**ქართული ჭიდაობის სექციის განვითარების ხელშეწყობა**				**67,915**	**67,915**	**0**
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	3	12,372	**37,115**	37,115	
	დარბაზის იჯარა	თვე	12	67	**800**	800	
	ღია ფესტივალი ქართულ ჭიდაობაში	ღონისძიება	20	500	**10,000**	10,000	
	შიდა სატურნირო მივლინება	გასვლა	5	3,000	**15,000**	15,000	
	სპორტული ინვენტარი/ეკიპირება				**5,000**	5,000	
8	**წყალბურთის განვითარების ხელშეწყობის სექცია**				**231,574**	**231,574**	**0**
	შრომის ანაზღაურება	პირი	1	21,875	**21,875**	21,875	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	3	16,566	**49,699**	49,699	
	აუზის იჯარა	თვე	10	11,000	**110,000**	110,000	
	შიდა სატურნირო მივლინება	ცალი	10	5,000	**50,000**	50,000	

9	**ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა**				**518,360**	**468,360**	**50,000**
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	29	12,043	**349,260**	329,260	20,000
	ქალთა გუნდის ფეხბურთელების საშეჯიბროდ მოსამზადებელი შეკრება	ცალი	1	25,000	**25,000**	25,000	
	სატურნირო მივლინება	გასვლა	12	3,250	**39,000**	9,000	30,000
	ქალთა ფეხბურთის გუნდის მივლინება (ქვეყნის გარეთ)	გასვლა	1	66,100	**66,100**	66,100	
	ლიცენზირების თანხა	ცალი	1	3,000	**3,000**	3,000	
	სამედიცინო ხარჯი				**10,000**	10,000	
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				**16,000**	16,000	
	სპორტული ინვენტარი და ეკიპირება				**10,000**	10,000	
სულ ქვეპროგრამა					**7,464,800**	**7,083,000**	**381,800**

№	**დამატებითი ინფორმაცია**

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა				
05 02 02	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტურქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			1,076,800	18,496,500	18,763,500	19,882,000
ქვეპროგრამის მიზანი	ქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა					
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტული ინფრასტრუქტურა არის სპორტის სისტემის განუყოფელი ნაწილი, რომლის გარეშე შეუძლებელია ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. სპორტული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში. სპორტულ ობიექტებზე ხელმისაწვდომი მომსახურება ხელს უწყობს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სპორტში ჩართულობას და ფიზიკური აქტივობის დონის ამაღლებას, რაც დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის მასობრივად ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობა ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია - რაგბის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და 2 ახალი სტადიონის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა); ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქ.N4ა-ში ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის მოედნის მშენებლობა, (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება); ქ, ბათუმში, ნ. ფიროსმანის ქუჩა N5-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ქ, ბათუმში, შ. ინასარიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ქ. ბათუმი. ბაღის I ჩიხი N4. სპორტული ტრენაჟორების რეაბილიტაცია-მოწყობა; ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N368-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ქ. ბათუმში, იოანე ლაზის I შესახვევი N6-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში, სპორტული ტრენაჟორების შეძენა (დემონტაჟი-მონტაჟი); სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.					
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განახლებულია ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურა					

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	რეაბილიტირებული სპორტული მოედნების რაოდენობა	2	1	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
2	ტერიტორიის ფართობი, რომელზეც მოეწყო სპორტული მოედნები	3,050	3,407	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
3	მოწყობილი სპორტული მოედნების რაოდენობა	4	4	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ქ. ბათუმში, რაგბის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და 2 ახალი სტადიონის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა)	ცალი	1	100,000	100,000	100,000	

2	ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქ.N4ა-ში ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის მოედნის მშენებლობა (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - „**შენი იდეა ბათუმის“** ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება)	ცალი	1	183,305	183,305	183,305	
3	ქ, ბათუმში, ნ. ფიროსმანის ქუჩა N5-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა	ცალი	1	143,690	143,690	143,690	
4	ქ, ბათუმში, შ. ინასარიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა	ცალი	1	27,785	27,785	27,785	
5	ქ. ბათუმში, ბაღის I ჩიხი N4 სპორტული ტრენაჟორების რეაბილიტაცია-მოწყობა	ცალი	1	69,512	69,512	69,512	
6	ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N368-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა	ცალი	1	180,491	180,491	180,491	
7	ქ. ბათუმში, იოანე ლაზის I შესახვევი N6-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	ცალი	1	51,174	51,174	51,174	
9	ქ. ბათუმში, სპორტული ტრენაჟორების შეძენა (დემონტაჟი-მონტაჟი)	ცალი	15	18,723	280,843	280,843	
10	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	ცალი	1	40,000	40,000	40,000	
სულ ქვეპროგრამა					**1,076,800**	**1,076,800**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქ. ბათუმში, რაგბის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და 2 ახალი სტადიონის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა) მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2024-2027 წწ.) შეადგენს 21 006 981,39 ლარს.
2	ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქ.N4ა-ში ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის მოედნის მშენებლობა, (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება) მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2024-2025წ.წ.) შეადგენს 410 619,54 ლარს.
3	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა მრავალწლიანი პროექტია. სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2024-2027 წწ.) შეადგენს 524 442,25 ლარს.

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			4,645,400	4,703,300	5,183,950	5,529,635

პროგრამის მიზანი	ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.
პროგრამის აღწერა	ქალაქში რეგულარულად იმართება საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები, რაც ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ქალაქის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვის უზრუნველყოფა, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირებისა და ეთნიკური ჯგუფების ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა, კულტურის საყოველთაო ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის, რაც თავად კულტურის განვითარებისთვისაც ერთობ მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია, ყველა პირს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს მუნიციპალური სერვისებით, მონაწილეობა მიიღოს მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებსა და მერიის მიერ ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამის მეშვეობით განხორციელდება კულტურის პოპულარიზაცია და გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა, დაცული იქნება თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ხელოვანებს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, უზრუნველყოფილი იქნება კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა, საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვისა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება. კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, კულტურის პოპულარიზაციის და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2025-2028 წლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: 1. კულტურული ღონისძიებების მართვა; 2. ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები; 3. კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა; 4. ფესტივალების მხარდაჭერა; 5. კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა;
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელშეწყობილია ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
1	ბათუმის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა (არანაკლებ)	122	70	135	138	140	10% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვნად შესრულება

2	ბათუმში ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა	11	10	12	14	15	20% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა; მომართვიანობის ცვლილება (+/-)
3	კულტურის სფეროში დაფინანსებული თავისუფალი ინიციატივების რაოდენობა	14	10	15	15	15	20% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა; მომართვიანობის ცვლილება (+/-)
4	ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიერ ინიცირებული ღონისძიებების რაოდენობა (არანაკლებ)	თითოეული ეთნიკური უმცირესობის მიერ -5 ღონისძიება	თითოეული ეთნიკური უმცირესობის მიერ -5 ღონისძიება	თითოეული ეთნიკური უმცირესობის მიერ -5 ღონისძიება	თითოეული ეთნიკური უმცირესობის მიერ -5 ღონისძიება	თითოეული ეთნიკური უმცირესობის მიერ -5 ღონისძიება	20% - მომართვიანობის ცვლილება (+/-)
5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინკლუზიური შემოქმედებითი აქტივობების რაოდენობა	-	-	6	7	9	20% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა; მომართვიანობის ცვლილება (+/-)

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 03 01	კულტურული ღონისძიებების მართვა	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი		2,278,400	2,506,300	2,756,950	3,032,635

ქვეპროგრამის მიზანი	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის აღწერა	ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრი“ აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა კულტურის პოპულარიზაციისა და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ცენტრის სტრუქტურა მოიცავს ადმინისტრაციულ, შემოქმედებით, სცენის ტექნიკურ და საზაფხულო თეატრის პერსონალს, ეთნიკური უმცირესობების და კულტურის ცენტრთან არსებულ ბავშვთა შემოქმედებითი სტუდიების მართვის სამსახურებსს. ცენტრის მთავარი მიზანია კლასიკური და თანამედროვე მუსიკისა და ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, საშემსრულებლო დონის ამაღლება, მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებების გამართვა. ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები მორგებული იქნება ყველა თაობის ადამიანისათვის და სანახაობრივად საინტერესო და მრავალფეროვანი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუმრებისათვის. ცენტრის შემდგომი განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ცენტრის ადამიანური რესურსისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება/განახლება, შემოქმედებითი კოლექტივების და ცენტრის ადმინისტრაციის პროფესიული ზრდის მიზნით მათი პერიოდული გადამზადება, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობა და სხვა. ბათუმის კულტურის ცენტრი განახორციელებს სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებას, უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას და კულტურის ცენტრის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის ფუნქციონირება.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	საზაფხულო თეატრში ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	35	45	5% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა; 10% - დამსწრე საზოგადოების ინტერესების ნაკლებობა.
2	ეთნიკური უმცირესობების პროგრამების და ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებული აქტივობების რაოდენობა	18	20	10% - მომართვიანობის ცვლილება +/-
3	კულტურის ცენტრთან არსებულ ბავშვთა შემოქმედებით სტუდიებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა	60	60	20% - მომართვიანობის ცვლილება +/-
4	ბათუმის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	65	70	10% - დამსწრე საზოგადოების ინტერესების ნაკლებობა. 12% - გაუმართავი ტექნიკური აღჭურვილობა
5	ბათუმის კულტურის ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი ღონისძიებების/აქტივობების რაოდენობა	-	35	5% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა; 12% - გაუმართავი ტექნიკური აღჭურვილობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**მართვა-ადმინისტრირება**		**109**		**1,901,200**	**1,871,200**	**30,000**
	ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	49	17,481	**856,575**	851,575	5,000

	შემოქმედებითი პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	12	20,668	**248,015**	242,015	6,000
	სცენის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	29	18,166	**526,810**	509,810	17,000
	საზაფხულო თეატრის პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	8	12,925	**103,400**	101,400	2,000
	ეთნიკური უმცირესობების პროგრამების და ღონისძიებების მართვის სამსახურის პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	5	16,055	**80,275**	80,275	0
	კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა შემოქმედებითი სტუდიების მართვის სამსახურის პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	6	14,354	**86,125**	86,125	0
2	**საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები**				**342,200**	**264,200**	**78,000**
	საქონელი და მომსახურება სხვა დანარჩენი ხარჯები				**200,600**	122,600	78,000
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	11	12,873	**141,600**	141,600	
3	**კომპიტერული ტექნიკის შეძენა**	**ცალი**	**8**	**1,875**	**15,000**		**15,000**
4	**მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა**	**ცალი**	**4**	**2,500**	**10,000**		**10,000**
5	**ორგანიზაციის ვებ-გვერდის დამზადება**	**ცალი**	**1**	**10,000**	**10,000**		**10,000**
სულ ქვეპროგრამა					**2,278,400**	**2,135,400**	**143,000**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 03 02	ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			1,290,000	1,350,000	1,380,000	1,420,000

ქვეპროგრამის მიზანი	ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა
ქვეპროგრამის აღწერა	ბათუმისათვის, როგორც ტრადიციებით მდიდარი ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესია ქალაქისა და ქვეყნისათვის ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა. ჩვენი ისტორიული წარსულისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა უკვდავსაყოფად, ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად 2024 წელს გაიმართება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, რითაც გამრავალფეროვნდება ქალაქის კულტურული ცხოვრება, გაიზრდება ქალაქის ცნობადობა და ხელი შეეწყობა კულტურული ტურიზმის განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: - 3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; - 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; - 9 აპრილი -საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; - ბათუმობის ღონისძიებები; - 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; - წილხვდომილობის დღესასწაულიდმი მიძღვნილი ღონისძიება; - 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; - 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; - 8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; - ქალაქის საახალწლო-სადღესასწაულო ღონისძიებები. - სხვა საიუბილეო დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	15	12	30% - კონტაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა
2	კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა	1,200	1,200	20% - დამსწრე საზოგადოების ინტერესების ნაკლებობა
3	ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება	საორიენტაციო მაჩვენებელი - 650-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 650-ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი.

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	ღონისძიება	2	225	450	450	
2	23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	ღონისძიება	1	450	450	450	
3	9 აპრილი -საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	ღონისძიება	1	450	450	450	
4	ბათუმობის ღონისძიებები	ღონისძიება	1	380,000	380,000	380,000	
5	9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	ღონისძიება	1	450	450	450	
6	წილხვდომილობის დღესასწაულიდმი მიძღვნილი ღონისძიება	ღონისძიება	1	10,000	10,000	10,000	
7	26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	ღონისძიება	1	55,000	55,000	55,000	
8	1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	ღონისძიება	1	65,000	65,000	65,000	
9	8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;	ღონისძიება	2	500	1,000	1,000	
10	ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები	ღონისძიება	1	775,100	775,100	775,100	
11	ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება	ღონისძიება	5	420	2,100	2,100	
სულ ქვეპროგრამა					**1,290,000**	**1,290,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	
2	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 03 03	კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			27,000	27,000	27,000	27,000

ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული მრავალფეროვნების წახალისება, ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა
ქვეპროგრამის აღწერა	2016 წლის პირველი ივლისიდან საქართველოში ძალაშია და ამოქმედდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ყველა მუხლი. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნილ ვალდებულებებში ერთ-ერთი ძირითადი დირექტივა კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას ეხება, იუნესკოს „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ“ 2005 წლის კონვენციის (კონვენციის რატიფიცირება საქართველოს მთავრობამ მოახდინა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან) პრეამბულაშივეა გაცხადებული ყველა ის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ყოველი დემოკრატიული ქვეყნის კულტურის პოლიტიკის საბაზისო დოკუმენტის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, კერძოდ: კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, რომლის დაცვა და ხელშეწყობა აუცილებელია თითოეული ადამიანის საკეთილდღეოდ; საქართველო აღიარებს, რომ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება, თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად; საქართველო უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ჯგუფის კულტურული თვითმყოფადობისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას. ჩვენი ქალაქის კულტურულ მრავალფეროვნებას აქვს უდიდესი ტრადიცია, ტოლერანტული თანაცხოვრებისა და განვითარების პოზიტიური გამოცდილება. კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ქალაქის სიმდიდრეს და დემოკრატიული და სტაბილური განვითარების რესურსს. 2008 წელს, ქ. ბათუმში, ეთნიკური უმცირესობებისათვის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ გაიხსნა „მეგობრობის სახლი“, რომელიც ამჟამად 9 ეთნიკურ უმცირესობას აერთიანებს. ეს ეთნიკური უმცირესობებია: აზერბაიჯანული, ბერძნული, გერმანული, ებრაული, თურქული, იეზიტური, რუსული, სომხური და უკრაინული. ბათუმში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობა არის დაცული, თუმცა, ამავდროულად საჭიროა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შემადგენელი ელემენტების – ენის, ტრადიციების, შემოქმედების ნიმუშებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების სრულფასოვანი მონაწილეობისათვის დამატებითი პირობების შექმნა. ამ მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბათუმში მოქმედი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიერ ინიცირებული ღონისძიებების (მათ შორის გამოფენა, კონცერტი, საღამო, წიგნების გამოცემა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დღის აღნიშვნა და სხვ) მხარდაჭერასა და წახალისებას. ბათუმში მოქმედი თითოეული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ წლის განმავლობაში წარმოდგენილი ინიციატივების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3 000 (სამი ათასი) ლარს.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება, ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	45	45	20% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
2	კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა	1,000	1,000	10% - საზოგადოების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა
3	ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრე პირთა უმრავლესობა დადებითად აფასებს ჩატარებული ღონისძიებების ხარისხს	საორიენტაციო მაჩვენებელი - 550-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 550-ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ებრაული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
2	აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
3	უკრაინული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
4	რუსული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
5	სომხური ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
6	იეზიტური ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
7	თურქული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
8	ბერძნული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
9	გერმანული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	ღონისძიება	5	600	3,000	3,000	
სულ ქვეპროგრამა					**27,000**	**27,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ინიციატივა წარმოდგენილი უნდა იყოს დადგენილი განაცხადის ფორმის შესაბამისად და მას თან უნდა ახლდეს წერილი ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ დირექტორის სახელზე ღონისძიების აღწერით. ინიციტივას ასევე თან უნდა ახლდეს თანხმობის წერილი იმ ორგანიზაციიდან, სადაც დაგეგმილია ღონისძიება. თანადაფინანსების მქონე ღონისძიებას თან უნდა ახლდეს თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2	ინიციტივის განაცხადის ფორმა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 03 04	ფესტივალების მხარდაჭერა	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		900,000	720,000	900,000	900,000

ქვეპროგრამის მიზანი	ბათუმში ფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქალაქი ჩამოყალიბდა, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული და კულტურული ცენტრი. აღნიშნულის საუკეთესო დასტური კი, ქ. ბათუმში გამართული საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფესტივალებია, რომლებიც უამრავ ადგილობრივ და უცხოელ მაყურებელსა და მსმენელს იზიდავს, რაც თავის მხრივ ზრდის კულტურასა და ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას, უცხოელი მაყურებლისა და მსმენელის მოზიდვას, ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს კონკურსის წესით შერჩეული, როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი ფესტივალების მხარდაჭერას, კერძოდ: 1. საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა ითვალისწინებს კულტურის სფეროში, იურიდიული პირის მიერ წარდგენილი საერთაშორისო საფესტივალი ღონისძიებების/პროექტების მხარდაჭერას, რაც ხელს შეუწყობს ქალაქში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, საინტერესო, კულტურული ფესტივალების ჩატარებას და შიდა და გარე ტურიზმის გავითარებას. ფესტივალები შერჩეული იქნება კულტურის/ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით და მორგებული იქნება ყველა თაობის ადამიანის გემოვნებაზე. ქართველი და უცხოელი ხელოვანების ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ქართველი ხელოვანების შემოქმედებით ზრდას და უცხოური გამოცდილების გაზიარებას. 2. ადგილობრივი ფესტივალების მხარდაჭერა ითვალისწინებს კულტურის სფეროში, იურიდიული პირის მიერ წარდგენილი ადგილობრივი საფესტივალო/პროექტების მხარაჭერას, რაც ხელს შეუწყობს ქალაქში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, საინტერესო ადგილობრივი ფესტივალების ჩატარებას და ტურიზმის განვითარებას. ადგილობრივი ფესტივალები შესაძლებლობას აძლევს, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე სტუმრებს დაესწრონ, მოუსმინონ და ეზიარონ ქართულ მრავალფეროვან ხელოვნებას. ადგილობრივი ფესტივალები შერჩეული იქნება კულტურის სხვადასხვა სფეროდან და მორგებული იქნება ყველა თაობის ადამიანის გემოვნებაზე. ფესტივალი უნდა ჩატარდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საბიუჯეტო წლის განმავლობაში.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია ბათუმში საერთაშორისო და ადგილობრივი ფესტივალების ჩატარება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ბათუმში ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა	11	10	30% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, მომართვიანობის ცვლილება (+/-)
2	ფესტივალებზე დამსწრე პირთა რაოდენობა (არანაკლებ)	2,800	2,400	10% - საზოგადოების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა
3	ჩატარებული ფესტივალების ხარისხის შეფასება	საორიენტაციო მაჩვენებელი - 1200-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 1000-ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი
4	ფესტივალების ფარგლებში გამართული ვორკშოპების/მასტერკლასების რაოდენობა (არანაკლებ)	22	16	20%- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ბათუმში ფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა	პროექტი	10	90,000	900,000	900,000	
სულ ქვეპროგრამა					**900,000**	**900,000**	

№	დამატებითი ინფორმაცია
	კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, გარდა საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ორგანიზაციებისა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტმა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) განცხადება/განაცხადი; ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; გ) ფესტივალის/ღონისძიების დებულება/პროგრამა; დ) პორტფოლიო (არსებობის შემთხვევაში - ანალოგიური კულტურული ღონისძიების განხორციელების ან/და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო - ვიზუალური მასალა, ხელშეკრულება, მიღება - ჩაბარების აქტი და სხვა); ე) თანადაფინანსების ან/და მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი; ვ) ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დასახელების საქონლის/მომსახურების ღირებულება მცირეფასიანზე მეტია. ამასთან, ბაზრის კვლევის დასადასტურებლად, ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ პუნქტზე, როგორც წესი, წარმოდგენილი უნდა იყოს ფასის დამდგენი - არანაკლებ 2 დოკუმენტი/ინვოისი,; ზ) ფესტივალში სხვა/მესამე პირების ჩართვასთან დაკავშირებით, დოკუმენტაციის წარმოდგენა, აღებული ვალდებულებების შესრულებაზე დადასტურებასთან მიმართებაში.
	გამარჯვებულ პროექტს გამოავლენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის პროექტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს. ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობები და პროცედურები, უფლებამოსილებები და მხარეთა ვალდებულებები მტკიცდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ხოლო ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფესტივალების დაფინანსების წესი - რეგულირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსი მოიცავს 2 ეტაპს. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის მიღება/შესწავლა. მეორე ეტაპი - განაცხადების განხილვა კომისიური წესით.
1	ქვეპროგრამით დასაფინანსებელ ფესტივალთა რაოდენობა და ერთეულის ფასი წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 10 ფესტივალის შერჩევა/დაფინანსების შემდეგ, ქვეპროგრამის ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 10 ფესტივალზე მეტის შერჩევა/დაფინანსება. ამასთან, ერთი ფესტივალის მაქსიმალური დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 90 000 ლარს.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 03 05	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			150,000	100,000	120,000	150,000

ქვეპროგრამის მიზანი	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას. კონკურსის წესით შეირჩევა საუკეთესო ინიციატივები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას. მათ შორის დაფინანსდება ინოვაციური, აქტუალური და ანალიტიკური პროექტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეებისა და ხელოვნების ახალი სახეობების მხარდაჭერას. ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ხელოვნებისა და კულტურის პროექტების მეშვეობით კულტურულ ღონისძიებებში მოქალაქეების მონაწილეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მიმართ საზოგადოების ინტერესის გაზრდას. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტები უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2025 წლის განმავლობაში და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანადაფინანსების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი - დოკუმენტების მიღება, მეორე ეტაპი - დოკუმენტების განხილვა. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება. დოკუმენტაცია შემდეგ გადაეცემა მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს, რომელიც წარუდგენს კომისიას ინფორმაციას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების დეტალური განხილვა. განაცხადების მიღება იწარმოებს 2025 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე. გამარჯვებულ პროექტს გამოავლენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის პროექტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია. ქვეპროგრამის განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის განსახილველად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარების და პროექტის განხორციელების წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განხორციელებულია კულტურის სფეროში ინიცირებული პროექტები.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	14	15	20% - წარმოდგენილი პროექტების სიმცირე
2	წარმოდგენილ განაცხადთა რაოდენობა (არანაკლებ)	50	30	20% - მომართვიანობის ცვლილება (+/-)
3	ღონისძიებებზე დამსწრე პირთა რაოდენობა (არანაკლებ)	5,000	3,000	10% - საზოგადოების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა, ღონისძიებების დაბალი ხარისხი
4	ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება	საორიენტაციო მაჩვენებელი -2500-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 1500-ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი.

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	კონკურსში გამარჯვებულ პროექტთა დაფინანსება	პროექტი	15	10,000	150,000	150,000	
სულ ქვეპროგრამა					**150,000**	**150,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქვეპროგრამით დასაფინანსებელ პროექტთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 15 პროექტის შერჩევა/დაფინანსების შემდეგ ქვეპროგრამის ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 15 პროექტზე მეტის შერჩევა/დაფინანსება.

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			5,130,300	5,488,170	6,055,207	6,623,500

პროგრამის მიზანი	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და ბათუმში მოღვაწე ხელოვანთა მხარდაჭერა
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა. მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში. მასში ასახულია ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება, ქართველი ერის თვითმყოფადობა და ეთნოკულტურა. თანამედროვე და კლასიკური მუსიკის ხელშეწყობით ხელმისაწვდომია კულტურისა და შემოქმედების ტრადიციული და თანამედროვე ფორმების, ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების თანაარსებობის, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობის თანაბარი ხელშეწყობა. ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ სრულფასოვანი ფუნქციონირებით, ხელი შეეწყობა ეროვნული ლიტერატურის, ლიტერატურის მემკვიდრეობის დაცვის, კოლექციებისა და საარქივო მასალების გაციფრულებას, ინტერნეტ - ბიბლიოთეკების მრავალფუნქციურ დაწესებულებად ჩამოყალიბებას, მოსახლეობის საგანმანათლებლო საქმიანობას, სოციალიზაციისა და საჯარო მომსახურებათა ხელმისაწვდომობას. ხელოვანთა პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნივნელობანია მათი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ პროექტებში მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება.
	პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, 2025-2028 წლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: - ფოლკლორის ხელშეწყობა; - თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა; - კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა; - ხელოვანთა ხელშეწყობა; - ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა და მხარდაჭერილი არიან ბათუმში მოღვაწე ხელოვანები.

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
1	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	94	100	100	105	107	12% - გაუმართავი ტექნიკური აღჭურვილობა; '20% - მოქალაქეთა დაბალი ინტერესი

2	ხელოვანთა რაოდენობა რომელიც მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მომაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში	5	5	7	10	10	20% -მომართვიანობის ცვლილება (+/-)
3	ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობით საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ გამოფენების/გასტროლების რაოდენობა	-	-	7	7	7	40% - მომართვიანობის ცვლილება (+/-)
4	შემოქმედებით ინდუსტრიების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	-	-	5	7	7	30% -მომართვიანობის ცვლილება (+/-)

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 04 01	ფოლკლორის ხელშეწყობა	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			2,117,400	2,178,500	2,396,500	2,635,900

ქვეპროგრამის მიზანი	კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	მოძრავი და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდა, ჩვენს იდენტობასა და კულტურულ მრავალფეროვნებას ეროვნული ფოლკლორი, წინაპრებისგან გადმოცემული საშემსრულებლო ხელოვნება ქმნის, რასაც დღეს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას ვუწოდებთ. ეროვნული ფოლკლორი ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია, განსაკუთრებით მუსიკალური ფოლკლორი, სარიტუალო ცეკვები. ქართული მრავალხმიანობა UNESCO- ს არამატერიალურ ძეგლადაა მიჩნეული. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სისტემაში მოქმედი ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ ამჟამად 3 ფოლკლორული ანსამბლი მოღვაწეობს: 1) ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ბათუმი“ და ქორეოგრაფიული სტუდია; 2) ქალთა ვოკალური ანსამბლი; 3) ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლი. ანსამბლები მონაწილეობენ ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ მრავალ ღონისძიებაში, ყოველწლიურად ანსამბლები ანახლებენ რეპერტუარს. ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესია ეროვნული ფოლკლორის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია, განვითარების ხელშეწყობა, ამ მიზნით, ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული შემოქმედებითი კოლექტივების პოპულარიზაციას და მხარდაჭერას. 2025 წელს დაგეგმილია 52 კონცერტის ჩატარება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ჩატარებული კონცერტების რაოდენობა	58	52	10% - გაუმართავი ტექნიკური აღჭურვილობა; 20% - მოქალაქეთა დაბალი ინტერესი

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**შემოქმედებითი კოლექტივების შრომის ანაზღაურება**		**108**		**1,827,200**	**1,827,200**	**0**
	ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ბათუმი“-ს შრომის ანაზღაურება	პირი	70	17,271	**1,209,000**	1,209,000	
	ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ბათუმი“-ს ქორეოგრაფიული სტუდიის შრომის ანაზღაურება	პირი	4	12,675	**50,700**	50,700	

	ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,ბათუმი“-ს შრომის ანაზღაურება	პირი	14	17,136	**239,900**	239,900	
	ვოკალური ანსამბლი ,,ბათუმი“-ს შრომის ანაზღაურება	პირი	20	16,380	**327,600**	327,600	
2	**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ფონდი (ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ბათუმი"-ს ვეტერანთა ჯგუფი)**	**პირი**	**17**	**9,000**	**153,000**	**153,000**	
3	**ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ბათუმი“-ს და ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,ბათუმი“-ს ფორმითა და ინსტრუმენტებით აღჭურვა**				**10,000**		**10,000**
4	**საერთაშორისო მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, მათ შორის:**				**120,000**	**0**	**120,000**
	ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ბათუმი“-ს და ვეტერანთა ჯგუფის გასტროლი (თურქეთის რესპუბლიკა, ქალაქი სიდე)	**პირი**	**26**	**3,154**	**82,000**		**82,000**
	ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ბათუმი“ს და ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლი ,,ბათუმი“-ს გასტროლი (თურქეთის რესპუბლიკა, ქალაქი ქირშეჰირი)	**პირი**	**26**	**1,462**	**38,000**		**38,000**
5	**საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება მათ შორის:**				**7,200**	**0**	**7,200**
	ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ბათუმი“ს გასტროლი (თბილისი)	**პირი**	**46**	**157**	**7,200**		**7,200**
სულ ქვეპროგრამა					**2,117,400**	**1,980,200**	**137,200**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	
2	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 04 02	თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			428,600	471,500	518,700	570,600

ქვეპროგრამის მიზანი	თანამედროვე მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლებლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
ქვეპროგრამის აღწერა	თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია ამ ჟანრის მუსიკის განვითარების, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და ჩვენი ქალაქის ცნობადობის გაზრდისათვის. ქვეპროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე მუსიკის მიმართულებით, ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული 2 ანსამბლის მოღვაწეობას - ბათუმის „ჯაზ-ბიგ ბენდი" და ჯგუფი „GEO PLANET“, „ჯაზ-ბიგ ბენდი" ჩამოყალიბდა „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ბაზაზე 2013 წელს აჭარის დამსახურებული არტისტის, კომპოზიტორის ვახტანგ გორდაძის ხელმძღვანელობით. ბენდი გამოირჩევა შესრულების მაღალი დონით. რეპერტუარი დაფუძნებულია, როგორც ქართულ მუსიკაზე, ასევე მსოფლიო კლასიკური ჯაზური მუსიკის საკუთარ, ორიგინალურ ინტერპრეტაციაზე. „ჯაზ-ბიგ ბენდი" წარმატებით გამოდის არა მარტო ქ. ბათუმის მსმენელთა წინაშე, არამედ უცხოეთში. ამის დასტურია ბენდის გამოსვლები ბერლინის და პოტსდამის (გერმანია) ჯაზური მუსიკის ფესტივალებზე. საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას ეწევა ჯგუფი ,,ჯეოპლანეტი“, ჯგუფის რეპერტუარი აგებულია ქართული ხალხური სიმღერების პოპ და როკ მუსიკის ე.წ. ეთნო ფოლკლორის სინთეზზე. ჯგუფი მონაწილეობდა პოპულარულ კონკურსებზე ,,ჯეოსტარი“, მე მიყვარს საქართველო“.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია თანამედროვე მუსიკის განვითარება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ჩატარებული კონცერტების რაოდენობა	17	19	12% - გაუმართავი ტექნიკური აღჭურვილობა; '20% - მოქალაქეთა დაბალი ინტერესი

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**შემოქმედებითი კოლექტივების შრომის ანაზღაურება**		**30**		**428,600**	**428,600**	**0**
	ჯაზ-ბიგ ბენდის შრომის ანაზღაურება	პირი	24	14,744	353,850	353,850	
	ჯგუფი „GEO PLANET“-ის შრომის ანაზღაურება	პირი	6	12,458	74,750	74,750	
სულ ქვეპროგრამა					**428,600**	**428,600**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	
2	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 04 03	კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			802,100	882,400	970,700	1,067,800

ქვეპროგრამის მიზანი	კლასიკური მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
ქვეპროგრამის აღწერა	კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ბათუმში სამუსიკო სკოლების შემცირებამ შექმნა საშიშროება ამ ჟანრის პოპულარიზაციის, ეს მაშინ, როდესაც ბათუმი გამოირჩეოდა კლასიკური მუსიკის მსმენელთა და შემსრულებელთა მაღალი პროფესიონალიზმით. გაჩნდა საშიშროება ჟანრის კადრების დეფიციტის. ცენტრში არსებული კოლექტივები დღემდე პასუხობენ კლასიკური მუსიკის მაღალ დონეს, რაც საწინდარია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელების აუცილებლობისა. ბათუმის კულტურის ცენტრში ამჟამად 3 კლასიკური მუსიკის შემსრულებელი კოლექტივი მოღვაწეობს: 1) ქალთა აკადემიური კამერული გუნდი; 2) სასულე ორკესტრი; 3) სიმებიანი კვარტეტი. ქალთა კამერული გუნდი თავის სფეროში ერთ-ერთი იშვიათი კოლექტივია, რომელიც მუშაობს, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი წარმატებული კომპოზიტორების შექმნილ ურთულესი ნაწარმოებებით. კამერულ გუნდს მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ საგუნდო ფესტივალსა თუ კონკურსში, სადაც დიდი აღიარებები აქვთ მოპოვებული. ქალთა კამერული გუნდი მოთხოვნადი კოლექტივია როგორც ქვეყნის შიგნით, რეგიონში ასევე საზღვარგარეთ. სასულე ორკესტრი მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული მუსიკოსებით დაკომპლექტებული ორკესტრია, რომელიც ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული. იგი მონაწილეობას ღებულობს ყველა სახალხო, სახელმწიფო, ხსოვნის, რელიგიურ თუ ღირსშესანიშნავი დღეების აღმნიშვნელ ღონისძიებაში. სიმებიანი კვარტეტი კლასიკური მუსიკის საშემსრულებლო ჟანრის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და უიშვიათესი კოლექტივია, რომელიც ხშირად მონაწილეობს ქალაქის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, როგორიცაა გამოფენები, საზეიმო გახსნები და სხვადასხვა პრეზენტაციები. კვარტეტი დაკომპლექტებულია მაღალი საშემსრულებლო დონის შემსრულებლებით, რომლებიც ხშირად ალამაზებენ ქალაქში ჩატარებულ სხვადასხვა მაღალი რანგის ღონისძიებას. ყოველწლიურად კოლექტივები ანახლებენ რეპერტუარს, ქვეპროგრამის ფარგლებში, 2025 წელს, დაგეგმილია 28-მდე კონცერტის ჩატარება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია კლასიკური მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ჩატარებული კონცერტების რაოდენობა	26	28	12% - გაუმართავი ტექნიკური აღჭურვილობა; 20% - მოქალაქეთა დაბალი ინტერესი

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**შემოქმედებითი კოლექტივების შრომის ანაზღაურება**		**58**		**794,600**	**794,600**	
	ქალთა აკადემიური კამერული გუნდის წევრების შრომის ანაზღაურება	პირი	29	14,129	**409,750**	409,750	

	სიმებიანი კვარტეტის წევრების შრომის ანაზღაურება	პირი	5	15,730	**78,650**	78,650	
	სასულე ორკესტრის წევრების შრომის ანაზღაურება	პირი	24	12,758	**306,200**	306,200	
2	**საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება მათ შორის:**				**7,500**	**7,500**	**0**
	ქალთა კამერული გუნდის გასტროლი (თბილისი)	პირი	29	259	**7,500**	7,500	
სულ ქვეპროგრამა					**802,100**	**802,100**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	
2	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 04 04	ხელოვანთა ხელშეწყობა	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			77,000	80,000	106,000	115,000

ქვეპროგრამის მიზანი	ქ. ბათუმში მოღვაწე შემოქმედთა პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა, ხელოვანთა დაფასება და სტიმულირება
ქვეპროგრამის აღწერა	ხელოვანთა პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნივნელოვანია მათი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ პროექტებში მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება. ქვეროგრამა ხელს შეუწყობს ბათუმელ ხელოვანთა პროფესიულ ზრდას, გამოცდილების გაღრმავებას, ქართული კულტურის საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩენას, ხელოვანებს შორის კონტაქტების დამყარებას, ქართულ და უცხოურ სახელოვნებო საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ხელოვანთა დაფასებასა და სტიმულირებას. ხელოვანთა ხელშეწყობის მიზნით, ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები: **1. საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება -**იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მოღვაწეობენ ბათუმში და სურთ მონაწილეობის მიღება საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში (მათ შორის კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში). ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. პრიორიტეტი მიენიჭება ხელოვანებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამუსიკო, აუდიოვიზუალური, სახვითი და თეატრალური ხელოვნების მიმართულებით დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებებში. კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული ბენეფიციარი მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 2 000 ლარისა, ერთჯერადი გასაცემლის სახით, მგზავრობის, ვიზის, დაზღვევის და ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაწესებულ სარეგისტრაციო ხარჯების ანაზღაურების მიზნით. **2. ხელოვანი ბათუმისთვის -** ღონისძიება ითვალისწინებს კულტურის სფეროში ნიჭიერი/წარმატებული ხელოვანების გამოვლენას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ და პირადი/მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქ. ბათუმის რეკლამირება/პოპულარიზაციაში. ასევე, წლის ბოლოს, დაჯილდოების ოფიციალური საზეიმო ცერემონიალის გამართვას. ღონისძიების ფარგლებში, კულტურის სფეროში, მიმდინარე წლის ნიჭიერ/წარმატებულ ხელოვანთა შორის გამარჯვებულთა გამოვლენა ხორციელდება კონკურსის წესით, საკონკურსო კომპოზიციების ან/და მიმდინარე წელს მიღწეული წარმატების მიხედვით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი ჟიურის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამასთან, საკონკურსო კომპოზიცია უნდა იყოს ახალი - 2025 წლის პროდუქტი/შემოქმედება/შესრულება ან ძველი/ადრინდელი ვერსია - განახლებული სახით, რომელიც ეძღვნება ბათუმს (და მასთან ასოცირებულ ღირებულებებს/ფასეულობებს - ზღვა, სიყვარული, ბათუმელები და ა.შ.), კულტურის სფეროს შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მუსიკა; თეატრი; ლიტერატურა (დრამატურგია, პოეზია, პროზა) ქორეოგრაფია; კინომატოგრაფია (დოკუმენტური კინო, ანიმაციური ფილმები, მხატვრული კინო); ფოტოხელოვნება; მოქანდაკეობა (სკულპტურა); ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა, მხატვრობა). კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადის შეტანა შეუძლია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ - იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, ასევე, მოქალაქეთა არანაკლებ 10 კაციან საინიციატივო ჯგუფს. რაც შეეხება კონკურსანტს - კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურ (სოლო), ასევე, ჯგუფურ - 2-ზე მეტი მონაწილის გაერთიანების - ჯგუფი, დასი, ანსამბლი, გუნდი და ა.შ. ფორმატში. შესაბამისად, კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან ჯგუფი. ამასთან, აუცილებელი პირობაა, რომ კონკურსანტი განაცხადის შეტანის მომენტისთვის რეგისტრირებული იყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. გამონაკლის შემთხვევები, რეგულირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსები მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი - დოკუმენტების მიღება, მეორე ეტაპი - დოკუმენტების განხილვა. საბოლოო შედეგები განისაზღვრება შეფასების შედეგად, დაგროვილი ქულების დაჯამებით. გამარჯვებულად დასახელდება ის პირები, რომლებიც მიიღებენ ყველაზე მეტ ქულას. ღონისძიების ფარგლებში, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ დებულება (პირობები და ეტაპები, განცხადებების მიღება-განხილვის ვადები და შეფასების კრიტერიუმები, უფლებამოსილებები და მხარეთა ვალდებულებები, ასევე, სხვა თანმდევი პროცედურები/რეგულაციები) და განაცხადი, მტკიცდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	1. ხელშეწყობილია ქ. ბათუმში მოღვაწე ხელოვანები; 2. დაფასებული და სტიმულირებულია ბათუმელი ხელოვანები.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში მონაწილე ბათუმელ ხელოვანთა რაოდენობა (არანაკლებ)	5	10	20% - მომართვიანობის შემცირება/გაზრდა,
2	ჯილდოზე ნომინირებულ ხელოვანთა რაოდენობა (არანაკლებ)	10	17 და მეტი	40% - მომართვიანობის შემცირება/გაზრდა,
3	კმაყოფილების მაჩვენებელი (კონკურსებში მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ღონისძიებები მორგებულია მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას)	საორიენტაციო მაჩვენებელი - 70%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 70%-ზე მეტი	10% - ღონისძიებების არასათანადო კავშირი კონკურსანტისს ინტერესებსა და საჭიროებებთან.
4	ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ განაცხადთა რაოდენობა (არანაკლებ)	55	35	20% - მომართვიანობის შემცირება/გაზრდა,

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება	პირი	10	2,000	20,000	20,000	
2	ხელოვანი ბათუმისთვის	ღონისძიება	1	57,000	57,000	57,000	
სულ ქვეპროგრამა					**77,000**	**77,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ღონისძიებით „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ გათვალისწინებულ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ ამ ღონისძიების ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ღონისძიებით დადგენილი პირობების დაცვით, დაგეგმილზე მეტი პირის დაფინანსება.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 04 05	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა		1,705,200	1,875,770	2,063,307	2,234,200

ქვეპროგრამის მიზანი	ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბიბლიოთეკის მართვა-ადმინისტრირება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; საცნობარო–ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ–გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ–გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომლობის უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; კულტურის, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სამეცნიერო–ინფორმაციული ღონისძიებების ორგანიზება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა/სრულყოფა და სხვა.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, ჩატარებულია კულტურულ- საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებები.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობის ზრდა	4,700	3,200	7% - ბეჭდური რესურსის ღირებულების მკვეთრი ზრდა
2	რეგისტრირებულ მკითხველთა რაოდენობა	3,300	3,500	6% - მკითხველთა ინტერესის ცვლილება +/-
3	საბიბლიოთეკო ფონდის ბეჭდური გამოცემებით მოსარგებლეთა რაოდენობა	40,000	42,000	5% - მკითხევლთა ინტერესის ცვლილება +/-
4	საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული რესურსებით (აუდიო- ვიდეო მასალა და ინტერნეტი) მოსარგებლეთა რაოდენობა	21,000	23,000	9,5% - მკითხევლთა ინტერესის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-ადმინისტრირება**				**1,549,600**	**1,545,100**	**4,500**
	შრომის ანაზღაურება	პირი	80	16,734	1,338,700	1,338,700	

	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	2	19,500	39,000	39,000	
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				171,900	167,400	4,500
2	**მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება**				**155,600**	**155,600**	**0**
	ჟურნალ-გაზეთების შეძენა	ცალი	2,000	4	7,000	7,000	
	წიგნების შეძენა	ცალი	1,200	17	20,500	20,500	
	ჰაერის კონდიციონერი (კოლონური/დასადგმელი)	ცალი	2	5000	10,000	10,000	
	ფოტოაპარატი	ცალი	1	5000	5,000	5,000	
	ფერადი პრინტერი კომბინირებული	ცალი	1	2000	2,000	2,000	
	შავ-თეთრი პრინტერი კომბინირებული	ცალი	1	1050	1,100	1,100	
	კიბეები წიგნის თაროებისთვის	ცალი	6	1167	7,000	7,000	
	საბიბლიოთეკო ავეჯი (სტელაჟები)	კვ/მ	90	667	103,000	103,000	
სულ ქვეპროგრამა					**1,705,200**	**1,700,700**	**4,500**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	
2	

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			6,236,000	6,221,900	6,500,000	7,600,000

პროგრამის მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა
პროგრამის აღწერა	კულტურული მემკვიდრეობა ის სიმდიდრეა, რომელიც წინაპრებისგან გვერგო და რომლის მესაკუთრენიც ყველანი ვართ. ის ქვეყნის სახეს განსაზღვრავს. კულტურული მემკვიდრეობა წარსულთან გვაკავშირებს, აწმყოსთვის მყარ საყრდენს გვაძლევს და მომავლისკენ გზას გვიკვალავს. ამ უძვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმზიდველი გარემო და სათანადო პოპულარიზაცია დადებით გავლენას ახდენს ტურიზმის სფეროს განვითარებაზე. ბევრი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსად იქცა კულტურული ტურიზმი. კულტურული მემკვიდრეობა არ არის მუდმივი. მისი დაზიანება შეუქცევადი პროცესია, რომელიც შეგვიძლია დროში გავწელოთ, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ავიცილებთ. ვინაიდან ნებისმიერი წარმოშობის მასალა, რისგანაც შექმნილია ძეგლი თუ ექსპონატი, დროთა განმავლობაში ზიანდება, ფიზიკური, ბიოლოგიური ან ქიმიური ზეგავლენების შედეგად ან ადამიანის მიზეზით, საჭიროებს აღდგენას და მის რეაბილიტირებას. თვითმართველობის ერთ-ერთ მიზანს, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება, რაც გულისხმობს ქალაქ ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია“.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
1	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა	3	2	2	1	1	არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
2	სარეაბილიტაციო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პროცენტული წილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საერთო რაოდენობაში	4%	2%	1%	1%	1%	-

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 05 01	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			6,236,000	6,221,900	6,500,000	7,600,000

ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია
ქვეპროგრამის აღწერა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით მიმდინარეობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით განხორციელდება ქვეპროგრამა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია“, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია-გამაგრება; ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია-გამაგრება; ქ. ბათუმში, ცენტრალური პარკის შესასვლელში არსებული კოლონადების რეაბილიტაცია-რესტავრაცია და ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N49-ში მდებარე შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა	3	2	არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია-გამაგრება	შენობა	1	5,055,530	**5,055,530**	5,055,530	
2	ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	შენობა	1	100,000	**100,000**	100,000	
3	ქ. ბათუმში, ცენტრალური პარკის შესასვლელში არსებული კოლონადების რეაბილიტაცია-რესტავრაცია	ძეგლი	1	124,630	**124,630**	124,630	

4	კოტე მარჯანიშვილის და ლუკა ასათიანის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარესტავრაციო სამუშაოები	შენობა	1	855,840	**855,840**	855,840	
5	ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N49-ში მდებარე შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ერთეული	1	100,000	**100,000**	100,000	
სულ ქვეპროგრამა					**6,236,000**	**6,236,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია-გამაგრება, მრავალწლიანი პროექტია (2024-2026 წწ), რომლის საბიუჯეტო ღირებულება შეადგენს 6 923 528,20 ლარს
2	ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები, მრავალწლიანი პროექტია (2024-2026 წწ), რომლის საბიუჯეტო ღირებულება შეადგენს 7 621 075,33 ლარს
3	ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N49-ში მდებარე შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მრავალწლიანი პროექტია, სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2025-2026 წწ.) შეადგენს 455 023,00 ლარს.

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			249,200	276,400	298,700	331,500

პროგრამის მიზანი	ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობა
პროგრამის აღწერა	ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა. რაც ქმნის იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების პიროვნული, სოციალური, ინტელექტუალური და ღირებულებითი განვითარება, მხარდაჭერილი იქნას ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლენა და პოტენციალის რეალიზება და ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თანამედროვე სამყაროში, გლობალიზაციის პირობებში, ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო, ტექნოლოგიების განვითარება და კონკურენცია, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები და მათი აღჭურვა თანამედროვეობისა და მომავლისთვის საჭირო გამჭოლი კომპეტენციებით. აღიარებულია, რომ სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება, ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ უკეთ სრულდება, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან. ადგილობრივი თვითმმართველობა კი, ადგილობრივ ახალგაზრდებთან, ყველაზე დაახლოებული ორგანოა, რაც მუნიციპალიტეტს აძლევს იმის საშუალებას, რომ ხელი შეუწყოს ადგილობრივი ახალგაზრდების განვითარებას. სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის თანახმად, საქართველოში ახალგაზრდის ასაკად განსაზღვრულია 14-29 წელი. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფი, თავის მხვრივ იყოფა შემდეგ ასაკობრივ კატეგორიებად: 14 - 17, 18 - 21, 24 - 25, 26-29, ყოველი ასაკობრივი კატეგორია ხასიათდება განსხვავებული ინტერესებითა და საჭიროებებით. ადამიანის ასაკობრივი განვითარების თეორიების თანახმად, სხვადასხვა ასაკში, ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები და ინტერესები გააჩნიათ, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო პროგრამების დაგეგმვის დროს, არსებული გამოწვევებისა და ინტერესთა კვლევებით დადასტურებული მტკიცებულებების გარდა, გათვალისწინებული იქნას ასაკობრივი განვითარებისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც და ინტერესებიც. მაგალითად, 14-დან 18 წლამდე ასაკის განვითარების ასაკობრივი განვითარების მახასიათებლებია ინტერესის გამოვლენა იმ ცოდნის მიმართ, რაც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, ახალგაზრდებს ამ ასაკში აქვთ შემოქმედებითობის მოთხოვნილება, ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი და თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. უყალიბდებათ თვითშეფასება, მსოფლმხედველობა, ლოგიკური აზროვნება და წარმოსახვის უნარი. 18 - დან 24 წლის ახალგაზრდების მთავარი საზრუნავი განათლების მიღებაა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე. ამ ასაკში ახალგაზრდების ინტერესია ასევე, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. ეს ასაკობრივი პერიოდი, ასევე დაკავშირებულია ასოციალური ქცევის, სოციალურ ურთიერთობებში პრობლემების, წარუმატებელი კარიერული არჩევანის, სიღარიბისა და სხვა რისკებთან. 25 წელს ზემოთ ახალგაზრდების ძირითადი მიზანია იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი წევრები, მოახდინონ შრომის ბაზარზე მათი მდგომარეობის სტაბილიზაცია და დაიწყონ ოჯახური ცხოვრება. როდესაც ახალგაზრდებს აქვთ განცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მხარს უჭერს მათ განვითარებას, რეალიზებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას და მათი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს, ასეთ შემთხვევაში, ახალგაზრდების სოციალური პასუხიმგებლობა, მოქალაქეობრივი თვითშეგნება, პიროვნული განვითარების დონე, ეკონომიკური მდგომარეობა, თუ ყოფითი ცხოვრება თანდათანობით უმჯობესდება და იცვლება უკეთესობისკენ. 2024 წლის მონაცემებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 14 - 29 წლის ასაკის 38 835 ახალგაზრდაა რეგისტრირებული. ხოლო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 14 დან 18 წლის ჩათვლით 13 005 მოსწავლეა. მათ განვითარებაზე ზრუნვა კი, პირდაპირ აისახება ქალაქისა და ქვეყნის მომავალ კულტურულ, სოციალურ, დემოკრატიულ, ეკონომიკურ და მდგრად განვითარებაზე. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას.

	საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად კი, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას. კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად კონცეფცია განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 22 მოსალოდნელ შედეგს, მათ შორისაა: საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა, ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება, ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები.
	2021 წლის 13 აპრილს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წლის 28 აპრილის გ-15. 152311813 განკარგულების თანახმად, დაამტკიცა ახალგაზრდობის განვითარების მუნიციპალური სტრატეგიის დოკუმენტი, რომლიც ძირითადად დაეფუძნა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“, ლოკალურ დონეზე ჩატარებული კვლევის მტკიცებულებებს და დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების შედეგებს.
	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) ხედვაა: ბათუმი არის მუნიციპალიტეტი, სადაც შექმნილია ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზებაზე, ეკონომიკურ გაძლიერებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული გარემო, აღიარებულია ახალგაზრდების პოტენციალი და ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება, მონაწილეობა და კეთილდღეობა. სტრატეგია შედგება 4 სტრატეგიული, პრიორიტეტული მიზნისა და 21 ამოცანისგან. ეს სტარტეგიული მიზნებია: **სტრატეგიული მიზანი 1** ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; **სტრატეგიული მიზანი 2** არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა; **სტრატეგიული მიზანი 3** ახალგაზრდების დასაქმების, კარიერული განვითარებისა და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის/სტარტაპის მიმართულებით კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა; **სტრატეგიული მიზანი 4** ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა.
	ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების მხარდაჭრისა და ხელშეწყობის მიზნით, „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, 2025-2028 წლებში ბათუმში მცხოვრები და რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის იმოქმედებს ახალგაზრდული სივრცე და არაფორმალური განათლების მიღების სერვისი (მასში გაერთიანებული იქნება ახალგაზრდებში საჭირო კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები), რომლის ფარგლებშიც, იმოქმედებს თემატური კლუბები, ჩატარდება ტრენინგები, ვორქშოფები და სხვა აქტივობები. მხარდაჭერილი იქნება ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების ჩატარება და ხელშეწყობილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, იფუნქციონირებს ახალგაზრდული საბჭო, მოხალისეთა კლუბი, ჩატარდება ახალგაზრდული ფორუმი და დაფინანსდება ახალგაზრდების ინიციატივები. ხელშეწყობილი იქნება ახალგაზრდების პროფორიენტაცია, კარიერული განვითარება და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარება. გარდა აღნიშნულისა, ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა შეიკრიბონ უსაფრთხო, თავისუფალ და საგანმანათლებო ახალგაზრდულ სივრცეში კერძოდ, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის" განხორციელებისთვის გამოყოფილ ფართში, იმსჯელონ აქტუალურ და მათთვის საინტერესო თემებზე, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, კულტურული მისწრაფებები და გაუზიარონ თანატოლებს თავიანთი ინტერესები და თავისუფალი დრო საინტერესოდ და პროდუქტიულად დახარჯონ. არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული სივრცეების სერვისებით ახალგაზრდების დაინტერესებისა და მიზიდვის მიზნით, უკვე არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყობა გასართობი სივრცე, რაც ახლგაზრდების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალება იქნება და ახალგაზრდების ჩართულობასა და ახალგაზრდების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით დაინტერესებას გაზრდის, ამავდროულად ხელს შეუწყობს ახალგაზრდების თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას, დასვენებისა და გართობის უფლების რეალიზებას, საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების დაახლოებასა და ერთობლივად ინიციატივებისა და იდეების განხილვას, პროექტების შექმნასა და განხორციელებას.
	არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული სივრცის სერვისებზე რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის ხელმისაწვდომობის მიზნით, ქალაქის ცენტრისგან დაშორებულ უბნებშიც მოეწყობა ახალგაზრდული სივრცეები, რომლებშიც ასევე ხელმისაწვდომი იქნება არაფორმალური განათლების სერვისიც, რაც საშუალებას მისცემს ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მცხოვრებ ახალგაზრდებს ადგილზე მიიღონ ის სერვისები, რასაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭრის, კერძოდ კი ახალგაზრდული სივრცის ხელმისაწვდომობისა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში ახორციელებს. დაგეგმილი ახალგაზრდული საქმიანობა ხელს შეუწყობს, ახალგაზრდების პიროვნულ, გონებრივ, ფიზიკურ, სოციალურ, კულტურულ, პროფესიულ თუ ეკონომიკურ განვითარებას და მნიშველოვნად უზრუნველყოფს დანაშაულის, დისკრიმინაციის, ძალადობის, არაჯანსაღი ცხოვრების წესისა და მავნე ნივთიერებების მოხმარების პრევენციას ახალგაზრდებში.
	პროგრამის ფარგლებში 2025-2028 წლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: 1. ახალგაზრდული ცენტრი; 2. ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა; 3. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა; 4. ახალგაზრდული მუშაკების მუნიციპალური სერვისი; 5. ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა; 6. ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება და გადაწყვეტილების მირების პროცესში მონაწილეობა

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
1	პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში ახალგაზრდების დასწრების საერთო მაჩვენებელი	4,000	2,740	7,000	8,000		5% - პროგრამის ცნობადობის ნაკლებობა ან/და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი
2	ქალაქის გარეუბნებში მოწყობილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცეები	-	-	6	8	8	არასაკმარისი ბიუჯეტი/ფინანსური რესურსის არარსებობა
3	ახალგაზრდულ ცენტრში ფუნქციონირებს გასართობი სივრცე	-	-	1	1	1	არასაკმარისი ბიუჯეტი/ფინანსური რესურსის არარსებობა
4	დაფინანსებული ახალგაზრდული ინიციატივების რაოდენობა (არანაკლებ)	10	10	12	12	12	20% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი
5	ჩატარებული ღონისძიებების მოსარგებლები მიიჩნევენ, რომ ღონისძიებებში მონაწილეობით მიღებულმა სარგებელმა უკეთესობისკენ შეცვალა მათი დამოკიდებულებები, ცოდნა და უნარები, რაც დადებით ზეგავლენას იქონიებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65% მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65% მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 75% მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 80% მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 80% მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 06 01	ახალგაზრდული ცენტრი	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			230,000	250,000	270,000	300,000

ქვეპროგრამის მიზანი	ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული სივრცის ფუნქციონირების ხელშეწყობა; არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა; ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
	ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა. რაც ქმნის იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების პიროვნული, სოციალური, ინტელექტუალური და ღირებულებითი განვითარება, მხარდაჭერილი იქნას ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლენა და პოტენციალის რეალიზება და ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თანამედროვე სამყაროში, გლობალიზაციის პირობებში, ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო, ტექნოლოგიების განვითარება და კონკურენცია, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები და მათი აღჭურვა თანამედროვეობისა და მომავლისთვის საჭირო გამჭოლი კომპეტენციებით.
	ახალგაზრდული სივრცე არის ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული, უსაფრთხო, არაფორმალური გარემო, ადგილი, სადაც ახალგაზრდებს ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევათ, მორგებულია მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე და ხელს უწყობს ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლენას, განვითარებასა და პოტენციალის რეალიზებას. სივრცეების საჭიროებასა და ახალგაზრდების მიერ სივრცეებზე ხელმისაწვდომის გაზრდის მოთხოვნას, ამყარებს, „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა - მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე" (კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, აგვისტო, 2021), რომლის მიგნებებში, აღნიშნულია, რომ „ხელმისაწვდომობა სივრცეებზე შეკრებებისთვის (აჭარის რეგიონი - 5%, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 6%) და ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზე (აჭარის რეგიონი - 3%, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 4%) თითქმის არ არსებობს.
	საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდული სივრცეები წარმოადგენს ახალგაზრდების თავშეყრის ადგილს, მეორეს მხვრივ, სივრცეების ბაზაზე ხორციელდება ახალგაზრდული საქმიანობა. „ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას, ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას“ ვკითხულობთ ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგიაში (2015 წ). ახალგაზრდულ სივრცეებში არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შექმნის საჭიროებაზე კეთდება აქცენტი, „ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის (საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, აგვისტო, 2021) რეკომენდაციაშიც: „სასურველია ახალგაზრდების შეკრებებისთვის, დისკუსიების გამართვისა და სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებისთვის მეტი სივრცის მობილიზება ქალაქში, სადაც ახალგაზრდები არაფორმალური განათლების მიღებას შეძლებენ“.
	არაფორმალური განათლება სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაცაა. „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების თანახმად, „არაფორმალურ განათლებას პიროვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს და მას ფორმალური განათლება ვერ ჩაანაცვლებს. არაფორმალური განათლების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას არაერთი დადებითი შედეგი აქვს: უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება (ადამიანური კაპიტალი); პოზიტიური ურთიერთობების დამყარება (სოციალური კაპიტალი); ქცევის (მაგალითად, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ქცევის) შეცვლა (ჯანმრთელობის ხელშეწყობა) და პიროვნული ზრდა".

არაფორმალური განათლების საშუალებით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის გადაწყვეტა პრევენცია არის შესაძლებელი, ახალგაზრდები კი, მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, მათ შორის, ქალაქ ბათუმში, მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის მწვავედ დგას ისეთი პრობლემები, როგორიცაა არასასურველი ქცევა, ბულინგი და დისკრიმინაცია. მაგალითად, „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის“ (კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, აგვისტო, 2021) „სარისკო ქცევების“ ქვეთავში, გავრცელებულ სარისკო ქცევებს შორისაა სიგარეტის მოხმარება, თანამედროვე ტექნოლოგიებით გატაცება, ალკოჰოლის მოხმარება, აზარტული თამაშებით გატაცება და მარიხუანას მოხმარება, კლუბური ნარკოტიკისა და საძილე-დამამშვიდებელი საშუალებების მოხმარებაც. ხოლო, ამავე კვლევის „დისიკრიმინაციის გამოცდილება“ ქვეთავში ვკითხულობთ: „განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებმა დისკრიმინაციის ისეთ ქცევებზე მიუთითეს, რომლებიც ე.წ. „შავი მენტალიტეტის “არსებობას უკავშირდება “„სკოლაში ბულინგის მთავარი მიზეზი არის ქუჩური მენტალიტეტი, ძალიან გავრცელებულია სკოლაში მჩაგვრელობითი ბავშვები, შავი მენტალიტეტის მიმდევრები სხვებს იმის გამო აბულინგებენ, რატომ არ იცი ეს შავი მენტალიტეტი, ჟარგონები და მსგავსი". ახალგაზრდული სივრცისა და მის ბაზაზე არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები, ახალგაზრდებში დანაშაულისა და არასასურველი ქცევის პრევენციაც იქნება.

„ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის" ერთ-ერთი მთავარი მიგნება და გამოწვევა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელია. რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხული 200 რესპოდენტიდან "თავიანთი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბოლო 1-2 წლის გათვალისწინებით მონაწილეობა არ მიუღია გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (აჭარის რეგიონი - 93%, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 97%).
ახალგაზრდული სფეროს მკვლევარები და ახალგაზრდული მუშაობის პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს ერთის მხრივ: ახდენს პოზიტიურ ცვლილებას ახალგაზრდების ცხოვრებაზე, ახალგაზრდები იძენენ უნარებს და თავდაჯერებულობას, ახალგაზრდებს აძლევს სტიმულს აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე, ეხმარება ახალგაზრდებს გაიგონ, როგორ მუშაობს დემოკრატია პრაქტიკაში, ახალგაზრდებს აძლევს სივრცეს გამოიყენონ მათი ნიჭი და უნარები საზოგადოების სასარგებლოდ, ის ასევე ეხმარება უფროსებს გაიგონ ახალგაზრდების საჭიროებები და მათი შეხედულებები და ბიძგს აძლევს ახალი იდეების ჩამოყალიბებას საზოგადოების და ქვეყნის განვითარებისთვის.

საქართველოში ჩატარებული „ახალგაზრდული სფეროს კვლევის" (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი, 2011 წ) მიხედვით, კითხვაზე: „როგორი ფორმით სურთ ახალგაზრდებს იყვნენ ჩართულები ახალგაზრდულ სფეროში და ზოგადად საზოგადოებრივ საქმიანობაში?", „ახალგაზრდების ინიციატივა და მართვა ახალგაზრდების მიერ" 26,8%-ით შეფასდა, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფორმა, როდესაც ახალგაზრდები იჩენენ ინიციატივას და თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად მართავენ და ახორციელებენ პროექტებს.

„ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ ევროპული ქარტიის თანახმად, „ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებასა და ღონისძიებების განხორციელებაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია დემოკრატიული, ყოვლისმომცველი და წარმატებული საზოგადოების ასაშენებლად.
ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდობასთან ყველაზე მეტად დაახლოებულ ინსტიტუტებს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ახალგაზრდობის მონაწილეობის წასახალისებლად. მათ შეუძლიათ ახალგაზრდების არა მხოლოდ ინფორმირება დემოკრატიისა და მოქალაქეობის შესახებ, არამედ მათთვის ყოველივე ამის პრაქტიკულად წარმოჩენა. ახალგაზრდობის მონაწილეობა მხოლოდ აქტიური მოქალაქეობისა თუ დემოკრატიის ცნებების დამკვიდრებას არ გულისხმობს. ის რამდენადმე ღირებულია, თუ ახალგაზრდები გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებების მიღების პორცესზე ჯერ კიდევ თავიანთ ახალგაზრდობაში და არა მხოლოდ, ცხოვრების შემდგომ საფეხურზეც. მონაწილეობის გასაზრდელად, კი აუცილებელია მდგრადი მექანიზმების დანერგვა.

2000 წლის მარტში, ლისაბონში შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ აღიარა, რომ ევროპა დგას გლობალიზაციის გამოწვევისა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ზრდის წინაშე, ხაზი გაესვა იმას, რომ ყოველი მოქალაქე აღჭურვილი უნდა იყოს იმ უნარებით, რომლებიც აუცილებელია ამ ახალ ინფორმაციულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის და მუშაობისთვის და რომ ევროპულმა ჩარჩომ უნდა განსაზღვროს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის საჭირო ახალი საბაზისო უნარ-ჩვევები: საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, უცხო ენები, ტექნოლოგიური კულტურა, მეწარმეობა და სოციალური უნარები. საკვანძო კომპეტენციები კი ის კომპეტენციებია, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობას, აქტიურ მოქალაქეობას და დასაქმებას.
(საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის ევროპული ჩარჩო ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები, თბილისი 2006, "ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი").

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, დარგობრივი რეკომენდაციების, საქართველოს ახალგაზრდული პილიტიკის კონცეფციის, ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევების მტკიცებულებებისა და ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ), მე-2 სტრატეგიული მიმართულების საფუძველზე, მიზანშეწონილია, ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობისთვის, ფუნქციონირებდეს ახალგაზრდული სივრცე და ხორციელდებოდეს არაფორმალური განათლებისა და მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები. სწორედ, აღნიშნული მიზნით, განხორციელდება ქვეპროგრამა „ახალგაზრდული ცენტრი", რომელიც ერთის მხვრივ იქნება ახალგაზრდების შეკრებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად ხარჯვის, ხოლო მეორეს მხვრივ სივრცის ბაზაზე, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, გარდა ამისა, ქვეპორგრამის ფარგლებში, განხორციელდება მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა -
აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის" განხორციელებისთვის გამოყოფილი, ახალგაზრდული სივრცის სანიტარიულ- ჰიგიენური მოვლა-პატრონობა; ყოველთვიურად წარმოშობილი კომუნალური ხარჯის დაფარვა; ინტერნეტ მომსახურებით უზრუნველყოფა, ელექტრომექანიკოსისა და სანტექნიკოსის მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა თანმდევი მომსახურება.
„ახალგაზრდული ცენტრი“ იქნება ახალგაზრდული სივრცე, ახალგაზრდების შეკრების ადგილი, რომელიც მორგებული იქნება ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებაზე.

ქვეპროგრამის აღწერა	2. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა - ღონისძიების ფარგლებში, დაგეგმილია არაფორმალური განათლების პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია, ახალგაზრდებში პიროვნული, სოციალური და მოქალაქეობრივი განვითარების ხელშეწყობა და დანაშაულის, ძალადობისა და არასასურველი ქცევის პრევენცია, გამჭოლი კომპეტენციებისა და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების სწავლებისა და განვითარების გზით. აღნიშნული კომპეტენციებია: მოქალაქეობრივი კომპეტენცია, გარემოსდაცვითი კომპეტენცია, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია, ურთიერთობის კომპეტენცია, მეწარმეობის, მედიაწიგნიერების, კულტურათაშორიში კომპეტენცია, ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია, ინოვაციური აზროვნებისა და ტექნოლოგიური კომპეტენცია, პროფორიენტაციის, დასაქმებისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო კომპეტენცია. ,,არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ღონისძიება'' ეფუძნება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის №გ-15. 152311813 განკარგულებით დამტკიცებული ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტარტეგიის(2023-2026 წწ.)'' შემდეგ სტრატეგიული მიზანებს: სტრატეგიული მიზანი 2. ,,არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა'', ამოცანა 2.1; სტრატეგიული მიზანი 3. ,,ახალგაზრდების დასაქმების, კარიერული განვითარებისა და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის/სტარტაპის მიმართულებით კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა'', ამოცანები: 3.1; 3.2; 3.3. სტრატეგიული მიზანი 4: ,,ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა", ამოცანები: 4.1; 4.3; 4.4; 4.5 ღონისძიების ფარგლებში, განხორციელდება შემდეგი ქვეღონისძიებები:
	ფსიქოლოგიის კლუბი - კლუბის ფარგლებში, მოზარდებისა და ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემების, კონფლიქტების, პიროვნული და ემოციური განვითარების, თვითშეფასების ამაღლებისა თუ თვითრწმენის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, კვალიფიციური ფსიქოლოგები ჩაატარებენ საჯარო ლექციებსა და ჯგუფურ სესიებს. შედეგად, ხელშეწყობილი იქნება მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქო-ემოციური და პიროვნული განვითარება, შეხვედრების მონაწილე ახალგაზრდებს გაუმარტივდებათ თვითგამორკვევის პროცესი და შეიძენენ ისეთ კომპეტენციებს, რაც მათ დაეხმარებათ, გაუმკლავდნენ ფსიქო-ემოციურ გამოწვევებს, ადიქციურ ქცევებს და მათ შორის, მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე ფსიქოლოგებისგან. ქვეღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია მოწვეული სპეციალისტების მომსახურების. კვებისა და თანმდევი მომსახურების ხარჯები.
	ლიტერატურის კლუბი - კლუბში მოეწყობა მხატვრული ნაწარმოებების განხილვები. წაკითხული/განხილული წიგნებიდან შედგენილ ტესტებში ჩატარდება შემაჯამებელი ლიტერატურული ვიქტორინა. გამარჯვებულები წახალისდებიან სხვადასხვა პრიზებით, მათ შორის წიგნის მაღაზიის ვაუჩერებით. ქვეღონისძიების ხარჯებში გათვალისწინებულია მოწვეული პირების მომსახურების, წიგნის მაღაზიის ვაუჩერების, კლუბის წევრთა ხემსით გამასპინძლებისა და სხვა ხარჯები.
	კინოკლუბი - კინოკლუბში მოეწყობა ფილმების ჩვენებები და დისკუსიები. მოწვეული სპეციალისტები (მოდერატორები) ახალგაზრდებთან ერთად განიხილავენ ფილმის სიუჟეტს, მხატვრულ ღირებულებასა და ფილმში დასმულ პრობლემას. ფილმები შერჩეული იქნება, მოზარდებისა და ახალგაზრდების კულტურული, ემოციური, ღირებულებითი და სოციალური განვითარების საჭიროებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. ქვეღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია კინოჩვენების მოდერატორების მომსახურებისა და კლუბის წევრთა ხემსით გამასპინძლების ხარჯები, ასევე, ახალგაზრდებისთვის წახალისების მიზნით, შესყიდული იქნება კინოთეატრის ბილეთები (პოპკორნთან და გამაგრილებელ სასმელთან ერთად).
	დებატ კლუბი - ახალგაზრდებში კრიტიკული, ანალიტიკური, არგუმენტირებული აზროვნებისა და გუნდურობის, პრეზენტაციის, საჯარო გამოსვლისა და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, იფუნქციონირებს დებატკლუბი. კლუბში ჩატარდება დებატების შესახებ ტრენინგები და შემაჯამებელი დებატები გუნდებს შორის. კლუბს ეყოლება შესაბამისი გამოცდილების მქონე ტრენერი/ფასილიტატორი, რომელიც ერთის მხრივ ჩაატარებს ტრენინგებს, ხოლო მეორეს მხვრივ, წევრებს მისცემს დავალებებს და უზრუნველყოფს, შემაჯამებელი დებატების ორგანიზებას. ქვეღონისძიების ხარჯებში გათვალისწინებულია მოწვეული ტრენერის/ფასილიტატორის მომსახურების, კლუბის წევრთა ლანჩით გამასპინძლებისა და წამახალისებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები.
	ეკოკლუბი - მოზარდებსა და ახალგაზრდებში ეკოლოგიური კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ახალგაზრდულ ცენტრში იმოქმედებს ეკოლოგიის კლუბი. კლუბში ჩატარდება ტრენინგები და სხვადასხვა აქტივობები, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარება გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის შესახებ ცოდნის მიღებაში, გარემოსთან და ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში სწორი ქცევის ჩამოყალიბებაში. ქვეღონისძიების ფარგლებში, გათვლილია ტრენერების/მომხსენებლების მომსახურების, საკანცელარიო, პოლიგრაფიული და დასუფთავებისთვის საჭირო დამხმარე საქონლის, ტრანსპორტირებისა და კლუბის წევრთა ხემსით გამსაპინძლების ხარჯები.
	სამოქალაქო განათლების კლუბი - ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ახალგაზრდულ ცენტრში იფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება საგანმანათლებლო ღონისძიებები. კლუბის ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულია ტრენერთა მომსახურების, საკანცელარიო, კვებისა და სხვა თანმდევი ხარჯების უზრუნველყოფა.

ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის მიმართულებით საგანმანათლებლო ღონისძიებები - აღნიშნული მიმართულებით, ახალგაზრდებთან მუშაობის საჭიროებას, ამტკიცებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნები და მომავლის პროფესიებთან დაკავშირებული პროგნოზები, რაც უმეტესწილად ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული. თუმცა, ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების ცოდნა, უნარი და დამოკიდებულებები, მათი ინფორმირებულობა ტექნოლოგიური კომპეტენციების საჭიროებასთან დაკავშირებით, არ შეესაბამება და არ პასუხობს დროის მოთხოვნებს და ტენდენციებს, კერძოდ, ქ. ბათუმში 2022 წელს ჩატარებული „ნარატივების კვლევის'' თანახმად, ინფორმაციული ტექნოლოგიებით დაინტერესებული ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებლები ძალიან დაბალია (14-18 წლის ასაკში - 16 %, ხოლო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში 5 ან 7 %-ია), თუმცა, მეორეს მხვრივ, იდეალური სამსახური მომავალში, კვლევის მონაწილე ყველაზე მეტი ახალგაზრდისთვის (17%), უკავშირდება ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს, ამას გარდა, ახალგაზრდების 43% -ს სურს დამატებითი ინფორმაციის მიღება, როგორც მეწარმეობის, ასევე, სტარტაპის შესახებ. (ნარატივების კვლევის ანგარიში, კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, ქ. ბათუმი, 2023 წ.). რაც იმის მანიშნებელია, რომ ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის შესახებ ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებულობა აუცილებელია და ასევე, ამ მხვრივ საგანმანათლებლო პროგრამებით ხელშეწყობაც, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ დაბალია მათი ცოდნა ამ სფეროში, მათთვის მომავალში იდეალური სამსახური აღნიშნულ სფეროებს უკავშირდება. შესაბამისად, მათ ამ კუთხით საგანმანათლებლო ხელშეწყობა და მხარდაჭერა ესაჭიროებათ. აღნიშნული სიტუაციური ანალიზის გათვალისწინებით, ქვეღონისძიების ფარგლებში, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის/სტარტაპის საკითხებზე ჩატარდება საგანმანათლებლო ღონისძიებები: მეწარმეობისა და სტარტაპის რაობის შესახებ, მათ შორის ახალგაზრდები გაეცნობიან მსოფლიო ტენდენციებს მეწარმეობის/სტრატაპის სფეროში, წარმატებულ მაგალითებს... ტექნოლოგიების მიმართულებით კი, ჩატარდება საგანმანათლებლო ღონისძიებები შემდეგ თემებზე: ინფორმაციული ტექნოლოგიების ერა, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება, თანამედროვე ტექნოლოგიების უახლესი მიღწევები, მომავლის პროფესიები, ციფრული ტრანსფორმაცია და მოეწყობა სხვა აქტივობები. რაც ხელს შეუწყობს ქ. ბათუმში მცხოვრებ ახალგაზრდებში ტენქოლოგიებისა და მეწარმეობის/სტარტაპის კუთხით ინტერესის გაღვივებას და არაფორმალური განათლების მიღებას.
მედია წიგნიერების კურსი - თანამედროვე მოზარდები და ახალგაზრდები ინფორმაციას დიდი მოცულობით და ინტენსიურად იღებენ, რაც აყალიბებს მათ რწმენას, მოსაზრებებს, ცოდნას და განსაზღვრავს მათ ქცევებს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, მოზარდებსა და ახალგაზრდებს შეეძლოთ მიღებული ინფორმაციის შეფასება, კრიტიკული გააზრება და ჭარბი ინფორმაციის გაფილტვრა. კურსის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის ჩატარდება ინტენსიური ტრენინგ კურსი მედიწიგნიერებაში, რომლის გავლის შემდეგ, ახალგაზრდები კრიტიკულად მიუდგებიან ინფორმაციას, ექნებათ ცოდნა ინფორმაციის გადამომწმების ინსტრუმენტებზე, შეიძენენ დეზინფორმაციის, მალინფორმაციის, ყალბი ინფორმაციის, ფოტომანიპულაციის... ამოცნობის უნარებს, გათავისებული და გააზრებული ექნებათ ინფორმაციის პირველ წყაროს დადგენის საჭიროება. ტრენინგებს ჩაატარებენ კვალიფიციური ტრენერები. ახალგაზრდებს განუვითარდებათ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები. ქვეღონისძიების ფინანსური ხარჯი შეადგენს ტრენერთა მომსახურების, მონაწილეთა კვებისა და სხვა თანმდევ ხარჯებს.
კულტურული მრავალფეროვნების სეზონური სკოლა - გლობალიზაციის პირობებში მცხოვრებ ახალგაზრდებს მნიშვნელოვანია გააჩნდეთ სხვადასხვა კულტურებთან თანაცხოვრებისთვის აუცილებელი კულტურათაშორისი ურთიერთობების კომპეტენციები (ცოდნა, უნარი, დამოკიდებულება), რათა იცხოვრონ მშვიდობიან გარემოში და გამოიჩინონ ტოლერანტობა სხვა რელიგიის, ენის, ეთნოსის, ეროვნებისა და შესაბამისად ამ ნიშნით უმცირესობების მიმართ. ამდენად, ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების კულტურათაშორისი კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება პროექტი „კულტურული მრავალფეროვნების სეზონური სკოლა", ქვეღონისძიების ფარგლებში გათვლილია, სპეციალიალისტების მომსახურებასთან, მონაწილეთა კვებასთან და სხვა აქტივობებთან დაკავშირებული ხარჯები.
ჯანსაღი ცხოვრების წესის კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა - ჯანსაღი ცხოვრების წესის კომპეტენცია, ახალგაზრდული საქმიანობის კომპეტენციათა ჩარჩოს ერთ-ერთ კომპეტენციას წარმოადგენს, ამასთან, ადგილობრივ დონეზე ჩატარებული კვლევებითაც ვლინდება ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების დაბალი მაჩვენებელი ახალგაზრდებში, გამოკვეთილი საჭიროების გათვალისწინების, ქვეღონისძიების ფარგლებში ჩატარდება ტრენინგები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ისეთი თემების ირგვლივ, როგორიცაა კვება, ძილი, ფიზიკური აქტივობა, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება და მენტალური ჯანმრთელობა. ქვეღონისძიების ფინანსური ხარჯი შეადგენს მომხსენებელთა მომსახურების, მონაწილეთა კვებისა და სხვა თანმდევ ხარჯებს.
პროფორიენტაციის ხელშეწყობა - 16-18 წლის ახალგაზრდები, უფროსკლასელები, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული სრთულეების წინაშე დგანან, აღნიშნულს ადასტურებს, ადგილობრივ დონეზე ჩატარებული ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ კვლევებიც, რომლის შედეგებშიც ახალგაზრდები ხაზგასმით საუბრობენ პროფორიენტაციის პროგრამების საჭიროებაზე, პროფესიათა შესახებ არასაკმარის ინფორმაციაზე, ამ მხვრივ კონსულტირებისა და მხარდაჭერის არარსებობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევით გამოკვეთილი გამოწვევის საპასუხოდ, ქვეღონისძიების ფარგლებში, ახალგაზრდებისთვის პროფორიენტაციაში დახმარების გაწევის მიზნით, ჩატარდება პროფორიენტაციის საგანმანათლებლო ღონისძიებები.
დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა - „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის” მიგნებებში, ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა დასაქმებაა, რაშიც ხელშეწყობა სახელდება ყველაზე მნიშვნელოვნად ბათუმის მუნიციპალიტეტში (50%); შესაბამისად, აღნიშნული ქვეღონისძიების ფარგლებში, ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ განვითარონ დასაქმებისთვის საჭირო უნარები, გარდა ამისა, კარიერული განვითარებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ განივითარონ კარიერული განვითარებისთვის საჭირო რბილი უნარები.
ახალგაზრდებთან ურთიერთობის კოორდინატორი (ახალგაზრდული მუშაკები) - დაგეგმილი ღონისძიებების კოორდინირების, ორგანიზებისა და ახალგაზრდებთან ურთიერთობის მიზნით, აყვანილი იქნება ორი პირი, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდების ინფორმირებულობას, დაინტერესებას და ჩართვას ახალგაზრდული ცენტრის სხვადასხვა ღონისძიებებში. ახალგაზრდებთან ურთიერთობის კოორდინატორების (ახალგაზრდული მუშაკების) საქმიანობა იქნება ანაზღაურებადი (ფუნქციები დეტალურად და კონკრეტულად იქნება გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციაში).

	3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაცია და საინფორმაციო აქტივობები - ღონისძიება შედგება 5 ქვეღონისძიებისაგან. მათ შორის: 3.1. საინფორმაციო - საგანმანათლებლო შეხვედრები - საზოგადოება ჯერ კიდევ სამედიცინო მოდელით უყურებს შეზღუდულ შესაძლებლობებს, ასეთი მიდგომები და სტერეოტიპები კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს ართმევს დამოუკიდებლობის განცდასა და მომავალში დასაქმების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ინფორმირების პროცესი გაგრძელდეს და მათი თვითშეგნება ამაღლდეს ისე, რომ სამედიცინო მოდელთან ერთად ყურადღება გამახვილდეს სოციალურ მოდელზე. ამ მიმართულებით ცნობადობის ამაღლების მიზნით, ჩატარდება საინფორმაციო- საგანმანათლებლო შეხვედრები, შემდეგ თარიღებთან დაკავშირებით: 21 მარტი - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე; 2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე; 3 დეკემბერი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე. 3.2. ხელსაქმის (კრაფტ) ინკლუზიური კლუბი - კლუბში ხელნაკეთობების დამზადებით დაინტერესებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არ მქონე ახალგაზრდები, სპეციალისტის დახმარებით, კრეატიულ ხელნაკეთობებს შექმნიან. რისთვისაც კლუბი მომარაგებული იქნება საჭირო რესურსებითა და მასალებით. 3.3. ხატვის ინკლუზიური კლუბი - კლუბში ხატვით დაინტერესებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არ მქონე ახალგაზრდებისათვის ჩატარდება ხატვის გაკვეთილები. რისთვისაც კლუბი მომარაგებული იქნება საჭირო რესურსებითა და მასალებით.
	4. ბავშვთა სივრცე - 2020 წლის დეკემბერში ბათუმი შეუერთდა 40-ზე მეტი ქვეყნის 3000 ქალაქს და ადგილობრივ თვითმმართველობას - ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივას, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. 2023 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა ბათუმს ბავშვზე მორგებული ქალაქის კანდიდატობის სტატუსი მიანიჭა. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ახალგაზრუდლ ცენტრში 10-13 წლის ბავშვთა შეკრებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბავშვთა სივრცე მოეწყო. 10 - 13 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, განსაკუთრებით იზრდება თანატოლთა ჯგუფების მნიშვნელობა. ფიზიკური, ემოციური და სოციალური ცვლილებებით გამოწვეულ პრობლემებთან გასამკლავებლად მათ თანაგრძნობა და მხარდაჭერა ესაჭიროებათ. ამას კი, ბუნებრივია, იმათთან ეძებენ, ვისაც მსგავსი განცდები და პრობლემები აქვთ, ანუ თანატოლებთან. თანატოლთა წრე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოზარდის სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამ წრეში არსებული თანასწორუფლებიანი ურთიერთობები ხელს უწყობს სოციალური კომპეტენციის ჩამოყალიბებას. ამდენად, ბავშვთა სივრცე, შეავსებს დაინტერესებული ბავშვებისთვის აღნიშნულ საჭიროებას და მეორეს მხვრივ, ბავშვებისთვის სივრცეში, განხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობები, ამისთვის ბავშვთა სივრცეში იმოქმედებს იფუნქციონირებს:
	ბავშვთა კლუბი - კლუბში ბავშვები დაკავდებიან ხატვით, კითხვითა და სამაგიდე თამაშებით. ამასთან, უყურებენ და განიხილავენ ფილმებს. ჩატარდება მცირე საგანმანათლებლო აქტივობები თვითშეფასების, პასუხისმგებლობის, ემპათიის, კომუნიკაციის, ადაპტაციისა და თავდაჯერებულობის უნარების გამომუშავებისთვის.
	5. შემეცნებითი ტურები - ახალგაზრდებისთვის მოეწყობა შემეცნებით-საგანმანათლებლო ტურები. ტურებში მონაწილეობას მიიღებენ ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრები 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. გარდა მონაწილე ახალგაზრდებისა და პასუხისმგებელი პირ(ებ)ისა თითოეულ ჯგუფში მოიაზრება ისტორიკოსი ან გიდი. შემეცნებით-საგანმანათლებლო ტურების არეალია საქართველოს რეგიონები. ტურების ორგანიზება განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით.
	6. მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები - მონაწილეობა მიიღწევა შემდეგი ინსტრუმენტებით: მონაწილეობის შესახებ სასწვალო კურსებით, ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერით, ახალგაზრდული ფორუმებით, ახალგაზრდული საბჭოებით, მოხალისეობით, ახალგაზრდების ინფორმირებით - არსებული შესაძლებლობებისა და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.
	აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარდება შემდეგი ქვეღონისძიებები: 6.1. ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა - „ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერის" ღონისძიების ფარგლებში, დაფინანსდება ახალგაზრდების საინიციატივო პროექტები, რომელიც კონკურსის წესით შეირჩევა და ღონისძიებაში პროექტის წარმოდგენის უფლება ექნებათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 14-დან 29 წლის ახალგაზრდებს, კონკურსში მონაწილეობის პრიობები განისაზღვრება მერის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.
	6.2. მოხალისეთა კლუბი - ახალაგაზრდებში მონაწილეობის კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, იფუნქციონირებს მოხალისეთა კლუბი. მათთან ერთად შემუშავდება მათი ფუნქციები და სამოქმედო გეგმა. მოხალისეები ჩართულები იქნებიან ახალგაზრდული ცენტრში დაგეგმილ ღონისძიებებში.
	7. წამახალისებელი ღონისძიებები, წლის შემაჯამებელი, საანგარიშო ღონისძიება - აქტიური ახალგაზრდების მოტივაციის შენარჩუნების, სტიმულირების, სხვა ახალგაზრდების დაინტერესებისა და პროგრამებში ჩართულობის გაზრდის მიზნით, ახალგაზრდულ პროგრამებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდები წლის მანძილზე პერიოდულად წახალისდებიან საჩუქრებითა და სიგელებით, გასართობი, კულტურული და სპორტული და სხვა დაწესებულებების ვაუჩერებით. ღონისძიების ფარგლებში წლის მანძილზე ჩატარებული აქტივობების შეჯამების მიზნით, გათალისწინებულია წლის შემაჯამებელი, საანგარიშო შეხვედრის მოეწყობა.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული სივრცის ფუნქციონირება; შექმნილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები; მხარდაჭერილია ახალგაზრდების ინიციატივების განხორციელება; ხელშეწყობილია ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამის ღონისძიებებისა და ქვეღონისძიებების ფარგლებში ჩატარებული აქტივობების საერთო რაოდენობა	125	125	10% - ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება;
2	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში ახალგაზრდების დასწრების საერთო მაჩვენებელი	3400	2340	10% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი;
3	ღონისძიებებით მოსარგებლე ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილია ჩატარებული ღონისძიებებთ	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი	10% - ღონისძიებების არასათანადო კავშირი ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებთან;
4	ჩატარებული ღონისძიებების ხარისხი მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობის მიერ ფასდება დადებითად	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი

№	ღონისძიების დასახელება		პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
			განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა		შენობა-ნაგებობა	1	30,000	30,000	30,000	
2	არაფორმალური განათლების ხელშეწყობა		ღონისძიება	1	100,000	100,000	100,000	
3	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და საინფორმაციო აქტივობები		ღონისძიება	1	18,000	18,000	18,000	
4	ბავშვთა სივრცე		კლუბი	1	8,000	8,000	8,000	
5	შემეცნებითი ტურები		ტური	10	2,000	20,000	20,000	
6	მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები	ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა	პროექტი	10	4,000	40,000	40,000	
		მოხალისეთა კლუბი	კლუბი	1	4,000	4,000	4,000	
7	წამახალისებელი ღონისძიებები, წლის შემაჯამებელი, საანგარიშო ღონისძიება		ღონისძიება	1	10,000	10,000	10,000	
სულ ქვეპროგრამა						**230,000**	**230,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 06 02	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			19,200	26,400	28,700	31,500

ქვეპროგრამის მიზანი	ახალგაზრდების ინტელექტუალურ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა. რაც ქმნის იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების პიროვნული, სოციალური, ინტელექტუალური და ღირებულებითი განვითარება, მხარდაჭერილი იქნას ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლენა და პოტენციალის რეალიზება და ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თანამედროვე სამყაროში, გლობალიზაციის პირობებში, ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო, ტექნოლოგიების განვითარება და კონკურენცია, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები და მათი აღჭურვა თანამედროვეობისა და მომავლისთვის საჭირო გამჭოლი კომპეტენციებით. 16 – 17 წლიდან განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება ლოგიკური აზროვნების უნარი, რასაც ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ზემოთ მიმოხილული ასაკობრივი განვითარების მახასიათებლები, ცხადყოფს რომ განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში უნდა არსებობდეს ინტელექტუალური და შემოქმედებითი განვითარების ხელშემწყობი პროგრამები და მასტიმულირებელი სივრცეები, რაც მათ დაეხმარებათ აზროვნების განვითარებაში, ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის გ-15. 152311813 განკარგულებით დამტკიცებული „ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2024-2027 წწ)“ მე-2 სტრატეგიული მიზანია „არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ამოცანებს შორისაა: ამოცანა 2.4 ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის, შესაძლებლობების გამოვლენა და რეალიზების ხელშეწყობა; ამოცანა 2.5 ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა; აღნიშნულის თანახმად, განხორციელდება შემდეგი ღონისძიება: **ინტელექტუალური - თამაში „რა? სად? როდის?" -** ღონისძიება ითვალისწინებს ქალაქის მასშტაბით მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. თამაშები განხორციელდება სამ ეტაპად: ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები; ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები; გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები; თამაშები ჩატარდება „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy-ის ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფისა“ და „ბრეინ-რინგი"-ს სისტემით. თითოეულ ეტაპზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდებიან წიგნებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალურ პროექტებში მონაწილეობა

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	

1	მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილი ინტელექტუალურ - შემეცნებითი პროექტების რაოდენობა	2	1	10% - ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება;
2	ინტელექტუალურ - შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	600	400	5% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი
3	ღონისძიებებით მოსარგებლე ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილია ჩატარებული ღონისძიებებთ	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი	10% - ღონისძიებების არასათანადო კავშირი ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებთან.
4	ჩატარებული ღონისძიებების ხარისხი მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობის მიერ ფასდება დადებითად	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი	10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი.

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის? “	ღონისძიება	1	19,200	19,200	19,200	0
სულ ქვეპროგრამა					**19,200**	**19,200**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	
2	

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პრიორიტეტის დასახელება	პრიორიტეტის დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		**30,165,632**	**30,537,200**	**31,401,925**	**32,350,381**

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	10,377,300	9,873,300	9,873,300	9,873,300
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	18,633,532	19,506,900	20,371,625	21,320,081
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	1,154,800	1,157,000	1,157,000	1,157,000

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			10,377,300	9,873,300	9,873,300	9,873,300

პროგრამის მიზანი	მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ავადობის პრევენცია და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	
	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისობა პროგრამასთან	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
პროგრამის აღწერა	მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქ. ბათუმის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც გულისხმობს მკურნალობასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ასევე წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, პიროვნების შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის მიღწევა ნაწილობრივ შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამების მეშვეობით.	
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია დაავადებათა ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა	

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება პროგრამით გათვალისწინებული შეღავათები	16,215	17,816	18,000	18,000	18,000	5% - მომართვიანობის ცვლილება
2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც დაავადებათა ადრეული გამოვლენის და პრევენციის მიზნით ჩაუტარდათ დიაგნოსტიკა და სკრინინგი	3,090	2,790	3,540	3,540	3,540	5% - მომართვიანობის ცვლილება

3	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ბენეფიციართა ჩართულობის %-ღი მაჩვენებელი	85%	85%	85%	85%	85%	5% - მომართვიანობის ცვლილება

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 01	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		2,053,000	2,038,000	2,038,000	2,038,000

ქვეპროგრამის მიზანი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისა და ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებითა და ჯანმრთელობისთვის საჭირო საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.
ქვეპროგრამის აღწერა	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს მედიკამენტების მიღება, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და რისი შეძენაც მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას არ შეუძლია. ამ მიზნით შემუშავებული იქნა ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, თუმცა ზოგიერთი ქრონიკული დაავადების (ბრონქული ასთმა, ქოდი) შემთხვევაში მოქალაქეები დამატებით ითხოვენ მედიკამენტებს. აქედან გამომდინარე, მათი დახმარების მიზნით, ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა ზემოაღნიშნული ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი სერვისები: 1) მედიკამენტები მიეწოდება ბრონქული ასთმის და ქოდის მქონე 19 წლამდე ასაკის პირებს, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს. 2) ერთ ოჯახში მცხოვრებ სამ და მეტ შშმ პირზე დახმარება (თითოეულზე) მედიკამენტების შეძენისათვის; 3) მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციართა დახმარება მედიკამენტების შეძენის მიზნით; 4) 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება; 5) 18 წლამდე ასაკის ჰომოცისტეინურიით, ცელიაკიით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება; 6) 18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება; 7) დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ სოციალურად დაუცველ 100000-მდე ქულის მქონე პირთა, შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის, გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	10,212	10,726	2% - მომართვიანობის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ბრონქული ასთმით და ქოდის მქონე დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	300	160	48,000	48,000	
2	სამი და მეტი შშმ პირთა (ოჯახში) დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის	ბენეფიციარი	60	200	12,000	12,000	
3	დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის	ბენეფიციარი	7,500	200	1,500,000	1,500,000	

4	18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	19	3,000	57,000	57,000	
5	18 წლამდე ასაკის ჰომოცისტეინურიით, ცელიაკიით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	32	3,000	96,000	96,000	
6	18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	15	4,000	60,000	60,000	
7	დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ სოციალურად დაუცველ 100000-მდე ქულის მქონე პირთა, შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით	ბენეფიციარი	2,800	100	280,000	280,000	
სულ ქვეპროგრამა			**10,726**		**2,053,000**	**2,053,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	პროგრამის ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ პირებს: ● ბრონქული ასთმით და ქოდით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პირები სტატუსის გარეშე ჩაერთვებიან ბრონქული ასთმითა და ქოდით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის ღონისძიებაში, ხოლო 18 წლის ზემოთ ამ ღონისძიებით ისარგებლებენ შშმ პირები, ასაკით პენსიონერები და სოციალურად დაუცველ პირები (100 000 ქულამდე); ● სამი და მეტი შშმ პირის მედიკამენტის შეძენისათვის დახმარება გაეწევა (ვაუჩერის სახით) იმ ოჯახებს, რომელთაც ოჯახში ჰყავთ სამი და მეტი შშმ სტატუსის მქონე პირი (დახმარება გაიცემა თითოეულ შშმ სტატუსის მქონე პირზე); ● დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ სოციალურად დაუცველ 100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შესაძენად - შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს წელიწადში ერთხელ მიეცემათ 100 ლარის ღირებულების ვაუჩერი. **ვაუჩერის მისაღებად ბენეფიციარებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:** 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა; **ვაუჩერის გაცემის-გამოყენების წესი განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.**
2	დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის - ღონისძიების ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; მ.შ.მ. პირებს, ომის ვეტერანებს; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს, ძალადობის მსხვერპლ პირებს, სავარაუდო ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს 18 წლის ჩათვლით (სოციალური მუშაკის რეკომენდაციით), მარტოხელა მშობლებს და მათ შვილებს. ასევე მარტოხელა ასაკით პენსიონერებს, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება ადმინისტრაციული სერვის-ცენტრების მენეჯერების მიერ. ჩამოთვლილ ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა არაუმეტეს 200 ლარისა წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ ვეტერანი, შშმ პირი / ვეტერანი ერთდროულად, მათ მიეცემათ შესაბამისი რაოდენობის 200 ლარის ღირებულების ვაუჩერი თითოეულს. ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების ან სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა; 5. ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან თანხისა და მედიკამენტების რაოდენობის მითითებით; 6. ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული მოკვლევა (საჭიროების შემთხვევაში); 7. თანხის გადარიცხვა განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურაზე მითითებული აფთიაქის საბანკო ანგარიშზე.

3	18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება, 18 წლამდე ასაკის ჰომოცისტეინურიით, ცელიაკიით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება, 18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება - აღნიშნულ ღონისძიებებში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების ან სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა; 5. საბანკო რეკვიზიტები.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 02	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		113,600	133,600	133,600	133,600

ქვეპროგრამის მიზანი	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით დიაგნოსტიკის ჩატარება
ქვეპროგრამის აღწერა	გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოში და შესაბამისად ქვეყანაში მკვეთრად მოიმატა ონკო-პაციენტთა რაოდენობამ, ონკოლოგიური დაავადებების საწყის, ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მიზნით, როცა განკურნების შანსი 75%-მდე აღწევს, მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა აღნიშნული ქვეპროგრამა შემდეგი ღონისძიებებით: ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 30-დან 40 წლამდე ასაკის ქალებში მამოგრაფიული გამოკვლევა, ასევე მკერდის, პროსტატის, საშვილოსნოს, საკვერცხეების, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულ პირთა გამოკვლევა ონკომარკერებით; 25-დან 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია. 50-დან 65 წლამდე ასაკის ქალებისა და მამაკაცებისათვის ფილტვის კიბოს სქრინინგი (გამოკითხვა, ექიმის კონსულტაცია და kT კვლევა).
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით განხორციელებულია დიაგნოსტიკა

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	დიაგნოსტირებულ ბენეფიციართა რაოდენობა	2,640	2,340	5% - მომართვიანობის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია	ბენეფიციარი	100	20	2,000	2,000	
2	25-დან 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია	ბენეფიციარი	40	40	1,600	1,600	
3	ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიების ონკო-მარკერებით კვლევა	ონკომარკერი	3,500	20	70,000	70,000	
4	ფილტვის კიბოს სქრინინგი	ბენეფიციარი	1,000	40	40,000	40,000	
სულ ქვეპროგრამა					**113,600**	**113,600**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მომსახურებით ისარგებლებენ ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული შესაბამისი ასაკის ბენეფიციარები ტენდერით გამარჯვებულ სამედიცინო ორგანიზაციაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 03	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			243,000	194,400	194,400	194,400

ქვეპროგრამის მიზანი	ქ. ბათუმში მცხოვრებ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება
ქვეპროგრამის აღწერა	რეაბილიტაციის პროცესის ეს ნაწილი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციას ან რეინტეგრაციას საზოგადოებასთან, რითიც ეხმარება მათ მოერგოს ოჯახისა და საზოგადოების მოთხოვნებს. აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლებენ: ქ. ბათუმში რეგისტრირებული შშმ სტატუსის მქონე 18 წელს გადაცილებული ფსიქიური პრობლემების მქონე პირები. თითოეული ბენეფიციარისთვის ხდება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შედგენა. კერძოდ: უტარდებათ ერგოთერაპია, არტთერაპია, ოკუპაციური თერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება, ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდება საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარებულია სარეაბილიტაციო ღონისძიებები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	40	45	5% - მომართვიანობის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	ბენეფიციარი	45	5,400	243,000	243,000	
სულ ქვეპროგრამა					**243,000**	**243,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქვეპროგრამის ბენეფიციარებზე გაიცემა ყოველთვიური ვაუჩერი. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ პირებს. ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა. 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა; პირისპირ მეცადინეობის ჩატარების შემთხვევაში ერთეულის ფასი შეადგენს 24 ლარს ერთი დღე, ხოლო დისტანციური მეცადინეობის შემთხვევაში 14,40 ლარს; ვაუჩერის გაცემის-გამოყენების წესი განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 04	მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		279,500	279,500	279,500	279,500

ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველი პირებისათვის და ომის ვეტერანებისათვის (ომში და ომის შემდგომ შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები) სტომატოლოგიური მომსახურეობის გაწევა
ქვეპროგრამის აღწერა	გამომდინარე იქედან, რომ სტომატოლოგიური მომსახურება ძვირადღირებულ სერვისს წარმოადგენს და ამასთანავე არ ფინანსდება საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული იქნა მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით ისარგებლებენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების ბენეფიციარები და ომის ვეტერანები (ომში და ომის შემდგომ შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები).
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	1,300	1,300	5% - მომართვიანობის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	სტომატოლოგიურ და ორთოპედიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	ბენეფიციარი	1,300	215	279,500	279,500	
სულ ქვეპროგრამა					**279,500**	**279,500**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ომში და ომის შემდგომ შეძენილი შშმ სტატუსის მქონე ომის ვეტერანები ვეტერანთა საქმის დეპარტამენტის ბაზაში აღრიცხვაზე უნდა იყვნენ 2025 წლის 1 იანვრამდე.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა				
06 01 05	ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორიის პირებისათვის კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარება	ჯანმრთელობის დაცვა				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			1,230,000	1,110,000	1,110,000	1,110,000
ქვეპროგრამის მიზანი	კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარება					
ქვეპროგრამის აღწერა	შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) პირებისათვის მათი დაავადებიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარება, რომელიც ეხმარება მათ დაავადების დაძლევასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორიის პირებისათვის კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარების ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის მქონე 35 წლის ჩათვლით ასაკის პირების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების და მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების დასვენებას 12 დღის (11 ღამე) მანძილზე.					
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიის 12 დღიანი კურსი					

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	1,853	2,050	5% - მომართვიანობის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის მქონე 35 წლის ჩათვლით ასაკის პირების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების და მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების კლიმატოთერაპიის კურსი	ბენეფიციარი	2,050	600	1,230,000	1,230,000	
2	შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანების, შშმ სტატუსის მქონე 35 წლის ჩათვლით ასაკის პირების და მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების თანმხლები პირებისა მომსახურეობა						
სულ ქვეპროგრამა					**1,230,000**	**1,230,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია

1	ბენეფიციარს წლის განმავლობაში შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთი საკურორტო მომსახურებით. ღონისძიებებს შორის გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს ფაქტიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე. პროგრამის მომსახურეობით შეიძლება ისარგებლონ მხოლოდ ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულმა შ.შ. მ. პირებმა 35 წლის ჩათვლით, ომის ვეტერანმა (ომში და ომის შემდგომ შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები და ასაკით პენსიონერი ომის ვეტერანები) ომში დაღუპულთა და სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) მრავალშვილიანი (5 და მეტი) ოჯახის წევრებმა, ასევე მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარებმა. ომში და ომის შემდგომ შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ომის ვეტერანი (ასაკით პენსიონერები) უნდა იყვნენ 2025 წლის 1 იანვრამდე აღრიცხვაზე ვეტერანთა საქმის დეპარტამენტის ბაზაში. ვაუჩერის გაცემის-გამოყენების წესი განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 06	ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			4,686,000	4,444,000	4,444,000	4,444,000

ქვეპროგრამის მიზანი	ახალშობილებში აუდიოლოგიური პათოლოგიის ადრეული აღმოჩენა; ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება; ტრენინგების მეშვეობით მშობელთა ცნობიერების ამაღლება.
ქვეპროგრამის აღწერა	ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია დაავადებათა ადრეულ ასაკში აღმოჩენა (სქრინინგი თანდაყოლილი პათოლოგიების შემთხვევაში), ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების გამოვლენა, პროგრამაში ჩართვა და სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება, ბავშვების განვითარების სტიმულირება. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: **1.** ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს ჩაუტარდებათ სმენის მეორადი სქრინგული გამოკვლევა; **2.** ქ. ბათუმში რეგისტრირებული 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაცია მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სპეციალისტის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ; **3.** ქ. ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევების მქონე 2-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ფსიქოლოგის და ლოგოპედის მომსახურება. **4.** აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით პირებისათვის გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა (საშუალოდ 20 გაკვეთილი თვის განმავლობაში); **5.** ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი (15 სამკურნალო მასაჟი, 15 ფიზიოპროცედურა, კალციუმის შემცველი მედიკამენტები).
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	1) ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სქრინინგი; 2) განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; 3) ორთოპედიული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია ამბულატორიული მკურნალობის ერთი კურსი.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ სმენის სქრინინგული გამოკვლევა	450	450	5% - ინფორმირებულობის დაბალი დონე, მომართვიანობის ცვლილება (+/-)
2	ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა	350	350	5% - ინფორმირებულობის დაბალი დონე, მომართვიანობის ცვლილება (+/-)
3	ქვეპროგრამაში ჩართული სმენის დარღვევების მქონე ბენეფიციართა რაოდენობა	15	15	5% - ინფორმირებულობის დაბალი დონე, მომართვიანობის ცვლილება (+/-)
4	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა ცენტრში ვიზიტების რაოდენობა	130,000	176,000	5% - ინფორმირებულობის დაბალი დონე, მომართვიანობის ცვლილება (+/-)
5	ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის ჩატარებული რეაბილიტაციის რაოდენობა	46,000	47,000	2% - ინფორმირებულობის დაბალი დონე, მომართვიანობის ცვლილება (+/-)

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა	ბენეფიციარი	450	100	45,000	45,000	
2	ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	ბენეფიციარი	15	2,300	34,500	34,500	
3	ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება.	ვიზიტი	47,000	22	1,034,000	1,034,000	
4	ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა	ბენეფიციარი	350	150	52,500	52,500	
5	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	გაკვეთილი	176,000	20	3,520,000	3,520,000	
სულ ქვეპროგრამა					**4,686,000**	**4,686,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	**ქვეპროგრამით ისარგებლებენ:** 1) 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული პირები (გარდა პირველი, მესამე და მეოთხე ღონისძიებისა, ვინაიდან ისინი შეიძლება რეგისტრირებული იყვნენ 2024 წლის თებერვალ-დეკემბერში); 2) ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტირებულ 2-და 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვები; 3) ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტირებულ 7 წლამდე ასაკის შემდეგი პათოლოგიის მქონე ბავშვები: დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და სხვა. აღნიშნული მომსახურეობა გაეწევათ იმ ბავშვებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით. ყოველთვიურად, სპეციალისტთა გუნდის ერთი ან რამდენიმე პროფესიონალის (ადრეული განვითარების სპეციალისტი,ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მომსახურების გაწევის მიზანია ბავშვის განვითარების სფეროების (ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური, ემოციური, კომუნიკაცია, ადაპტური ქცევა) სტიმულირება, მშობელთა ცნობიერების და ინფორმირებულობის გაზრდა, მხარდაჭერა, ბავშვის განვითარების პროცესში ჩართვა/განათლება. საჭირო პროფესიონალების ჩართულობა და ჯერადობა განისაზღვრება შეფასებიდან გამომდინარე და ასახულია ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ გეგმაში. 5 წლის შესრულების თვის ჩათვლით მომსახურებაში ჩართული ყველა ბენეფიციარისათვის, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს 8-ს. 5-დან 7 წლის შესრულების თვის ჩათვლით ბენეფიციარებისთვის მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) ერთი წლის (თორმეტი თვის) განმავლობაში, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს ასევე 8-ს, მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) მეორე წლის (შემდეგი თორმეტი თვის) განმავლობაში - 6-ს. ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები ვრცელდება ამ პროგრამის ამოქმედებამდე, მ.შ. წინა წლებში მომსახურებაში ჩართულ ბენეფიციარებზეც; R62.0 (განვითარების ეტაპების დაყოვნება) დიაგნოზის შემთხვევაში სრულად დაფინანსდებიან: 1. შშმ სტატუსი მქონე ბავშვები; 2. რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები; 3. მინდობით აღზრდაში ან სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი ბავშვები, თუკი ამ დაწესებულების მიერ არ ხდება ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება; 4. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილები; 5. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შვილები; 6. შშმ სტატუსის მქონე პირის შვილები; 7. ბავშვები, რომელთა ოჯახები დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით; 8. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება, ქვეპროგრამის ფარგლებში; 9. მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები (ოთხი და/ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვი), ხოლო სხვა კატეგორიის ბენეფიციარები ისარგებლებენ 50 პროცენტიანი თანაგახდის სერვისით.
2	„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია" ღონისძიების მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0-F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში. ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება და აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია დაფინანსდება ვაუჩერული პრინციპით. ვაუჩერის გაცემის-გამოყენების წესი განისაზღვრება ქ. ბათუმის მერის ბრძანებით.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 07	ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			201,600	201,600	201,600	201,600

ქვეპროგრამის მიზანი	ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფინანსური ხელშეწყობა ჰემოდიალიზის ცენტრის თირკმლის პათოლოგიის მქონე შ.შ. მ პირებზე ტრანსპორტირებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ მინიმუმ 12 პროცედურა თვის განმავლობაში, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებზე, რომლებსაც ყოველთვიურად ესაჭიროებათ მედიკამენტების შეძენა და სხვადასხვა დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება ქ. თბილისში). ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტებს გაეწევათ ყოველთვიური სუბსიდირება 80 ლარის ოდენობით, ხოლო ლეიკემიით დაავადებულ პირებს (18 წლის ჩათვლით) - 200 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	165	165	5% - მომართვიანობის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	135	960	129,600	129,600	
2	ლეიკემიით დაავადებული 18 წლის ჩათვლით პირებისათვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაცემა	ბენეფიციარი	30	2,400	72,000	72,000	
სულ ქვეპროგრამა					**201,600**	**201,600**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული პირები, რომლებიც გადიან მკურნალობის კურსს ჰემოდიალიზის ცენტრებში. აგრეთვე, ქ. ბათუმში რეგისტრირებული 18 წლის ასაკის ჩათვლით ლეიკემიით დაავადებული პირები.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 08	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		1,383,400	1,285,000	1,285,000	1,285,000

ქვეპროგრამის მიზანი	მოწყვლადი კატეგორიის მქონე პირების დიაგნოსტიკური კვლევებისა და ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო, არ აქვს საშუალება დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურეობის ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით. აქედან გამომდინარე, ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა თანადაფინანსების ქვეპროგრამა სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მქონე პირებისათვის, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობისა და დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას. მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები იმ ბენეფიციარებს (ქალები 60 წლამდე, მამაკაცები 65 წლამდე), რომელთა დარიცხული თვიური ხელფასი არ აღემატება 1000 ლარს, არ ფინანსდებიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამითა და აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით. მათ შესაბამისი დიაგნოსტიკური კვლევის კლინიკებიდან წარმოდგენილი ფასიდან დაუფინანსდებათ 50 პროცენტი. ასევე განხორციელდება ზოგიერთი იმ ნოზოლოგიის (საშარდე გზების ინფექცია, სისტემური წითელი მგლურა, პოლიართრიტი) 70 პროცენტიანი დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს ონკოპაციენტებისათვის იმ იმუნო, თარგეტ და ციტოსტატიკური თერაპიის (ბსჟ) სერვისის (ინფუზიის) დაფინანსება, რომელიც არ ფინანდება საყოველთაო ჯანდაცვისა და აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განხორციელდა მკურნალობისა და დიაგნოსტიკური კვლევების თანადაფინანსება, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუჯობესებას.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	2,275	3,130	5% - მომართვიანობის ცვლილება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ანგიოგრაფიის დაფინანსება	ბენეფიციარი	50	350	17,500	17,500	
2	გეგმიური გულის ან/და კორონარული არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება	ბენეფიციარი	115	413	47,500	47,500	
3	მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება	ბენეფიციარი	1,000	240	240,000	240,000	

4	ზოგიერთი ნოზოლოგიის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის მიერ	ბენეფიციარი	120	625	75,000	75,000	
5	ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	ბენეფიციარი	1,750	509	890,000	890,000	
6	გულის კტ კორონაროგრაფია	ბენეფიციარი	70	300	21,000	21,000	
7	ონკოპაციენტებისათვის იმუნო, თარგეტ და ციტოსტატიკური თერაპიის (ბსჟ) სერვისის (ინფუზიის) დაფინანსება	სერვისის რაოდენობა	440	210	92,400	92,400	
სულ ქვეპროგრამა					**1,383,400**	**1,383,400**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ანგიოგრაფიის დაფინანსება, 'გეგმიური გულის ან/და კორონარული არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება და 'მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება ღონისძიებების ფარგლებში დახმარება გაეწევათ ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს (60 წლამდე ქალებს, 65 წლამდე მამაკაცებს, რომელთა თვიური დარიცხული ხელფასი ნაკლებია საშუალო ხელფასზე (1000 ლარი თვეში /არასტაბილური შემოსავლის მქონე)/ თვითდასაქმებული), კლინიკიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის 50 პროცენტის ფარგლებში. მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება ღონისძიებების ფარგლებში, ასევე, დახმარება გაეწევათ ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის ან სოციალური სტატუსის არმქონე (200 000-მდე ქულა) საქართველოს მოქალაქეებს, სტუდენტებსა და იმ პედაგოგებს (60 წლამდე ქალებს, 65 წლამდე მამაკაცებს, რომელთა თვიური დარიცხული ხელფასი ნაკლებია საშუალო ხელფასზე (1000 ლარი თვეში) . აღნიშნულ ღონისძიებებში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. ცნობა კლინიკიდან საყოველთაოში ჩართულობისა და მომსახურების პაკეტის მითითებით.; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა. 5. სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა მომსახურეობის მითითებით. პედაგოგებმა უნდა წარმოადგინოთ ცნობა საშემოსავლო სამსახურიდან დარიცხული ხელფასის მითითებით. მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: კტ და მრტ კვლევები, კოლონოსკოპია (სედაციით და სედაციის გარეშე), გასტროსკოპია (სედაციით და სედაციის გარეშე).
2	ზოგიერთი ნოზოლოგიის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის მიერ - აღნიშნულ ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების მოწმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა. 5. სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა მომსახურეობის მითითებით. დაფინანსებული იქნება სტაციონარულად: საშარდე გზების ინფექციები , სისტემური წითელი მგლურა, პოლიართრიტი 6 წლიდან ზემოთ ასაკის პირებში, ხოლო მანიპულაციები საშვილოსნოზე (საოფსე ჰისტეროსკოპია, საშვილოსნოს მიკროჰისტეროსკოპია ბიოფსიით, საშვილოსნოს ყელის დაზიანებს ამოკვეთა, საშვილოსნოს ყელის კონიზაცია დიათერმიის ან ლაზერის ხმარებით, საშვილოსნოს ყელის აბლაცია ბიოფსიით) ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებზე (60 წლამდე ქალები, 65 წლამდე მამაკაცები, რომელთა თვიური დარიცხული ხელფასი ნაკლებია საშუალო ხელფასზე (1000 ლარი თვეში /არასტაბილური შემოსავლის მქონე)/ თვითდასაქმებული), კლინიკიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის 70 პროცენტის ფარგლებში.
3	ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება ღონისძიების ფარგლებში მომსახურეობა გაეწევათ ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: 1. N 36-ე დადგენილებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; 2. მოქალაქეებს, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება ადმინისტრაციული ერთეულის მეუჯერის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. 3. 165-ე დადგენილების ბენეფიციარებს (0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, ასაკით პენსიონერებს, სტუდენტებს), რომელთაც არ აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა და არ სარგებლობენ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით. მათ დაუფინანსდებათ მკურნალობა გარკვეული სქემის მიხედვით: „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხიდან) N36-ე დადგენილების ბენეფიციარებს 30 %-ის, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით (ლიმიტის ფარგლებში) მოსარგებლის მხრიდან, ხოლო 165 -ე დადგენილების ზემოთ ჩამოთვლილ ბენეფიციარებს - 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს და სტუდენტებს 20 პროცენტის, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა, ხოლო ასაკით პენსიონერებს 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1.განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების მოწმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა. 5. სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა მომსახურეობის მითითებით. 6. საყოველთაო ჯანდაცვის მიერ გაცემული მიმართვა მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მითითებით. 7. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელის მიერ გაცემული დასკვნა საჭიროების შემთხვევაში.

4	გულის კტ კვლევის დაფინანსება ღონისძიების ფარგლებში დახმარება გაეწევათ ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს (60 წლამდე ქალებს, 65 წლამდე მამაკაცებს, რომელთა თვიური დარიცხული ხელფასი ნაკლებია საშუალო ხელფასზე (1000 ლარი თვეში /არასტაბილური შემოსავლის მქონე)/ თვითდასაქმებული) კლინიკიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის 50 პროცენტის ოდენობით. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1.განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. ცნობა კლინიკიდან საყოველთაოში ჩართულობისა და მომსახურების პაკეტის მითითებით.; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა. 5. სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა მომსახურეობის მითითებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.
5	ონკოპაციენტებისათვის იმუნო, თარგეტ და ციტოსტატიკური თერაპიის (ბსჟ) სერვისის (ინფუზიის) დაფინანსება ღონისძიების ფარგლებში დახმარება გაეწევათ ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1.განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა. 4. სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა მომსახურეობის მითითებით. 5. დაფინანსების დოკუმენტი საყოველთაო დაზღვევიდან/აჭარის ჯანდაცვის სამინისტროდან. 6. სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში. ციტოსტატიკური (ბცჟ) თერაპიის ერთი ინსტალაციის ფასია 70 ლარი.
6	ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა სახის მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 09	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		187,200	187,200	187,200	187,200

ქვეპროგრამის მიზანი	მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურების უზრუნველყოფა. დაავადების რეციდივებისა და რეჰოსპიტალიზაციის შემცირება. მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფა. პაციენტისა და პაციენტის ოჯახის წევრების ფსიქოგანათლება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ბენეფიციარის სოციალური უნარჩვევების ტრენინგი და გარემოში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის აღწერა	მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ, სულ მცირე ბოლო სამი თვის განმავლობაში, მიუხედავად საჭიროებისა არ/ან ვერ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, ხშირად რჩებიან მკურნალობის გარეშე, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. ამ ადამიანებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს უწყვეტი მომსახურეობის განხორციელება, რომელიც შეუძლებელია სათემო სერვისების განვითარების გარეშე. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის თანახმად, პრიორიტეტულია, თანამედროვე თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვის საფეხურეობრივი პროცესი და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და ბინაზე მომსახურების სერვისის განვითარება მობილური გუნდის (ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექთანი/უმცროსი ექიმი) საშუალებით. აქედან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ქ. ბათუმში რეგისტრირებული პაციენტებისათვის თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ღონისძიება, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია: ა) მდგომარეობის ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება თითოეული პაციენტისათვის; ბ) შინ მომსახურება, რეგულარული ვიზიტები პაციენტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (4-მდე თვეში), სატელეფონო კონსულტაცია; გ) მობილური გუნდის ექიმი-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა; დ) პაციენტის სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგი, სამედიცინო მომსახურებასთან ერთად სოციალური პრობლემების მოგვარებაში დახმარება (საჭიროების შესაბამისად პაციენტის და მისი მხარდამჭერების ინფორმირება ან/და დოკუმენტაციის შეგროვებაში დახმარება ან/და თანხლება უწყებებში ვიზიტისას); ე) პაციენტის, პაციენტის ოჯახის წევრების და მხარდამჭერების ფსიქოგანათლება და მხარდამჭერი ფსიქოთერაპია; ვ) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში პაციენტის სტაციონირების ორგანიზება; ზ) 8 საათის მანძილზე სერვისის ხელმისაწვდომობა; თ) სომატური პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში პაციენტის და მისი მხარდამჭერების ინფორმირება არსებული სომატური პრობლემების, შემდგომი კვლევის საჭიროების და ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ, ამასთან, სომატური პროფილის ექიმთან ვიზიტისას ან გამოკვლევებისას თანხლება, თუ დამოუკიდებლად ამას ვერ ახერხებს პაციენტი და სომატური პრობლემები ნეგატიურად აისახება მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	1. განხორციელებულია ბინაზე მომსახურება; 2. შემცირებულია რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	100	100	3% - მომართვიანობის ცვლილება

2	გაუმჯობესებულ ბენეფიციართა რაოდენობა (%)	-	საშუალოდ 10	3% - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არასათანადოდ შესრულება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება	ბენეფიციარი	100	1,872	187,200	187,200	
სულ ქვეპროგრამა			**100**	**1,872**	**187,200**	**187,200**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	მულტიდისციპლინარული ჯგუფი უნდა შედგებოდეს ექიმი ფსიქიატრის, ექიმი ნევროლოგის, ფსიქოლოგის, ფარმაცევტის, სოციალური მუშაკისა და მედდისაგან. გუნდის მუშაობა განისაზღვრება ბინაზე ვიზიტითა და მედიკამენტოზური მკურნალობით ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად. ქვეპროგრამის ფარგლებში, მობილური გუნდის მომსახურებით ისარგებლებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებული, განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე პირები. ორგანული ბუნების აშლილობანი, სიმპტომურ აშლილობათა ჩათვლით (f00-f009), შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი (f20-f29), აფექტური შეშლილობანი (f30-f39), რეაქცია მწვავე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები (f 43), გონებრივი ჩამორჩენა (f 70-f 79), ფსიქიკური განვითარების დარღვევები (f80-f89), ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი (f90-f98).f06 ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით, აგრეთვე სხვა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობანი. f40-f48 ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოფორმული აშლილობანი. f50-f59 ფიზიოლოგიური და ფიზიკური დარღვევებით გამოწვეული ქცევის პატოლოგია. f80-f89 ფსიქიკური განვითარების დარღვევები.
2	ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ პირებს.

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			18,633,532	19,506,900	20,371,625	21,320,081

პროგრამის მიზანი	საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება და მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	
	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისობა პროგრამასთან	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
პროგრამის აღწერა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით მოქალაქეთა თანასწორობის უზრუნველყოფა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, მინიმალური სტანდარტებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ. ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, რაც ძირითადად უზრუნველყოფილია სოციალური დაცვის მიზნობრივი ქვეპროგრამებით. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის (მკვეთრად გამოხატულ შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები და სხვები) სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარებების გაწევას, კერძოდ: ხორციელდება კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (წყლისა და კანალიზაციის, დასუფთავებისათვის მოსაკრებლის, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა, გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება, თხევადი აირის ტალონით დახმარება), მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მზრუნველობასმოკლებულ და უპოვარ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა (თავშესაფრით, სამედიცინო მომსახურებითა და კვებით უზრუნველყოფა), მოვლის საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურეობა (სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება), უფასო კვებით უზრუნველყოფა (ყოველდღიურად დღეში ერთჯერ ცხელი საკვებით დაკმაყოფილება), ბენეფიციარებთა, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო წყარო და საცხოვრებელი, დროებითი ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციართა მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტებით დაკმაყოფილება (საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სარემონტო მასალების შეძენა).	
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	1) გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა; 3) გაუმჯობესებულია საზოგადების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები; 3) შემცირებულია მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკები.	

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	

1	სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	39,900	39,900	42,000	44,000	39,900	3% - მომართვიანობის ცვლილება
2	სოციალური შეღავათების სერვისების რაოდენობა	24	24	24	24	24	3% - საბიუჯეტო სახსრები
3	მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	4,898	4,897	4,897	4,897	4,897	3% - მომართვიანობის ცვლილება
4	სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი	85%	85%	90%	92%	85%	5% - მომართვიანობის ცვლილება

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 01	კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			568,170	692,500	692,500	692,500

ქვეპროგრამის მიზანი	მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს მოწყვლადი სოციალური კატეგორიისათვის სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შესაბამისი კატეგორიის მოსახლეობისათვის კომუნალური, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადებისა და გაზიფიცირების მონტაჟის საფასურიდან გათავისუფლება, რაც გარკვეულწილად გაუმჯობესებს მათ მატერიალურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა. სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: 1. ა) მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ბ) ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების; გ) 0-დან 70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა / მარტოხელა მამა) და მათი შვილების ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის საფასურის (ერთეულის ფასი - 2,6255ლარი) საქართველოს ენერგეტიკისა და და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 დეკემბრის #74 დადგენილებით და დასუფთავების მოსაკრებლის (ერთეულის ფასი - 1,30 ლარი) უზრუნველყოფა. ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის #3 დადგენილებით იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70001-მდეა, მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 1,00 ლარით, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 4 სულით; 2. ა) მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ბ) ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების ყოველთვიურად სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დავალიანების (ერთეულის ფასი - არაუმეტეს 5 ლარისა) დაფარვით უზრუნველყოფა; 3. ა) მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ბ) ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების; გ) 0-დან 70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირებით უზრუნველყოფა - კერძოდ, ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე; 4. ვეტერანის, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულებისათვის ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის შეძენა, რომელთაც არა აქვთ შეყვანილი ბუნებრივი აირი საცხოვრებელ ფართში.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	17,600	16,100	20% - მომართვიანობის ვარირება
2	კომუნალური სერვისების რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება სოციალური შეღავათები	5	5	15% - მომართვიანობის ვარირება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა**		**12,100**		**385,150**	**385,150**	
	მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	ბენეფიციარი	2,200	32	69,300	69,300	
	ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	ბენეფიციარი	1,900	32	59,850	59,850	
	0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები	ბენეფიციარი	8,000	32	256,000	256,000	
2	**დასუფთავებისთვის მოსაკრებლის საფასურის დაფარვა**		**7,800**	**15**	**100,070**	**100,070**	
	მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	ბენეფიციარი	900	15	13,570	13,570	
	ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	ბენეფიციარი	900	15	13,500	13,500	
	0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები	ბენეფიციარი	6,000	12	174,000	73,000	
3	**სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა**		**460**	**60**	**27,600**	**27,600**	
	მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	ბენეფიციარი	160	60	9,600	9,600	
	ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	ბენეფიციარი	300	60	18,000	18,000	
4	**გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება გაზჭურამდე ერთი წერტილის გათვალისწინებით**		**30**	**720**	**21,600**	**21,600**	
	მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები	ბენეფიციარი	10	720	7,200	7,200	
	ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	ბენეფიციარი	10	720	7,200	7,200	
	0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირები	ბენეფიციარი	10	720	7,200	7,200	

5	**ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება**	**ბენეფიციარი**	**125**	**270**	**33,750**	**33,750**	
სულ ქვეპროგრამა					**568,170**	**568,170**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	1. წყლის, კანალიზაციისა და სანდასუფთავების გადასახადზე შეღავათების გავრცელება განხორციელდება ყოველთვიურად ს(ს)იპ საქართველოს სოციალური მომსახურეობის სააგენტოს მიერ მოწოდებული ქ. ბათუმში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ სტატუსის ბავშვების, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების სიების, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში აღრიცხვაზე მყოფი მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა / მარტოხელა მამა) და მათი შვილების, მრავალშვილიანი (5 და მეტი შვილი) ოჯახების სიების და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მოწოდებული ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების სიების საფუძველზე. ღონისძიებებში მითითებული ბენეფიციართა რაოდენობა წარმოადგენს წლის განმავლობაში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა საშუალო საორიენტაციო რაოდენობას, რომელიც ყოველთვიურად შეიძლება შეიცვალოს/დაზუსტდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს და საქართველოს ვეტერანთა სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბენეფიციართა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მოსარგებლე ბენეფიციართა წყლისა და კანალიზაციის საფასურის და დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დაფარვა ყოველთვიურად მოხდება იდენტიფიცირებულ ბენეფიციართა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით და ერთეულის ფასის გათვალისწინებით პროგრამული ბიუჯეტის ცვლილების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარის წყლის აღრიცხვიანობა ხორციელდება მრიცხველის საშუალებით, მას დაეფარება 5,15 კბ.მ გახარჯული წყლის საფასური, რომელიც შეადგენს 2,6255 ლარს, მითითებულ რაოდენობაზე მეტი ხარჯი დაიფარება ბენეფიციარის მიერ.
2	2. სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის გადახდაზე შეღავათის მისაღებად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, შშმ სტატუსის ბავშვის შესახებ ან ვეტერანის მოწმობა და ცნობა სატელეფონო კომპანიიდან აღნიშნული ბენეფიციარის აბონენტად რეგისტრაციის შესახებ. შშმ სტატუსის ბავშვის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა, შშმ სტატუსის ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლის სახელზე გაფორმებული აბონენტის რეგისტრაციის ცნობა.
3	საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების დროს წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: ა) ქვეპროგრამით მოსარგებლის სტატუსის დამადასტურებელი საბუთი (ვეტერანი, შშმ პირი, შშმ სტატუსის ბავშვი, სოციალურად დაუცველი); ბ) პირადობის მოწმობის ასლი; გ) ბუნებრივი აირის მოწყობილობის მონტაჟის ხელშეკრულება (განაცხადი); დ) ინვოისი; ე) მომსახურეობის 10%-ის (80 ლარის) გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ვ) საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ახალ საცხოვრებელ კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების შემთხვევაში ბენეფიციარის მიერ წაემოდგენილი უნდა იყოს: ა) ქვეპროგრამით მოსარგებლის სტატუსის დამადასტურებელი საბუთი (ვეტერანი, შშმ პირი, შშმ სტატუსის ბავშვი, სოციალურად დაუცველი); ბ) პირადობის მოწმობის ასლი; გ) საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. დ) ბენეფიციარის აბონენტად (გაზის მრიცხველის ნომერი) დარეგისტრირების ნომერი. ე)ანგარიშის ნომერი ბანკიდან.ე) ცნობა გაზის შემყვანი კომპანიიდან შშმ სტატუსის ბავშვის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა, შშმ სტატუსის ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლის სახელზე გაფორმებული ხელშეკრულება ბუნებრივი აირის შემყვან კომპანიასთან. 2024 წელს პროგრამის ფარგლებში გაზიფიკაციის ვაუჩერი დაუფინანსდება იმ 0-70000 ქულის ჩათვლით მქონე სოციალურად დაუცველ პირებს, მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს, შშმ სტატუსის მქონე ბავშვებს, ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებსაც 2024 წლის ოქტომბერ -დეკემბერში ბუნებრივი აირის შემყვან კომპანიასთან ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება და მიუხედავად ამისა ვერ მოხერხდა მათი საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების დაფინანსება. 2025 წელს გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს ქ. ბათუმის მერი. შშმ პირები, ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები რეგისტრირებული უნდა იყვნენ ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე. სოციალურად დაუცველ პირებს სარეიტინგო ქულები (0-70000) მინიჭებული უნდა ჰქონდეთ ქ. ბათუმში. ღირებულების 90%-ს - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით ანაზღაურებს ქ. ბათუმის მერია, ხოლო 10% - 80 ლარის ოდენობით გადახდილი უნდა იქნას ბენეფიციარის მიერ ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების შესახებ განცხადების წარდგენამდე.
4	საჭიროების შემთხვევაში ღონისძიებებს შორის თანხა შეიძლება გადანაწილდეს

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 02	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		3,987,300	4,134,400	4,134,400	4,134,400

ქვეპროგრამის მიზანი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერა
ქვეპროგრამის აღწერა	unicefi- ს რეკომენდაციების შესაბამისად მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მატერიალური დახმარებები. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც მატერიალური დახმარება გაეწევათ: 1. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ: 15 თებერვალს - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირებს; 9 მაისთან დაკავშირებით - II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპული პირის ოჯახის წევრებს; 27 სექტემბერთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირებს და დაღუპულთა ოჯახის წევრებს; ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირებს და დაღუპულთა ოჯახის წევრებს, II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს. 2. შვილის შეძენასთან დაკავშირებით 0-დან 100 001- მდე ქულის მქონე ოჯახებს. 3. გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი პირის 0-100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებს. 4. ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტებს სატრანსპორტო ხარჯების დაფარვის მიზნით. 5. 0-100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3-შვილიან ოჯახებს, 0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიან ოჯახებს, 0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიან ოჯახებს, უდედმამო ბავშვებს (ყოველთვიური დახმარება), მარტოხელა მშობლებს (ყოველთვიური დახმარება). 6. 0-დან 100 000 ქულის მქონე ოჯახებს ბავშვთა მოვლის საშუალებების შეძენის მიზნით (ყოველთვიური დახმარება ყოველ ერთ წლამდე). 7. ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართა ოჯახებს; 8. რეინტეგრირებულ ოჯახებს; 9. 30 წლის ასაკის ჩათვლით შშმ მოვლის საჭიროების მქონე პირებს. 10. სოციალურად დაუცველ ოჯახებს (0-100000 ქულის მქონე) ყოველი ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით. 11. 18 წლამდე შშმ პირებს (ყოველთვიური მატერიალური დახმარება); 12. 30001-მდე ქულის მქონე ოჯახებს კომუნალური გადასახადების დაფარვის მიზნით (5 თვის განმავლობაში). 13. სსიპ ქ. ბათუმის #13 და #17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ვეტერანების რაოდენობა, რომელზეც სადღესასწაულო დღეებში გაიცემა მატერიალური დახმარება	101	97	5% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე
2	შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა (800 ლარი)	170	100	10% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე

3	გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველთა ოჯახის წევრის რაოდენობა, რომელზეც გაიცემა მატერიალური დახმარება	100	70	5% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე
4	ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება	2	2	50% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე
5	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, ბათუმში რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	2,378	2,756	10% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე
6	18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით	900	1,200	5% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე
7	სსიპ ქ. ბათუმის #13 და #17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის სუბსიდირება	25	28	5% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე
8	0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება (თვიურად 30 ლარი (იანვარი-მარტი, ნოემბერ-დეკემბერი))	1,150	1,300	5% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		გაწეული მომსახურება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა**	**ბენეფიციარი**	**97**	2,000	**194,000**	**194,000**	
	15 თებერვალი - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები	ბენეფიციარი	4	1,000	**4,000**	4,000	
	9 მაისი - II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები	ბენეფიციარი	8	1,000	**8,000**	8,000	
	27 სექტემბერი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები და დაღუპულთა ოჯახის წევრები	ბენეფიციარი	85	1,000	**85,000**	85,000	
	ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები; 27 სექტემბერი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები და დაღუპულთა ოჯახის წევრები; II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები.	ბენეფიციარი	97	1,000	**97,000**	97,000	
2	**შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა (800 ლარი)**	**ბენეფიციარი**	**100**	**800**	**80,000**	**80,000**	

3	**ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემდეგ მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით**	**ბენეფიციარი**	**70**	**500**	**35,000**	**35,000**	
	გარდაცვლილი ვეტერანი (ომის მონაწილე)	ბენეფიციარი	20	500	**10,000**	10,000	
	გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი (0-100000 ქულის მქონე) პირი	ბენეფიციარი	50	500	**25,000**	25,000	
4	**ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება**	**ბენეფიციარი**	**2**	**1,800**	**3,600**	**3,600**	
5	**სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, ბათუმში რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარების, რეინტეგრირებული ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება**	**ბენეფიციარი**	**2,756**	**1,005**	**2,770,900**	**2,770,900**	**0**
	0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სამშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	475	1,162	**552,000**	552,000	
	0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოთხშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 120 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	100	1,290	**129,000**	129,000	
	0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 180 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	40	2,160	**86,400**	86,400	
	ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	45	1,800	**81,000**	81,000	
	უდედმამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 300 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	25	3,600	**90,000**	90,000	
	30 წლის ასაკის ჩათვლით შშ მოვლის საჭიროების მქონე პირთა მატერიალური დახმარება ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	1,130	630	**712,000**	712,000	
	ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართათვის მატერიალური დახმარება ყოველთვიურად 400 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში ხელის შეწყობის მიზნით	ბენეფიციარი	50	4,800	**240,000**	240,000	
	მარტოხელა მშობლების (პირი, რომლის არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელი გარდაცვლილია, გამოცხადებულია გარდაცვლილად ან აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად) ყოველთვიური დახმარება 60 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	300	720	**216,000**	216,000	

	მარტოხელა მშობლების (პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი და ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მეორე მშობლის შესახებ) ყოველთვიური დახმარება 120 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	380	1,191	**452,700**	452,700	
	სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა 90 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	95	895	**85,000**	85,000	
	რეინტეგრირებული ოჯახებისათვის (საჭიროებიდან გამომდინარე) ბინის ქირით ყოველთვიურად უზრუნველყოფა 400 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	16	4,800	**76,800**	76,800	
	სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველი ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა 50 ლარის ოდენობით	ბენეფიციარი	100	500	**50,000**	50,000	
	18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით	**ბენეფიციარი**	**1,200**	**542**	**650,000**	**650,000**	
6	**სსიპ ქ. ბათუმის #13 და #17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის სუბსიდირება**	**ბენეფიციარი**	**28**	**2,100**	**58,800**	**58,800**	
7	**0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება 30 ლარის ოდენობით (იანვარი-მარტი, ნოემბერი-დეკემბერი)**	**ოჯახი**	**1,300**	**150**	**195,000**	**195,000**	
სულ ქვეპროგრამა					**3,987,300**	**3,987,300**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	1. შვილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალურ დახმარებას მიიღებენ ის ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან (ორივე ან ერთ-ერთი მშობელი) ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე და ქ. ბათუმის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში , აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-ის ჩათვლით. 2025 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში, ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა აგრეთვე იმ 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომლებსაც ახალშობილი შეეძინათ 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში და არ უსარგებლიათ დახმარებით. მათ დახმარება გაეწევათ 2024 წლის ტარიფით და ქვეპროგრამის პირობებით. თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ერთ-ერთი მშობლის ანგარიშზე. საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება; ორივე მშობლის პირადობის მოწმობა; ქორწინების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბავშვების დაბადების მოწმობები; საბანკო რეკვიზიტი; ამონაწერი სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან სარეიტინგო ქულების მითითებით.
2	2. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის და ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გასაწევად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, ამონაწერი სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ ან ვეტერანის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი. საჭიროების შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გარდაცვლილ ბენეფიციარზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ინვოისი,ზედნადები). 2025 წელს პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება აგრეთვე გაეწევა 2024 წლის ნოემბერ- დეკემბერში გარდაცვლილი 0-დან - 100 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახს, რომელთაც არ უსარგებლიათ აღნიშნული მატერიალური დახმარებით, ხოლო დახმარება გაიცემა 2024 წლის ქვეპროგრამული თანხის შესაბამისად.
3	3. სატრანსპორტო ხარჯებით უზრუნველყოფილნი იქნებიან ის ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს ან საშუალო-სპეციალურ განათლებას ღებულობენ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში. საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის მოწმობა ან აიდი ბარათი, ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან შშმპ სტატუსის შესახებ, სასწავლებლიდან სტუდენტის დამადასტურებელი ცნობა, სტუდენტის საბანკო რეკვიზიტი.

4	4. ' 'სსიპ ქ. ბათუმის #13 და #17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის სუბსიდირების ღონისძიების ჩართვა განხორციელდება ქ. ბათუმის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული სიების საფუძველზე. დაფინანსება განხორციელდება ორი გზა (საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება) 12 ლარის ოდენობით ერთი დღე. დაფინანსება განხორციელდება შესაბამისი საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი ტაბელის წარმოდგენის შემდეგ.
5	ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევის შემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანის დროს საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლები, ბავშვების დაბადების მოწმობების ქსეროასლები, ქორწინების მოწმობა (არსებობის შემთხვევაში), საბანკო რეკვიზიტი, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, რომელშიც მითითებულია ოჯახის წევრები (დედა ან/და მამა, 3, 4, 5 და მეტი ბავშვი), მოკვლევა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან საჭიროების შემთხვევაში, ცნობა საჯარო რეესტრიდან მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მშობლები ან ერთ-ერთი მშობელი დარეგისტრირებული უნდა იყოს ქ. ბათუმში და მათ ბავშვებთან ერთად სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულები უნდა ჰქონდეთ მინიჭებული ქ. ბათუმში. არსებული ბაზების ყოველთვიური გადამოწმების შემდეგ, მატერიალური დახმარება გაიცემა ქ. ბათუმში მცხოვრებ იმ სამ, ოთხ, ხუთშვილიანი და მეტი 0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე, რომელთაც ყველა ბავშვი დარეგისტრირებული ჰყავთ სოციალური სააგენტოს მიერ მოწოდებულ სარეიტინგო ქულების ამონაწერში, ქ. ბათუმში. მატერიალური დახმარება გაიცემა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სამშვილიან ოჯახებზე ერთი შვილის 18 წლის შესრულებამდე. მატერიალური დახმარება ოთხ შვილზე 120 ლარის ოდენობით გაიცემა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ოთხშვილიან ოჯახებზე ერთი შვილის 18 წლის შესრულებამდე. ერთი შვილის 18 წლის შესრულების შემდეგ ისინი მიიღებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სამშვილიანი ოჯახებისათვის განსაზღვრულ დახმარებას 100 ლარის ოდენობით. მატერიალური დახმარება ხუთ და მეტშვილიან ოჯახებზე 180 ლარის ოდენობით გაიცემა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ხუთ და მეტშვილიან ოჯახებზე ერთი შვილის 18 წლის შესრულებამდე. ერთი შვილის 18 წლის შესრულების შემდეგ ისინი მიიღებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ხუთშვილიანი, ოთხშვილიანი, სამშვილიანი ოჯახებისათვის განსაზღვრულ დახმარებას ტარიფის მიხედვით. ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით განხორციელდება მხოლოდ იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ეყოლებათ 18 წლამდე ასაკის ხუთი შვილი. 2025 წლიდან მომართვის შემთხვევაში მარტოხელა მშობელი და ბავშვი რეგისტრირებული უნდა იყოს ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე. მარტოხელა მშობლები ვერ ისარგებლებენ ორი სერვისით აღნიშნული ღონისძიებიდან. დედ-მამით ობოლი ბავშვები, რომლებსაც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისთვის უკვე დანიშნული ჰყავთ მეურვე და/ან მზრუნველი, რეგისტრირებული უნდა იყვნენ ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე.
6	5. 18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებას 50 ლარის ოდენობით მიიღებენ ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული პირები. 6. 0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება განხორციელდება (იანვარი-მარტი, ნოემბერ-დეკემბერში) 30 ლარის ოდენობით ყოველთვიურად. ოჯახების გადამოწმება განხორციელდება სოციალური სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზებში. თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ბენეფიციართა პირად ანგარიშზე. 7. ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ იმ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციარებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ: ა) ძალადობის მსხვერპლის სტატუსი; ბ) აქვთ პროკურატურის დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ. დახმარების გაწევა განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 03	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			3,475,000	3,250,700	3,250,700	3,250,700

ქვეპროგრამის მიზანი	საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის მუნიციპალურ სატრანსპორტო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა
ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველი 0-დან 70000 ქულის მქონე პირების, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, შშმ პირების, პენსიონერების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე მგზავრობის საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა, განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონალური ცენტრის ბენეფიციარები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირების მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება განხორციელდება M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით ქალაქის ფარგლებში მგზავრობის საფასურის კომპენსაციის მიზნით. ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი იქნა „FORD TRANSIT”-ის მარკის M2 კატეგორიის მიკროავტობუსები, რომლებიც ახალ სამარშრუტო ხაზებზე (#20, 21, 22, 26, 26ა, 27, 33) მოემსახურებიან იგივე სოციალური კატეგორიის პირებს უფასოდ. M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით მგზავრობის ღირებულება დაფინანსდება 0.3 ლარით, ხოლო „FORD TRANSIT”-ის მარკის M2 კატეგორიის მიკროავტობუსებით მგზავრობის ღირებულება 0.5 ლარით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100 %-იანი შეღავათით (უფასო მგზავრობით)	39,900	39,900	30% - მომართვიანობის ცვლილება
2	M2 კლასის საქალაქო სამგზავრო მიკროავტობუსით მგზავრობის რაოდენობა	-	486,200	15% - მომართვიანობის ცვლილება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	საშუალო რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები

	განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონალური ცენტრის ბენეფიციარები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება	ბენეფიციარი	39,900	81	**3,231,900**	3,231,900	
	განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონალური ცენტრის ბენეფიციარები) M2 კლასის საქალაქო სამგზავრო მიკროავტობუსით 100 %-იანი შეღავათით (უფასო) მგზავრობა	მგზავრობის რაოდენობა	486,200	0.5	**243,100**	243,100	
სულ ქვეპროგრამა					**3,475,000**	**3,475,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება განხორციელდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 04	მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		1,650,200	1,399,900	1,399,900	1,399,900

ქვეპროგრამის მიზანი	მზრუნველობამოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება
ქვეპროგრამის აღწერა	უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციარებზე ზრუნვა მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომლებიც დარჩენილი არიან ყოველგვარი მოვლა-პატრონობის გარეშე. დღეისათვის არსებული სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები სრულად ვერ ახდენენ ამ კატეგორიის მოქალაქეთა სამედიცინო-სოციალურ დახმარებას (სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრითა და კვებით უზრუნველყოფა და სხვა). ხშირ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მხოლოდ ინდივიდუალურ/ნაწილობრივ მომსახურებაზე (მხოლოდ ცალკე აღებული კვება, სამედიცინო მომსახურება ან თავშესაფარი). ამ მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უკვე წლების განმავლობაში ახორციელებს უპოვარ და მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფას. გარდა ამისა გათვალისწინებულია სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში იმ ბენეფიციარებზე, რომლებსაც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სჭირდებათ დახმარება. კერძოდ, მომსახურება გაეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს და ასაკით პენსიონერებს. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო დახმარებით (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია), ყოველდღიურ საქმიანობაში მხარდაჭერით (სამედიცინო განათლება პიროვნული უნარების განვითარებისა და ჰიგიენის კუთხით).
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მზრუნველობამოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	სავანეში სერვისის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	130	130	5% - მომართვიანობის ვარირება
2	ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა რაოდენობა	110	110	5% - მომართვიანობის ვარირება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში	ბენეფიციარი	130	12145	**1,578,900**	1,578,900	
2	ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	ბენეფიციარი	110	648	**71,300**	71,300	
სულ ქვეპროგრამა					**1,650,200**	**1,650,200**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	**ქვეპროგრამით ისარგებლებენ:** 1. ქ. ბათუმში რეგისტრირებული მარტოხელა, მიუსაფარი და სოციალურად დაუცველ ოჯახთა მზრუნველობას მოკლებული ადამიანები. 2. მომსახურება გაეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვულ ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს. ერთეულის ფასი 35 ლარი მოსარგებლეთა შერჩევა მოხდება შემოსული განცხადებების საფუძველზე. განცხადებასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი: პირადობის მოწმობის ქსეროასლი, საჭიროების შემთხვევაში ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, საპენსიო მოწმობა და ფორმა 100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა მოვლა-პატრონობა შესაძლებელია განხორციელდეს თანადაფინანსების პრინციპით შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციათან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდებას სახლის პირობებში უზრუნველყოფს მულტიდისციპლინარული ჯგუფი: 3 ექთნით, 1 ექთნის ასისტენტით, 1 საინფორმაციო ბაზის ოფიცრით, და ამავდროულად უზრუნველყოფილი იქნება ოფისით, ტრანსპორტით და ტექნიკური აღჭურვილობით. ღონისძიებაში ჩართულ ბენეფიციარებთან ვიზიტის სიხშირე განისაზღვრება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე, ხოლო ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი თანხა საშუალოდ 54,00 (ორმოცდათოთხმეტი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით (მედიკამენტებისა და ჰიგიენური საფენების შესაძენად) გადანაწილდება თითეულ ბენეფიციარზე საჭიროების მიხედვით.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 05	მუნიციპალური უფასო სასადილო	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			6,771,162	8,112,400	8,923,700	9,816,100

ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო საკვებით უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ექვსი უფასო მუნიციპალური სასადილოს მეშვეობით ყოველდღიურად, დღეში ერთხელ, აწვდის სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ცხელ საკვებს, რომელიც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის. 2025 წელს სააგენტო მოემსახურება 7650 ბენეფიციარს. ყოველთვიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილების შეტანა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან მოწოდებული სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ბაზის საფუძველზე. მომსახურეობით ისარგებლებენ ის მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0-დან 65000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა. ბენეფიციართა შერჩევა ხორციელდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სარეიტინგო ქულების მიხედვით, ქვევიდან ზევით პრინციპით. ქვეპროგრამით ასევე გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას, ბინაზე მომსახურება და ადგილზე საკვების მიწოდება. უფასო მუნიციპალური სასადილოების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განხორციელდება ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი უფასო კვებით

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ყოველდღიურად უფასო კვების სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	7,650	7,650	1% - მომართვიანობის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**ადმინისტრირება და მართვა**				**2,307,900**	**2,111,300**	**196,600**
	შრომის ანაზღაურება	პირი	103	18034	1,857,500	1,696,500	161,000
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	2	18950	37,900	32,300	5,600

	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				412,500	382,500	30,000
2	**საკვები პროდუქტების შეძენა (ბენეფიციართა რაოდენობა)**	ბენეფიციარი	7,650	565	**4,320,000**	**4,320,000**	
3	**მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება**				**143,262**	**48,200**	**95,062**
	სასადილოების რემონტი	შენობა-ნაგებობა	4	22103	88,412	20,000	68,412
	საოჯახო ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა (კარტოფილის საფცქვნელი, მაცივარი, გაზის გამათბობელი, გაზქურა, სერვირების ურიკა, წყლის გამაცხელებელი (ბოილერი))		30			12,600	21,400
	კომპიუტერულ-პერიფერიული ტექნიკა	ცალი	9	1733	15,600	15,600	
	გარე ბანერი	ცალი	1		5,250		5,250
სულ ქვეპროგრამა					**6,771,162**	**6,479,500**	**291,662**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქვეპროგრამის სარეზერვო სიით დამატებით ისარგებლებენ ის მოქალაქეები, რომელთა ჩართვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს" მიერ.
2	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე სადღესასწაულო დღეებში გაიცემა სასაჩუქრე ნობათები.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 06	დროებითი მუნიციპალური თავშესაფარი	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			1,016,900	1,067,800	1,121,225	1,177,281

ქვეპროგრამის მიზანი	უპოვარი და უსახლკარო პირების და სტიქიითა ან/და სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზებით ღია ცის ქვეშ დარჩენილი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს უპოვარ და უსახლკარო პირთა უზრუნველყოფას დროებითი მუნიციპალური თავშესაფრით, რაც გულისხმობს ყოველდღიურად 70 ბენეფიციარისათვის ღამის გათევას, ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფას, პირველად სამედიცინო დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში; აღდგომისა და ახალი წლის დღეებში სადღესასწაულო ნობათის გაცემას. დროებითი ღამის თავშესაფარში სერვისით სარგებლობა შესაძლებელია 19.00 საათიდან დილის 10 საათამდე, რის შემდეგაც ბენეფიციარმა უნდა დატოვოს თავშესაფრის ტერიტორია, უამინდობის, ასევე ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, დასაშვებია თავშესაფარში ყოფნის პერიოდის გახანგრძლივება. დროებითი მუნიციპალური თავშესაფრის ბენეფიციარია საქართველოს მოქალაქე, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში. მოქალაქე, რომელიც არ არის რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, შესაძლებელია მიღებული იქნას თავშესაფარში არაუმეტეს 20 დღით, ხოლო მისი განმეორებითი მიღება შეიზღუდება გასვლის დღიდან 10 დღის განმავლობაში. თავშესაფარში შესაძლებელია მიღებული იქნას უცხოელი, ან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, მისთვის ბინადრობის ნებართვით მინიჭებული უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე, თავშესაფარში შესაძლებელია მიღებული იქნას არაიდენტიფიცირებული პირი მის იდენტიფიკაციამდე და აქედან გამომდინარე, თავშესაფრის ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე. თავშესაფარში ბენეფიციარის მიღება ხორციელდება საპატრულო პოლიციის მიმართვის საფუძველზე. გარდა ზემოაღნიშნული მომსახურებისა, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სტიქიითა და სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზებით ღია ცის ქვეშ დარჩენილი ოჯახების დროებითი განთავსება მუნიციპალურ საცხოვრისში, რაც გულისხმობს სხვადასხვა მიზეზით ღია ცის ქვეშ დარჩენილი ოჯახების დროებით განთავსებას 12 მუნიციპალურ სამანევრო ბინაში (50 საწოლი) და მათ უზრუნველყოფას ორჯერადი კვებით. სამანევრო ბინებში ოჯახების განთავსების გადაწყვეტილებას იღებს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭო". ოჯახის მუნიციპალურ საცხოვრისში ყოფნის ვადა განისაზღვრება მერიის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ მათი დროებით ან მუდმივ საცხოვრისში გადაყვანამდე, არაუმეტეს 7 დღისა. საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი"-ს შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებს. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებულია განყოფილების უფროსის, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკების, ბავშვის ფსიქოლოგის, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტის, ბავშვის დაცვის ინსპექტორისა და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტისაგან. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს: ბავშვები 0-18 წლამდე, დისფუნქციური ბავშვიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, ბავშვები ჯანმრთელობის პრობლემებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. აღნიშნული ღონისძიების განხორციელების ძირიტადი მიზანია სამიზნე ჯგუფების საფრთხის პრევენცია, დროული იდენტიფიცირება; ადრეული დახმარება და რისკის შემცირება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ბენეფიციართა რაოდენობა	70	70	5 - ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება (+/-)

		პროდუქტები		მათ შორის:

№	ღონისძიების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი	სულ (ლარი)	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	**ადმინისტრირება და მართვა**				**925,800**	**925,800**	
	შრომის ანაზღაურება	პირი	18	22,750	**409,500**	409,500	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	20	15,825	**316,500**	316,500	
	საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				**199,800**	199,800	
2	**სამედიცინო მომსახურება**	**ბენეფიციარი**	**70**	**71**	**5,000**	**5,000**	
3	**საკვები პროდუქტების შესყიდვა**	**ბენეფიციარი**	**70**	**1,083**	**75,800**	**75,800**	
4	**მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება**				**10,300**	**10,300**	
	კომპიუტერი	ცალი	1		**2,000**	2,000	
	პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები	ცალი	2		**2,500**	2,500	
	წყლის გამათბობლის ძრავი	ცალი	1		**1,600**	1,600	
	თავშესაფარის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	შენობა-ნაგებობა			**4,200**	4,200	
სულ ქვეპროგრამა					**1,016,900**	**1,016,900**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 07	საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		131,800	131,800	131,800	131,800

ქვეპროგრამის მიზანი	საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური დახმარება მოწყვლადი ჯგუფებისა და შშმ პირების მხარდაჭერის მიზნით
ქვეპროგრამის აღწერა	1. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრი გაიხსნა 2011 წელს და დღემდე აგრძელებს ხანდაზმულ პირებსა და პენსიონერებზე ზრუნვას, უქმნის მათ ცენტრის პირობებში თბილ გარემოს, აწყობს მათი ნამუშევრების (ხელნაკეთი ნივთების) გამოფენა-გაყიდვას, მათი მონაწილეობით კულტურულ ღონისძიებებსა და ექსკურსიებს. ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრის მართვასა და ფუნქციონირებაში ადგილობრივი თვითმმართველობის მეტი ჩართულობის და მათი როლის გაზრდის მიზნით, სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში არაერთი წელია ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უწევს მატერიალურ მხარდაჭერას ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალურ ცენტრს, რომელიც ითვალისწინებს საოფისე (საკანცელარიო, კომუნალური) ხარჯების დაფარვასა და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენას. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება დებულებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სტიქიური უბედურებების და საგანგებო სიტუაციების დროს, სისხლის დონაციას ეპიდემიების დროს, ასევე მონაწილეობს სამშებრო და სამაშველო საქმიანობაში, მოსახლეობისათვის პირველადი დახმარების უზრუნველყოფასა და გადამზადებაში. ამ კუთხით ადგილობრივი თემების გაძლიერების, კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოს და სიცოცხლის ხელშეწყობის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ახორციელებს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სუბსიდირებას.
	2. ქვეპროგრამის ფარგლებში მხარდაჭერა ასევე გათვალისწინებულია ბათუმის ვეტერანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანთა ინფორმირებას და მეტ ჩართულობას სოციალურ პროგრამებში, შემოდიან წინადადებებით ვეტერანებისათვის ახალი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით, აქტიურად ერთვებიან და მონაწილეობენ ვეტერანებისათვის ორგანიზებულ ღონისძიებებში.
	3. შშმ პირთათვის მნიშვნელოვანი შშმ პირთა საოჯახო ტიპის სახლის მხარდაჭერა, რის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მათი ყოველთვიური სუბსიდირება. 4.დამოუკიდებელი ცხოვრების დღის ცენტრი დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამის ფარგლებში USAID-ის მიერ ფინანსირდება 57%-ის ოდენობით, ხოლო დარჩენილი 43%-ის დაფინანსება, რაც მოიცავს იჯარის, კომუნალური, ტრანსპორტირების ღონისძიებებისა და საოფისე ხარჯებს, რომელიც შეადგენს თვეში 2 985 ლარს და აუცილებელია ცენტრის ფუნქციონირებისათვის, ხდება მუნიციპალიტეტის მიერ.
	5. ასევე აქტუალური და სასიცოცხლოდ აუცილებელია აიპ „იალქანის", ააიპ ,,თანას '' დაფინანსება და ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც ახორციელებენ მიუსაფარი და შშმ პირების მხარდაჭერას და გულისხმობს საოფისე და კომუნალური ხარჯების დაფინანსებას.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	1. უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა; 2. ფინანსურად მხარდაჭერილია ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; 3. ხელშეწყობილია შშმ და მოწყვლადი ჯგუფების მხარდამჭერი ორგანიზაციები.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა ფინანსური დახმარება განხორციელდა	9	9	12.5 % - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
	საზოგადოებრივი ორგანიზაციების მატერიალური მხარდაჭერა		**9**		**131,800**	**131,800**	
	დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის დაფინანსება	ორგანიზაცია	1	35,820	**35,820**	35,820	
	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა	ორგანიზაცია	2	30,000	**60,000**	60,000	
	ა(ა)აიპ იალქანის მხარდაჭერის ღონისძიება	ორგანიზაცია	1	2,985	**5,000**	5,000	
	ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიება	ორგანიზაცია	1	5,000	**5,000**	5,000	
	ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის„ ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა	ორგანიზაცია	1	5,000	**5,000**	5,000	
	ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა	ორგანიზაცია	1	5,000	**5,000**	5,000	
	შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება (5 პირისათვის)	სათემო სახლი	1	10,980	**10,980**	10,980	
	ა(ა)იპ ,,თანას '' დაფინანსება	ორგანიზაცია	1	5,000	**5,000**	5,000	
სულ ქვეპროგრამა					**131,800**	**131,800**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფინანსური დახმარება გაეწევათ მათ მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (საკანცელარიო, ოფისის, კომუნალური, სამივლინებო, მიმდინარე აქტივობები, სხვადასხვა ხარჯები (საოფისე და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა)) საჭირო თანხების ოდენობა. პროგრამაში ჩართულმა ორგანიზაციებმა ყოველ 6 თვეში ერთხელ უნდა წარმოადგინონ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 09	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		120,000	120,000	120,000	120,000

ქვეპროგრამის მიზანი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა
ქვეპროგრამის აღწერა	unicef-ის კვლევიის მიხედვით, უპირატესად, მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მატერიალური დეპრივაციის დაძლევა და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომლის დაძლევის მიზნით შემუშავებული იქნა ზემოაღნიშნული ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 001, სამი და მეტ შვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30 001 და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1001-ს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალების შეძენა.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახების საშუალო რაოდენობა	100	60	5% - მომართვიანობის ცვლილება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	სამშენებლო ვაუჩერის გაცემა	ბენეფიციარი	60	2000	120,000	120,000	
სულ ქვეპროგრამა					**120,000**	**120,000**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია

1	1. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სარემონტო მასალების (საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის) შეძენის მიზნით მოხდება აღნიშნული ოჯახების/პირების საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობების კვლევა სერვის ცენტრის მენეჯერების მიერ. სარემონტო მასალების შეძენა მოხდება ვაუჩერის საფუძველზე. ვაუჩერის ფორმა, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების პირობები მტკიცდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი; 3. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ; 4. სარემონტო მასალების შეძენისას (სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით) უნდა წარმოადგინოს გასაწევი ხარჯის შესაბამისი ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი, სასაქონლო ზედნადებები; 5. საცხოვრებელი ფართის საკუთრებლებესარგბის დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარეაბილიტაციო მასალის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს, რომელიც გაიცემა ვაუჩერით. ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული პირები, რომელთაც სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულები მინიჭებული აქვთ ქ. ბათუმში.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			531,500	243,100	243,100	243,100

ქვეპროგრამის მიზანი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა შედგება ორი ღონისძიებისაგან: 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, კერძოდ კი მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლოები უმეტესად ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას. ამ ადამიანებს ხშირად სჭირდებათ სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში ვიზიტი, რისთვისაც სჭირდებათ დამხმარე პირების (გამცილებლების) მომსახურება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლოთა გადაადგილების მიზნით გამცილებლის მომსახურების დაფინანსებას. ასევე ე.წ. ,, ამოსუნთქვის საშუალებას'', ოჯახის წევრებისათვის, რომელიც გულისხმობს გამცილებლების მიერ მომსახურეობის პერიოდში ნაწილობრივ სოციალური მუშაკის ფუნქციების შეთავსებას. საწყის ეტაპზე დაგეგმილია, რომ აღნიშნული სერვისით ისარგებლებს 36 ბენეფიციარი, რომელთაც მოემსახურება რვა ასისტენტი (გამცილებელი). ერთი ასისტენტი მოემსახურება 6 ბენეფიციარს და კვირაში თითოეულს 2-ჯერ ერთი საათის განმავლობაში გაუწევს დახმარებას. ერთი ვიზიტის მომსახურების საფასურია 12 ლარი. 2. შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებელი ცხოვრების პროცესში შშმ პირთა სრულყოფილ ჩართვას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, რაც შეიძლება მიღწეული იქნას პერსონალური ასისტენტის მომსახურებით, რომელიც განსაზღვრულია პერსონალური ასისტენტის სტანდარტით, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-13/ნ2022 წლის 18 თებერვლის საფუძველზე.
ქვეპროგრამის აღწერა	2024 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N495 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამა", რომელიც განსაზღვრავს „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ განხორციელების უფლების დელეგირების საკითხს მუნიციპალიტეტებისათვის. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს განეკუთვნება 18 წლის და მეტი ასაკის მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ესაჭიროებათ პერსონალური ასისტენტის მომსახურება. მომსახურების მიღების მსურველი პირი ქვეპროგრამაში ერთვება მხოლოდ სამინისტროს მიერ პერსონალური ასისტირების საჭიროების შეფასების ჩატარებაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების (ქ. ბათუმის #1 პოლიკლინიკა) დასკვნის საფუძველზე. ღონისძიებაში ჩასართავად მოსარგებლის შეფასებას აწარმოებს სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება (ქ. ბათუმის #1 პოლიკლინიკა) , რომელიც სტანდარტიზებული კითხვარის და დასკვნის საფუძველზე განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას. პერსონალური ასისტირების მოცულობა განისაზღვრება მოსარგებლის ინდივიდუალური საჭიროებისა მიხედვით შეფასების დროს, რომელიც იყოფა ორ კატეგორიად: რეგულარული და სპეციალიზებული. რეგულარული ასისტირების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, მომსახურება ითვალისწინებს თვეში არაუმეტეს 60 საათს, ხოლო სპეციალიზებული ასისტირების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, თვეში არაუმეტეს 120 საათს. მომსახურებისთვის გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა რეგულარული ასისტირების შემთხვევაში შეადგენს თვეში 720 ლარს (ერთი საათი 12 ლარი) , ხოლო სპეციალიზებული ასისტირების შემთხვევაში – თვეში 1 560 ლარს (ერთი საათი 13 ლარი). ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ფარგლებში შშმ პირთა ასისტირებას ახორციელებს სამინისტროს მიერ დარეგისტრირებული ორგანიზაცია ა(ა)იპ ,, ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი''.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადაადგილება და მათი საზოგადოებაში ინტეგრირება

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	68	66	10% - მომართვიანობის ცვლილება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების გამცილებლით მომსახურება	პირი	36	1153	**41,500**	41,500	
2	შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სპეციალიზებული და რეგულარული ასისტირების სერვისის მიწოდება	ვიზიტი (სთ)	37,692	13	**490,000**	490,000	
სულ ქვეპროგრამა					**531,500**	**531,500**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	ქვეპროგრამით ისარგებლებენ ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე. **მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების გამცილებლით მომსახურება** - **მომსახურების მიღების მსურველთათვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები:** 1. განცხადება; 2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი; 3. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის წარმოდგენით. **გამცილებლის პოზიციაზე დასაქმების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:** 1. პირადობის მოწმობის ქსეროასლი; 2. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; 3. საბანკო რეკვიზიტი. ასისტენტი აწარმოებს გადაადგილების ტაბელს, რომელშიც მითითებული იქნება მომსახურების ადგილი, დრო, ბენეფიციარის სახელი და გვარი, მისამართი, ტელეფონი, დანიშნულება და ბენეფიციარის ხელმოწერა. ასისტენტებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო თანხა გადაერიცხებათ პირად ანგარიშზე წარმოდგენილი ტაბელის შესაბამისად. ასისტენტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც გავლილი ექნება შესაბამისი ტრენინგი.
1	**პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება -** შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტირების მომსახურეობა განხორციელდება ვაუჩერის საფუძველზე. ვაუჩერის ფორმა, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების პირობები მტკიცდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. **დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:** 1. განცხადება; 2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი; 3. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან შშმ სტატუსის /სარეიტინგო ქულების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში; 4. ფორმა 100-4ა. ღონისძიებაში იანვრის თვიდან ჩართული არიან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ მომსახურებაში ჩარიცხული და მომსახურების მიმღები მოსარგებლეები, ზრუნვის სააგენტოდან მოწოდებული სიების საფუძველზე.

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 11	მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		381,500	354,300	354,300	354,300

ქვეპროგრამის მიზანი	მოწყვლადი სოციალური ჯგუფის მქონე ოჯახების ბავშვთა სოციალური და სასიცოცხლო უნარჩვევების გაძლიერება, ქუჩაში გატარებული დროის მაქსიმალურად შემცირება, ამავე კატეგორიის ოჯახების მშობელთა ხელშეწყობა. შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარება , ფსიქოგანათლების მიღება, ცნობიერების ამაღლება და ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების გაიოლება.
ქვეპროგრამის აღწერა	გაეროს ბავშთა ფონდსა (UNICEF) და ქ. ბათუმის მერიას შორის 2020 წლის 3 დეკემბერს გაფორმებული იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ,,ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის“ (CFCI) ფარგლებში, შემუშავებული იქნა ქ. ბათუმის ,,ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის განხორციელების 2022-2025 წლების სტრატეგია”, რომელიც დამტკიცებული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 სექტემბრის განკარგულებით და ქ. ბათუმს მიენიჭა „ბავშვზე მორგებული ქალაქის“ კანდიდატის სტატუსი. მიუხედავად იმისა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ბავშვებში სიღარიბის დასაძლევად, ასევე, მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა, ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორიის მქონე (მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, ძალადობის მსხვეპლი, რეინტეგრირებული, შშმ პირების და სხვა ოჯახების) ბავშვები დამატებით საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებას, როგორც განათლების, ასევე ფსიქოლოგიური კუთხით და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია დღის ცენტრების ფუნქციონირება და მათი ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის მხრიდან. განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ 6-დან 16 წლამდე ბავშვები, რომლებიც ხშირად უმეთვალყურეოდ რჩებიან, რაც იწვევს მათ ქუჩაში გასვლას. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მეოთხე დონეზე მიწოდებულ დროულ პრევენციას აქვს ყველაზე დიდი შედეგი. დაახლოებით 100-დან 79%-ში ბავშვის ქუჩიდან მოწყვეტა და მისი რესოციალიზაცია არის შესაძლებელი, რაც შესაძლებელია განხორციელებული იქნას დღის ცენტრის პირობებში. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები გულისხმობს შაბათი-კვირის გარდა მინიმუმ 6-საათიან დღიურ მომსახურებას, მათ შორის: ბენეფიციართა საჭიროებების (შემეცნებითი, ფიზიკური და ქცევით-ემოციური) დადგენას, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელებას, რეფერირებას შესაბამის უწყებებში; ბენეფიციარების საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება/ხელშეწყობას; ბენეფიციართა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფას; ბენეფიციარების დღის სწორად დაგეგმვას, ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების შესწავლას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის და კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოგვარების უნარ-ჩვევების სწავლებას; საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარებისა და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას. ქვეპროგრამა გათვალისწინებულია 80 ბენეფიციარზე, ორჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი და ერთი საუზმე/ სამხარი. დღის ცენტრი დაიყოფა ასაკობრივ ჯგუფებად 6-დან 12 წლამდე და 12-დან 16 წლამდე მოზარდები. მომსახურეობა განხორციელდება მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ, რომელშიც შედიან პედაგოგი, ფსიქოლოგი, ქცევის თერაპევტი, პედაგოგის დამხმარე და სოციალური მუშაკი. მათ მიერ თითოეულ ბავშვზე შემუშავებული იქნება 6 თვიანი ინდივიდუალური განვითარების გეგმა, რომელიც 6 თვის შემდეგ გადაისინჯება. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა ბავშვის აღზრდის პროცესში, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიურ დახმარებასა და ადვოკატირებას, რადგან გარემო ბავშვებისათვის აღიქმება სანდოდ, როდესაც მშობელი აქტიურადაა ჩართული ბავშვის აღზრდის პროცესში.
ქვეპროგრამის აღწერა	როგორც კვლევები ადასტურებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მშობლებს აქვთ მყიფე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, დეპრესიის ნიშნები, რაც გამოწვეულია შვილების ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით. დღეს ქვეყანაში არ არსებობს სერვისი, რომელიც შშმ ბავშვების მშობლებს ფსიქოლოგიურ დახმარებას შესთავაზებს . ხოლო საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შშმ ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სწორედ მშობლების ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობაა. ამ მშობლების დახმარების მიზნით შემუშავებული იქნა შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებში ოთხი თვის (16 კვირა) მანძილზე 80 მშობელს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შშმ პირი ჩაუტარდება ფსიქოლოგის შემდეგი მომსახურება; პირველადი კონსულტაცია, საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, ფსიქოთერაპია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად გარკვეული თერაპიების გამოყენებით საჭიროებიდან გამომდინარე. სრული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 16 საათს (საშუალოდ კვირაში ერთხელ ერთი აკადემიური საათი).

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოზარდებში განხორციელებულია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების, ფსიქო-სოციალური ფუნქციების, საგანმანათლებლო აქტივობების და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობა; მშობლების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაცია და იმ უნარების განვითარება, რომლებიც მათ ხელს შეუწყობს პრობლემებთან გამკლავებასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	სერვისით მოსარგებლე მოზარდთა რაოდენობა	60	80	15% - მომართვიანობის ცვლილება +/-
2	სერვისით მოსარგებლე მშობელთა რაოდენობა	80	80	15% - მომართვიანობის ცვლილება +/-

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	დღის ცენტრის მიერ გაწეული სერვისის ღირებულება	ბენეფიციარი	80	4129	**330,300**	330,300	
2	შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიება (80 პირი)	სეანსი	1,280	40	**51,200**	51,200	
სულ ქვეპროგრამა					**381,500**	**381,500**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	1. ქვეპროგრამის პირველი ღონისძიებით ისარგებლებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლების, ძალადობის მსხვერპლი და რეინტეგრირებული ოჯახების, შშმ პირთა ოჯახების (ორივე ან ერთ-ერთი მშობელი არის შშმ პირი), ასევე იმ მოწყვლადი კატეგორიის ოჯახების ბავშვები, რომლებიც არ მონაწილეობენ სხვა პროგრამებში. 2. ჩარიცხვა განხორციელდება ქ. ბათუმის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკის რეკომენდაციის საფუძველზე. 3. დღის ცენტრის ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი თანხა შეადგენს დღეში 18 ლარს; 4. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.
2	1.' ქვეპროგრამის მეორე ღონისძიებით ისარგებლებენ ქ. ბათუმში 2025 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული შშმ პირთა ოჯახები, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის შშმ პირი. 2. ერთი სეანსის ღირებულება შეადგენს 40 ლარს/ერთი საათი, სრული კურსი შეადგენს 16 საათს. 3. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. 4. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

პროგრამის ფორმა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	პროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			1,154,800	1,157,000	1,157,000	1,157,000

პროგრამის მიზანი	სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; გადამდები დაავადებების პრევენია; უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება.
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარულ მონიტორიგს, დეზინსექცია-დერატიზაციის და უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებებს.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	
1	მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების კლების პროცენტული მაჩვენებელი	6	8	9	9	10	-
2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობის %-ლი მაჩვენებელი, სადაც ხორციელდება სადეზინსექციო სამუშაოები	95%	97%	97%	99%	99%	-

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 03 01	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორიგი	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			104,900	105,000	105,000	105,000

ქვეპროგრამის მიზანი	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი
ქვეპროგრამის აღწერა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული იქნა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და ასევე ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას: ჩამონაბანის აღება, კალორაჟის განსაზღვრა ბაღებსა და უფასო მუნიციპალურ სასადილოებში, განათების კოეფიციენტის განსაზღვრა სკოლებში, აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტეოროლოგიური კვლევა, სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე, სადეზინფექციო საშუალებების ქიმიური კვლევა, კვების პროდუქტების მონიტორინგი მუნიციპალურ სასადილოებში.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განხორციელებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის ღონისძიებები.

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები (ჩამონარეცხ-ჩამონაბანი)	250	250	10% - კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, ჩასატარებელი შესაძლოს კვლევების ცვლილება
2	ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები (კალორაჟი)	80	80	10% - კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, ჩასატარებელი შესაძლოს კვლევების ცვლილება
3	ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები სტერილობაზე	90	100	10% - კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, ჩასატარებელი შესაძლოს კვლევების ცვლილება
4	ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები (განათება)	40	40	10% - კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, ჩასატარებელი შესაძლოს კვლევების ცვლილება
5	ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ნედლეული კვების პროდუქტების ლაბორატორიული კვლევები	6	6	20% - კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, ჩასატარებელი შესაძლოს კვლევების ცვლილება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	ჩამონაბანის აღება	ცალი	6,500	12	78,000	78,000	
2	კალორაჟის განსაზღვრა	კერძი	210	10	2,100	2,100	
3	განათების კოეფიციენტის განსაზღვრა	წერტილი	120	10	1,200	1,200	

4	აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტეოროლოგიური კვლევა	წერტილი	30	120	3,600	3,600	
5	სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე	კომპლექტი	180	87	15,670	15,670	
6	სადეზიფექციო საშუალებების ქიმიური კვლევა	ნიმუში	35	10	350	350	
7	კვების პროდუქტების მონიტორინგი (სასადილოებში)	ნიმუში	88	45	3,980	3,980	
სულ ქვეპროგრამა					**104,900**	**104,900**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 03 02	დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებები	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
			553,300	554,000	554,000	554,000

ქვეპროგრამის მიზანი	მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის ზონებში დერატიზაცია-დეზინსექციის ჩატარება
ქვეპროგრამის აღწერა	აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია პროფილაქტიკური სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარება, რომელიც დაკავშირებულია მავნე მწერებისა და მღრღნელების მაქსიმალურ შემცირებასთან. სამუშაოები ჩატარდება შემდეგი მიმართულებებით: 1. მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი 890 ობ. (200250 კვ.მ 2* 6 თვე) 2. ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია მაისი-ოქტომბერი 3000ც (500*6) 3. ქალაქის ტერიტორიის (ღია არხები, დაჭაობებული ტერიტორიები) დეზინსექცია თვეში ორჯერ - მაისი-ოქტომბერი 12 ჰა (1 *2* 6 თვე) 4. ქალაქის ტერიტორიის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების) დერატიზაცია ყოველთვიურად 1140 ობ. (79800 კვ.მ 12 თვე) 5. ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერი 355 ობ. (53250 კვ.მ 6 თვე) 6. ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის, შენობა -ნაგებობების და სათავსოების გარშემო შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში (სულ- 7,0 ჰა) მომართვიანობის საფუძველზე. კრაზანების (ბუდეს) საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის, შენობა -ნაგებობების და სათავსოების გარშემო შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში (სულ-90) მომართვიანობის საფუძველზე.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განხორციელებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	საერთო ფართი, სადაც წლის განმავლობაში ხორციელდება სადერატიზაციო სამუშაოები (კვ.მ)	957,600	957,600	1% - არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
2	საერთო ფართი, სადაც წლის განმავლობაში ხორციელდება სადეზინსექციო სამუშაოები (ჰა)	261	316,20	5% - არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
3	ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობა, რომელსაც უტარდება დეზინსექცია წლის განმავლობაში	3,000	3,000	1% - არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
4	ქალაქის ტერიტორია (ღია არხები, დაჭაობებული ტერიტორიები), სადაც სეზონურად ხორციელდება დეზინსექცია (ჰა)	24	12	5% - არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ (მაისი-ოქტომბერი 990 ობიექტი (222750x2x 6 თვე))	ჰა	267	1,330	355,585	355,585	
2	ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ (მაისი-ოქტომბერი - 405 ობიექტი 60750 x 6 თვე))	კვ.მ	364,500	0.15	54,675	54,675	
3	ქალაქის ტერიტორიის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების) დერატიზაცია ყოველთვიურად - 1240 ობიექტი (86800 x 12 თვე))	კვ.მ	1,041,600	0.10	104,160	104,160	
4	ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია (მაისი-ოქტომბერი (500 კონტეინერი - 6 თვე))	ერთეული	3,000	2.00	6,000	6,000	
5	ქალაქის ტერიტორიის (ღია არხები, დაჭაობებული ტერიტორიები) დეზინსექცია თვეში ორჯერ (მაისი-ოქტომბერი (6 თვე))	ჰა	12	440	5,280	5,280	
6	ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ ღონისძიებების გატარება	კვ.მ	70,000	0.24	16,800	16,800	
7	კრაზანების (ბუდეს) საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის (საზოგადოებრივი სივრცეების), შენობა -ნაგებობების და სათავსოების გარშემო, შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში (სულ-90) მომართვიანობის საფუძველზე	ერთეული	90	120	10,800	10,800	
სულ ქვეპროგრამა					**553,300**	**553,300**	**0**

№	დამატებითი ინფორმაცია
1	

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 03 03	უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება (ლარი)	2026 წლის დაფინანსება (ლარი)	2027 წლის დაფინანსება (ლარი)	2028 წლის დაფინანსება (ლარი)
	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		496,600	498,000	498,000	498,000

ქვეპროგრამის მიზანი	უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება
ქვეპროგრამის აღწერა	დაგეგმილია უპატრონო ცხოველების (ძაღლების, კატების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: დაჭერა და ტრანსპორტირება, ევთანაზია (ჰუმანური დამინება ნარკოზით), სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია და დაბირკვა, დაავადებული და ტრავმირებული ცხოველის მკურნალობა მ/შ ოპერაციული მკურნალობა, ასევე ბუნებრივ არიალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების ეტაპობრივი გამოყვანა ქალაქის ტერიტორიიდან და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკაში რევაქცინაციასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარების მიზნით. ქალაქის ტერიტორიაზე არსებულიცხოველების ლეშის (სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილით) დროული გამოყვანა სპეციალური ტრანსპორტით და კრემაცია (კრემატორიუმში) მოზარდი ცხოველების (ლეკვი, კნუტი) დაჭერა ქალაქის ტერიტორიაზე და ტრანსპორტირება თავშესაფარში (ვეტერინალური კლინიკა) მოვლა პატრონობის მიზნით.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განხორციელებულია უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	
1	წლის განმავლობაში დაჭერილი ცხოველების სტერილიზაცია, კასტრაცია, ვაქცინაცია, დაბირკვა	4,600	4,700	5% - არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, მომართვიანობის ცვლილება

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
